

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



სამხედრო ჟრობები

MILITARY PAPERS

№ 2



სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

ბორი, 2023

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



№ 2

სამხედრო შრომები

MILITARY PAPERS

სამეცნიერო ჟურნალი
SCIENTIFIC JOURNAL

ბორი, 2023

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი დავით რაზმაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელის მოადგილე

პოლკოვნიკი გიორგი ლალიაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

ვიცე-პოლკოვნიკი გიორგი არაბული

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უფროსი

თინათინ კროპაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ნიკოლოზ ესიტაშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ქეთევან კვესელავა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

ზურაბ სამხარაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი/კორექტორი

ზურაბ მჭედლიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი რედაქტორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

დავით სტეფანიშვილი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების მთავარი სპეციალისტი

© საავტორო უფლებები დაცულია

გამომცემლობა:

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2023

სამეცნიერო ჟურნალი „სამხედრო შრომები“ გამოიცემა 2021 წლიდან

ISSN: 2720-8184 (PRINT)

ISSN: 2720-8680 (ONLINE)

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel David Razmadze Deputy Rector of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Deputy Head of the Editorial Board

Colonel Giorgi Laghiashvili Head of the Scientific Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze Head of Baccalaureate of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Lieutenant Colonel Giorgi Arabuli Head of MA Program of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Tinatin Kropadze Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Nikoloz Esitashvili Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Ketevan Kveselava Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Zurab Samkharadze Chief Scientist of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor/Corrector

Zurab Mchedlishvili Editor-in-Chief of the Scientific-Research Center of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Computer Designer

Davit Stepanishvili Main Specialist in Training Courses of LEPL - David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2023

SCIENTIFIC JOURNAL "MILITARY PAPERS" IS PUBLISHED SINCE 2021

სარჩევი

მთაგორიან რელიეფზე საბრძოლო მოქმედებები, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები პოლკოვნიკი დავით ბიჭიკაშვილი	9
აქტიური ღონისძიებები, საინფორმაციო ომი და საინფორმაციო ოპერაციები, მათი გამოყენების სფეროები და მიზნები ლერი სარაიდაროვი	15
„ახალი“ ომები მე-20 საუკუნის გადმოსახედიდან თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე	30
სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონსა და მსოფლიოში თადარიგის ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე	35
ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი რეალობა და გავლენა ფართო შავი ზღვის რეგიონზე პოლკოვნიკი მურთაზ გუჯეჯიანი	42
სამოქალაქო თავდაცვა - ქვეყნის ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტი თადარიგის გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე	50
ეროვნული წინააღმდეგობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ ირაკლი ბათიაშვილი	55
ტერიტორიული თავდაცვის ძალების როლი ქვეყნის თავდაცვის სისტემაში (უკრაინის გამოცდილების გათვალისწინებით) თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი	64
ტაქტიკის განვითარება თანამედროვე პირობებში ზურაბ სამხარაძე	71

Content

Combat Operations on Mountainous Terrain, Challenges and Ways to Solve Them Colonel David Bichikashvili	10
Active Measures, Information Warfare and Information Operations, Areas of Their Use and Goals Leri Saraidarov	16
“New” Wars from the Perspective of the 20th Century Lieutenant General of the Reserve Davit Tevzadze	30
Dynamics of Military Expenditure Growth in Both the Region and the World Brigadier General of the Reserve Amiran Salukvadze	36
The New EU Energy Security Reality and it’s Impact on the Wider Black Sea Region Colonel Murtaz Gujejian	43
Civil Defense - an Important Component of Total Defense of the Country Major General (R) Tengiz Shubladze	50
On Some Important Aspects of National Resistance Irakli Batiashvili	55
The Role of Territorial Defense Forces in the Defense System of the Country (Taking Into Account the Experience of Ukraine) Lieutenant General of the Reserve Johnny Pirtskhalaishvili	65
Development of Tactics in Modern Conditions Zurab Samkharadze	72

მთავორიან რელიეფზე საბრძოლო მოქმედებები, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

პოლკოვნიკი დავით ბიჭიკაშვილი

საქართველოს თავდაცვის ძალების განათლების სარდლობის
სამეთაურო-სამტაბო კოლეჯის უფროსი ინსტრუქტორი,
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სადოქტორო პროგრამის სამხედრო ინჟინერიის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მთებში საბრძოლო მოქმედების გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. ნაშრომის მთავარი მიზანია საბრძოლო ფუნქციების მიხედვით გამოიკვეთოს ის ძირითადი საფრთხეები, რომლებსაც შესაძლოა ქვედანაყოფი მთებში სამხედრო მოქმედებებისას წააწყდეს. ასევე ასახულია მთიან რელიეფზე მოქმედების სირთულეები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლის გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია ქვედანაყოფის სამეთაურო რგოლის მიერ საბრძოლო მომზადების და საომარი მოქმედებების დროს.

მთები უძველესი დროიდან იპყრობენ ადამიანის ყურადღებას და ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კაცობრიობის ისტორიაში. ისინი ჩვენი გარემოს ნაწილს წარმოადგენენ და ღრმად არიან ფესვგადგმული ჩვენს წარმოსახვაში, მათ არა მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა მივანიჭეთ, არამედ თავგანისცემისა და ხელოვნების საგანი გავხადეთ. უძველესი დროიდან მოყოლებული, მთები ადამიანს შთააგონებდნენ პატივისცემასა და შიშს. ანთროპოგეოგრაფიული თვალსაზრისით, მთები წარმოადგენენ გეოგრაფიული პირობების ძალიან მრავალფეროვან და ხშირად რთულ კომპლექსს. ამ პირობების გაანალიზებისას შესაძლებელია წინა პლანზე გამოვიტანოთ ამა თუ იმ მთის ლანდშაფტის ცალკეული გეოგრაფიულ პირობები და მათი კავშირი ქვეყნის ტერიტორიის ომისათვის მომზადების საკითხში. საკომუნიკაციო მარშრუტებისთვის გარკვეული უღელტეხილის არჩევისას, ისტორიული, ეკონომიკური და სტრატეგიული პირობები ხშირად უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ბუნებრივი პირობები.

მთების სტრატეგიული და სამხედრო ღირებულება (როგორცაა ალპები, კავკასიონი, ჰიმალაი, ბალკანეთი და სხვ.) ისტორიულად გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი სახელმწიფოებს შორის ბუნებრივ საზღვრებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე. მაღალი მწვერვალები, ხეობები და ხშირი ტყის საფარი მოწინააღმდეგეს ურთულეს მანევრსა და გადაადგილებას, ეს კი უპირატესობს ანიჭებს თავდაცვაში მოყოფ მხარეს. შედეგად, უძველესი დროიდან დღემდე, მთიანი რეგიონები წარმოადგენენ ომების განვითარებისა და სხვადასხვა გეოპოლიტიკური ტიპის კონფლიქტების ასპარეზს.

საკვანძო სიტყვები:

ქვედანაყოფების მანევრი და გადაადგილება მთავორიან რელიეფზე, ცეცხლის წარმოება მთებში, მთავორიან რელიეფზე საბრძოლო მოქმედებები, უსაფრთხოების წესები.

Combat Operations on Mountainous Terrain, Challenges and Ways to Solve Them

Colonel David Bichikashvili

Defense Forces of Georgia, Education Command,
Command and Staff College, Senior Instructor
SSU-Technical University of Georgia,
Doctoral student in the Military Engineering Program

Abstract

The presented work discusses the challenges of fighting in the mountains and ways to solve them. The main goal of the work is to identify the main threats that the unit may face during military operations in the mountains according to combat functions. The difficulties of operating on mountainous terrain are also described and recommendations are formulated, which are important to be taken into account by the unit's command ring during combat training and military operations. Mountains have attracted human attention since ancient times and have always played an important role in human history. They are part of our environment and deeply ingrained in our imaginations, we have not only given them symbolic meaning, but have made them objects of worship and art. Since ancient times, mountains have inspired man with respect and awe. From the anthropogeographic point of view, mountains represent a very diverse and often complex complex of geographical conditions. When analyzing these conditions, it is possible to bring to the fore the separate geographical conditions of this or that mountain landscape and their connection in the issue of preparing the country's territory for war. When choosing a certain pass for communication routes, historical, economic and strategic conditions often play a greater role than natural conditions. The strategic and military value of mountains (such as the Alps, the Caucasus, the Himalayas, the Balkans, etc.) historically stems from the fact that they represent natural borders between states and have a significant impact on the country's defense capabilities. High peaks, valleys, and dense forest cover make it difficult for the enemy to maneuver and move, giving the defensive side an advantage. As a result, from ancient times to the present day, mountainous regions are the arena for the development of wars and conflicts of various geopolitical types.

Keywords:

Caucasus region, theory of triangles, economic development, stability in the region, role of investments.

შესავალი

მთებში საბრძოლო მოქმედებებს რთული რელიეფის გამო ახასიათებს შემაფერხებელი ეფექტი, რომელიც ართულებს ჯარების მოძრაობას, ფლანგებიდან დაცვას და სამომხრო მარშრუტების გადაკეცივით მარტივად შეიძლება გადაადგილების სრულად აღკვეთა. გზები სახიფათოა და ამავდროულად მნიშვნელოვან შესაძლებლობებს გთავაზობს დაცვის, დაფარვისა და მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების კუთხით. ბრძოლისას დაპირისპირებულ მხარეებს შორის რიცხოზობრივი და ტექნიკური უპირატესობა შეიძლება ანაზღაურდეს მთაგორიანი რელიეფის ოსტატურად გამოყენებით. მთებში საბრძოლო მოქმედებების თავისებურებების კანონზომიერებაზე კ. კლაუზევიცი აღნიშნავდა: „მთებში წარმატებულად შერჩეული პოზიციის წყალობით მცირე რაზმი უდიდეს ძალას იძენს. მცირე ძალას, რომელსაც ვაკეზე ადვილად დაამარცხებს კავალერიის რამდენიმე ესკადრონი და რომელიც თავს ბედნიერად იგრძნობს, თუკი სწრაფი უკან დახევით შეძლებს თავიდან აირიდოს მარცხი და ტყვედ ჩავარდნა, საშუალება ეძლევა მთებში ცნობილი ტაქტიკური თავხედობით გამოჩნდეს მოწინააღმდეგის მთელი არმიის წინაშე“.¹

მთებში ბრძოლა როგორც სამხედრო ხელოვნების ფორმა წარმოიშვა შუა საუკუნეებში შვეიცარიაში. შვეიცარიელი ჯარისკაცები კაგად იყვნენ მომზადებულნი ასეთ პირობებში ბრძოლის წარმოებისათვის და მთიანი რელიეფის სწორად გამოყენებით რთულდებოდა მათი დამარცხება.

ძირითადი ნაწილი

რატომ არის საბრძოლო მოქმედებები განსხვავებული მთაგორიან რელიეფზე ვიდრე გაშლილ ადგილმდებარეობაზე? მთებში მეზობელ ჯარისკაცებს არა მხოლოდ მოწინააღმდეგესთან შეჯახება უწევს, არამედ იქ არსებულ მკაცრ ამინდის პირობებთანაც გამკლავება, რომელსაც შეუძლია ქვედანაყოფებს ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის სახით მნიშვნელოვანი დანაკარი მიაყენოს.

პრაქტიკულად ნებისმიერ გეოგრაფიულ რეგიონში მთაგორიან ადგილმდებარეობაზე დამახასიათებელია მწირი საგზაო ქსელი არასაკმარისი გამტარუნარიანობით, ციკაბო აღმართებისა და დაღმართების დიდი რაოდენობა, საშიში მონაკვეთები, უღელტეხილები და ა.შ. სამთო რელიეფის მკვეთრი დასერილობა ქმნის მკვდარი სივრცეებისა და დაფარული მისადგომების სიმრავლეს, რომელიც ართულებს განსაკუთრებით შორეულ და საშუალო მანძილებზე ფენილი ცეცხლით მოწინააღმდეგის განადგურებას, ვინაიდან ბევრი უხილავი და ცეცხლის წარმოებისათვის მიუწვდომელი ზონაა. ასევე ართულებს ორიენტირებას და თვალთვალის ორგანიზებას.

მთიანი რელიეფი ზღუდავს ჯარების მანევრირებას, რთულია ურთიერთქმედება და რეკოგნოსცირება, ერთიანი ფრონტის ხაზი, როგორც წესი, არ არსებობს და საომარი მოქმედებები ტარდება მცირე დანაყოფებით არასტანდარტული განლაგებით. მდინარეებს ახასიათებთ ძლიერი დინება, წყლის დონის ხშირი ცვალებადობა, რაც კალაპოტისა და ნაპირების ფორმების ხშირ ცვლილებას იწვევს. ამინდი კი ცვალებადი და მწელად პროგნოზირებადია. ამ პირობებიდან გამომდინარე მთებში საბრძოლო მოქმედებები თითოეული მთაგორიანი ადგილმდებარეობისათვის ინდივიდუალური და მრავალფეროვანია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკვანძო სიმაღლეების დაკავებას და შენარჩუნებას, ვინაიდან მთაში არის უცვლელი წესი: ვინც მაღლაა, ის უფრო ძლიერია.² ასევე მნიშვნელოვანი საკვანძო წერტილებია გვირაბები, ხიდები, გადასასვლელები, უღელტეხილები. ტანკებისა და სხვა მძიმე ჯავშანტექნიკის გამოყენება შემოიფარგლება მთებში საგზაო ქსელის შესაძლებლობით და მისი გამტარუნარიანობით.

ზოგიერთი სამხედრო ექსპერტის მოსაზრებით, მთიან რელიეფზე სამხედრო მოქმედებების დაგეგმვა და წარმოება უნდა დარჩეს საერთო საჯარისო ბრძოლის კონცეფციის ფარგლებში, მაგრამ მთელი რიგი მნიშვნელოვანი მახასიათებლების გათვალისწინებით.³ სახელმძღვანელოებში და საველე წესდებებში მთებში ბრძოლა განიხილება, როგორც საბრძოლო მოქმედებები განსაკუთრებულ პირობებში, სადაც გაწერილია რეკომენდაციები, რომლებიც მთებში ბრძოლას ეხება, მაგრამ ზოგიერთი საკითხი გადასახედია და დამატებით შესწავლას მოითხოვს. განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი:

1. მთებში მოწყობილ რამოდენიმე იარუსიან თავდაცვით ზღუდეზე შეტევისას, როდესაც შემტევი ქვედანაყოფები მიუახლოვდებიან სიმაღლეს საარტილერიო ცეცხლით შემოქმედება გადადის ზედა იარუსებზე განლაგებულ მოწინააღმდეგეზე. დაბლობისთვის აღნიშნული ცეცხლით მანევრი კარგია, მაგრამ არა მთებისათვის, ვინაიდან ზედა იარუსებზე ცეცხლის გადატანით ჭურვების აფეთქებები გამოიწვევს კლდის ჩამონგრევას და ქვისცვენას, რომელიც დააზიანებს შემტევ ძალას. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ჩაწერტებული ზუსტი ცეცხლი, ვიდრე მისი მასირება. შორსმსროლელი და რეაქტიული არტილერია საცეცხლე პოზიციებს იკავებს გაშლილ ადგილებზე გზებთან ახლოს, მათი მთებში აყვანა, სადაც გზები არაა მიზანშეწონილი არ არის. არტილერიიდან ოპტიმალურია ნაღმტყორცნებისა და ჰაუბიცების გამოყენება, რომლებსაც შეუძლიათ მაღალი ამაღლების კუ-

1 Karl von Clausewitz. Über die Natur des Krieges.

2 <https://warfor.me/taktika-boeviyh-deystviy-v-gorah/>

3 https://nvo.ng.ru/realty/2016-04-08/1_mountains.html

თხით სროლა.

მთებში დაბლობთან შედარებით ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა განსხვავდება. ჰაერი განმუხტულია და მცირე ზომის კალიბრიდან (5,56 მმ.) ცეცხლის წარმოება მნიშვნელოვნად კარგავს თავის თვისებებს, ზევიდან დაბლა სროლისას ტყვია უფრო შორს მიფრინავს ვიდრე დაბლიდან ზევით.⁴ მიზანშეწონილია მთებში გამოყენებული იქნას 7,62 მმ და ზევით კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღი.

2. აღსანიშნავია, რომ მთაგორიან რელიეფზე ბრძოლისას ვინც ფლობს გაბატონებულ სიმაღლეებს მას ტაქტიკური უპირატესობა გააჩნია. უღელტეხილის ან ხეობის დაკავება ჩვეულებრივ იწყება მის მიმდებარე მაღლობების აღებით და უღელტეხილის ან ხეობისკენ მიმავალ ფერდობებზე განლაგებული მოწინააღმდეგის განადგურებით. ქვედანაყოფები დაკავებული ზღუდეებიდან ბოჭავენ მოწინააღმდეგეს, რომელიც იცავს უღელტეხილს ან ხეობას და არ აძლევს გადაჯგუფების საშუალებას, ძირითადი ძალები კი განახორციელებენ ფლანგებიდან შემოვლას. ასეთი მანევრი ერთიან მახასიათებლებში მოქცევა არასწორია ვინაიდან ადგილდებარეობის გათვალისწინებით ყველას თავის სფეციფიკური თვისებები გააჩნია. ძირითადი ძალებით შემოვლა და ფლანგებიდან დარტყმაც მიზანშეწონილი არაა, ვინაიდან მთებში ჯარის დიდი მასის გადაადგილება რთულია, იქაც კი სადაც არის გზა ან ბილიკი გადაადგილება მხოლოდ მცირე ჯგუფებს შეიუძლიათ. გასათვალისწინებელია, რომ მოწინააღმდეგე დაიცავს გზებს და ბილიკებს, მანევრისათვის რჩება ციცაბო ფერდობები და კლდეები, რომლებზეც ჯარის დიდი რაოდენობის ერთდროულად გადაყვანა შეუძლებელია.

3. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს მთის მდინარეების ფარულ საფრთხეებზე, რომელთა დინება ძლიერი და მრავალშრიანია, მაგალითად, დაბლობში 20-25მ. სიგანის და 1,5 მ. სიღრმის მდინარის გადალახვა ფონით სრულიად უსაფრთხოა, მაგრამ მთის მდინარის გადალახვისას წყლის დინება ჯარისკაცს აკარგვინებს წონასწორობას და შესაძლებელია მისი დაღუპვაც გამოიწვიოს. წყლის ძლიერი დინება და ფსკერი შესაძლებელია ცოცხალი ძალისა და ჯავშანტექნიკისათვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცეს (ასეთი დინების სიჩქარედ ითვლება 3 მ/წმ.). დინების სიჩქარის დასადგენად შესაძლებელია გამოყენებული იქნას მარტივი არითმეტიკული განტოლება: ვიღებთ ნივთს რომელსაც წყლის ზედაპირზე ტივტივი შეუძლია ვაგდებთ მდინარეში და ვაკვირდებით იმ მონაკვეთში, რომლის მანძილიც წინასწარ გვაქვს გაზომილი. $V=S/T$. სადაც: V - არის დინების სიჩქარე, S - არის ნივთის მიერ გავლილი გზა, T - არის დრო, რაც ნივთს დასჭირდა მდინარის ამ მონაკვეთის გასავლელად. ზამთარში მათში მთელი დღის განმავლობაში წყლის დონე სტაბილურია, მაგრამ თბილ სეზონში სიტუაცია მკვეთრად იცვლება. დილით, მდინარეები შედარებით მშვიდია, მაგრამ თოვლისა და მყინვარების დნობის გამო შუადღისას მათში წყლის დონე მატულობს, ჩვეულებრივ ნორმას კი მხოლოდ გვიან ღამით უბრუნდება. აქედან გამომდინარე თბილ პერიოდში ფონების დაზვერვა და მდინარეების ფორსირება უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს გვიან ღამით ან ადრე დილით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ზამთარში ჩქარი დინების გამო მდინარე არ იყინება, ამიტომ ყინულზე გადასვლა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია ფონების და პონტონის ხიდების მაგივრად გამოყენებული იქნას სანჟინრო გასაშლელი ხიდები.

4. შეტევის მიმართულებაზე ჯარების მიერ არსებული კანონების შეუჩერებელი გადალახვა შეუძლებელია. ქვედანაყოფებით მისი გადალახვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არის კარგად განვითარებული საგზაო სისტემა და მასზე გადებული ხიდი დიდ დატვირთვას უძლებს. რეალურად კანონზე გადასავლელი ხიდი მცირე ზომისაა და მისი გამტარუნარიანობა შეზღუდულია (განსაკუთრებით მძიმე ტექნიკისათვის). ამ შემთხვევაში ქვეითი ჯარი მას გადალახავს, მაგრამ მისი შეტევის მხარდაჭერა პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლით შეზღუდული იქნება.

5. მთებში ჰაერი უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე დაბლობზე, რაც ხშირად მანძილის გაზომვისას შეცდომებს იწვევს. მიღებულია ზოგადი წესი, რომ ზემოდან მიზნებამდე მანძილის შეფასებისას ის დიდია, ხოლო ქვემოდან ზევით მანძილი უფრო მცირეა. მზით განათებულ ადგილმდებარეობაზე არასწორი რელიეფის და მკვეთრი ჩრდილების გამო შესაძლებელია წარმოიშვას ოპტიკური ილუზია, როგორც წესი ასეთი ადგილები უფრო ახლოს ჩანს, ვიდრე სინამდვილეშია. ზოგადად, მთიან ადგილებში გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით 1,5-2-ჯერ მეტ დროს მოითხოვს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სადაზვერვო ჯგუფები დაკომპლექტდეს გამოცდილი, კარგი ჯანმრთელობის, შესანიშნავი ხედვისა და სმენის მქონე მზვერავების შემადგენლობიდან.

6. სიმაღლის ფაქტორები ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საბრძოლო და სატრანსპორტო ტექნიკის ფუნქციონირებაზე, რაც იწვევს ძრავის სიმძლავრის 30%-მდე ვარდნას, ეს კი მოძრაობის სიჩქარეზე აისახება და შეიძლება დაახლოებით 50%-ით შემცირდეს. ამავედროულად, იზრდება მატერიალურ-ტექნიკური ნაწილის ცვეთა, საწვავის და გამაგრებელი სითხის ხარჯი. ასევე 20-25%-ით მცირდება სატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობა. გასათვალისწინებელია, რომ ჰაერში ჟანგბადის ნაკლებობის, ხშირი დამუხრუჭებისა და სიჩქარის გადართვის საჭიროების გამო მთის გზებზე მოძრაობა იწვევს მძღოლის დაღლილობას. აღსანიშნავია, რომ მთის გზების მნიშვნელოვანი ნაწილი გაცილებით ვიწროა, რაც ართულებს დიდი ბრუნვის რადიუსის მქონე მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას. მოძრაობის ტემპსა და რიგითობას მეთაური არეგულირებს, დასვენებისა და გაჩერებების სიხშირე დამოკიდებულია გზის პროფილზე და მარშრუტის სიგრძეზე. ამავედროულად აუცილებელია ჩატარდეს პირადი შემადგენლობის, ტრანსპორტის, ტექნიკის და აღჭურვილობის მდგომარეობის საფუძვლიანი შემოწმება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მძღოლებმა კარგად იცოდნენ ციცაბო აღმართზე,

4 https://vk.com/@soldiers_of_fortune-voina-v-gorah-snaryazhenie-peredvizhenie-taktika

დადმართზე და მკვეთრ მოსახვევებში მოძრაობის წესები.

7. მთიანი ადგილმდებარეობა განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის რადიოტექნიკური და სარადარო სისტემების გამოყენებას, კლდოვანი რელიეფი ძლიერად შთანთქავს და ფანტავს რადიოტალღებს. იმის გამო, რომ მთის ფერდობებს აქვს ამრეკლის ეფექტი შეიძლება საჭირო გახდეს დამატებითი რადიო სარელეო წერტილების დაყენება. სტაბილური მართვისა და კონტროლის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია ყველა მართვის პუნქტი განლაგდეს საკუთარი ქვედანაყოფების სიახლოვეს. მნიშვნელოვანი საკითხია ქვედანაყოფების მართვისა და კონტროლის ზოგადი დეცენტრალიზაცია, რაც, ერთის მხრივ, გულისხმობს უმცროსი და საშუალო დონის მეთაურების დამოუკიდებლობასა და ინიციატივას, მეორე მხრივ კი შტაბის ოფიცრების მიერ მოახლოებული სამხედრო ოპერაციების ნებისმიერი დეტალის არსებული სიტუაციის შესაბამისად შემუშავებას.

8. მთებში გვირაბების და ხიდების დაკავება ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია. მათი აღება პირდაპირი შეტაკებით პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი გადამწყვეტი იერიშის მცდელობები ცოცხალი ძალის დიდ დანაკარგს ან ამ საინჟინრო ნაგებობების დანგრევას იწვევს. ამიტომ გვირაბებისა და ხიდების აღება უნდა განხორციელდეს სპეციალრი დანიშნულების ქვედანაყოფების ან ტაქტიკური დესანტის მეშვეობით, რომლებსაც მსგავსი ოპერაციების ჩატარების შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ასეთ ჯგუფების შემადგენლობაში შედიოდეს მთაში საბრძოლველად გაწვრთნილი და სათანადოდ აღჭურვილი მეზრძოლები.

დასკვნა

საქართველო გიგნატური მთების უსაზღვრო სივრცეებითაა გარშემორტყმული, ნამდვილად დიდია ამ მთაგორიანი ლანდშაფტის მნიშვნელობა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში. ჩვენი ქვეყნის საზღვრისპირა მთიანი სივრცეების მახასიათებლების შესწავლასა და ანალიზს განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს და გათვალისწინებული იქნას საკუთარი ჯარების საბრძოლო მომზადების პროგრამის შედგენისას და ქვეყნის ტერიტორიის ომისათვის მომზადებისას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯარების მომზადება მთებში ბრძოლისათვის და მათი შესაბამისი აღჭურვილობით დაკომპლექტება. მიზანშეწონილია ქვედანაყოფების სასწავლო პროცესში ჩაიდოს იეთი საკითხები როგორცაა:

- მთაში მარშის ორგანიზება და ორიენტირება (განსაკუთრებით შეზღუდული ხილვადობის პირობებში);
- დაბრკოლებების გადალახვა (ციცაბო ფერდობები, მდინარეები და ა.შ.);
- სხვადასხვა ტიპის იარაღიდან ეფექტური ცეცხლის წარმოება;
- გვირაბებისა და ხიდების გავლა;
- პირველადი სამედიცინო დახმარება და უსაფრთხოების წესები;
- ბუნებრივი და ხელოვნური საინჟინრო ნაგებობების თავშესაფრად ან ბანაკის მოწყობის მიზნით გამოყენება (გამოქვაბული, გვირაბი და ა.შ.).

მთებში ბრძოლის ტაქტიკა განსხვავებულია ვიდრე დაბლობში, გააჩნია თავისი მახასიათებლები და საჭიროა სპეციფიური სამხედრო სტრატეგიის ცოდნა. წარმატებული საბრძოლო მოქმედებები მოითხოვს ბრძოლის ორგანიზების ფუნდამენტურად განსხვავებულ ხედვას და რეალურ წარმოდგენას, რომ მთაგორიანი რელიეფი თავად არის გარემო, სადაც მისმა არცოდნამ და იგნორირებამ შეიძლება ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდ დანაკარგებამდე მიგვიყვანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Karl von Clausewitz. Über die Natur des Krieges. <https://www.clausewitz.com/readings/VomKriege1832/Book1.htm> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.09.2023წ.)
- ბაიაძე შ. [და სხვ.]. სახმელეთო ჯარების საბრძოლო წესდება. თბილისი. სთს. 1997წ. 382 გვ.
- პოლკოვნიკი ლომოური მ. ს.წ. 3-01.30-1. საველე სახელმძღვანელო სამთო მოქმედებებისათვის. თბილისი. სთს. 2010 წ. 313გვ.
- დამხმარე სახელმძღვანელო სამთო მომზადება. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის სახელმძღვანელოების განყოფილება. 2006 წ. 200გვ.
- სამთო მომზადება II გამოცემა. ქ. თბილისი. სთს. 2017 წ. 77გვ.
- Kaltenegger R. Gebirgsjäger im Kaukasus. Die Operation "Edelweiß" 1942/43. Graz/Stuttgart, Leopold Stocker Verlag, 1997. 287 Seiten.
- Buchner A. KAMPF IM GEBIRGE. Schild Verlag, Munich, 1957. 233 Seiten.
- Клементьев В. Особенности боевой деятельности войск в горах. Глава 2. <https://document.wikireading.ru/38889>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 09.09.2023წ.
- Боевые действия в горах. https://vk.com/@unfair_advantage-boevye-deistviya-v-gorah. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 18.09.2023წ.
- ОСОБЕННОСТИ ВЕДЕНИЯ БОЕВЫХ ДЕЙСТВИЙ В ГОРАХ. <http://lib.krsu.edu.kg/uploads/files/public/5062.pdf>. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.09.2023წ.
- FM 3-97.6 Field Manual. MOUNTAIN OPERATIONS. Department of the Army. Washington, DC, 28 November 2000
- Mountain warfare and Other long Problems: Foreign Perspectives On High-Altitude Combat. In.run/ngOmn. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 11.10.2023წ.

აქტიური ღონისძიებები, საინფორმაციო ომი და საინფორმაციო ოპერაციები, მათი გამოყენების სფეროები და მიზნები

ლერი სარაიდაროვი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამომიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს დღევანდელ რეალობაში, საინფორმაციო ომს და ოპერაციებს, რომელიც დასაბამს დიდი ხნის წინ იღებს. მართალია, დასახელებულ ფენომენს ქმედებებში გამოხატულება წარსულში განსხვავებული ჰქონდა, თუმცა მიზანი ერთი და იგივე იყო. პროპაგანდა, დეზინფორმაცია, რომელიც ამავდროულად აქტიური ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია, ხორციელდებოდა ბეჭდვითი ორგანოების და მასობრივი მედიის საშუალებებით, ვრცელდებოდა პროკლამაციები, ზემოქმედების მოსახდენად და გავლენის გასაძლიერებლად იყენებდნენ ადამიანურ რესურსს. დღეს, ამ ყველაფერმა სხვა ნიშნულზე გადაინაცვლა, კიბერნეტიზაციამ შეცვალა არამხოლოდ სოციალური ურთიერთობები ინდივიდებს შორის, არამედ გაზარდა საფრთხეები და რისკები სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში.

აქტიური ღონისძიება ძირითად ხორციელდება (ხორციელდებოდა), როგორც ღიად ისე ფარულად, იგი სპეციფიკური სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების და ოპერაციის შემადგენელი ნაწილია და მის მიზანს წარმოადგენს საგარეო და შიდა პოლიტიკის ფარგლებში სასარგებლო ზეგავლენის მოხდენა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

მსგავსი ღონისძიებების წარმატებით გამოყენებას დასაბამი მიეცა ცივი ომის პერიოდში, რომელიც მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე ყოფილ მოკავშირეებს - საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ანალოგიურ ხერხებს და მეთოდებს საბჭოთა კავშირი იყენებდა ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც იმთავითვე აღიქვამდა ანგარიშგასაწევ საფრთხედ.

აუცილებელია, რომ „აქტიური ღონისძიებები“ განვასხვავოთ წმინდა ოპერატიული სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი და აგრეთვე დიპლომატიური საქმიანობისგან. ასევე არ უნდა გავაიგივოთ საბჭოთა წარმომავლობის ტერმინთან „იდეოლოგიური ოპერაციები“, რომელიც შინაარსობრივად შესაძლოა აღქმული იქნას მსგავს მანიპულაციად, ვინაიდან განწყობებზე ზეგავლენის მიზნით ხორციელდება. რაც შეეხება აქტიური ღონისძიებების მიზანს, იგი გამოხატულია საზოგადოებრივ აზრზე და შეხედულებებზე, ასევე ცალკეულ პირთა, სახელმწიფოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედებებზე ზემოქმედებაში. მოტივად შესაძლოა მივიჩნიოთ მოჩვენებითი წესრიგისა და კეთილდღეობის საფუძველზე მოქმედი ქვეყნის, სახელისუფლებლო ინსტიტუციების ინტერესების რეალიზება, საზოგადოებაში არსებული ნეგატიური და პოლარიზებული ფონის მოშლა, კეთილგანწყობის მოპოვება. ხშირად, მოტივად ასევე შეიძლება მოგვევლინოს ანგარიშსწორება და შურისძიება, ისეთი ქვეყნების მიმართ, რომელთანაც ღია თუ ფარულ კონფრონტაციაში იმყოფება სუბიექტი ქვეყანა.

როგორც აღვნიშნეთ, წარსულში აგრესორ სახელმწიფოს შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ობიექტ სახელმწიფოზე სხვადასხვა რესურსების გამოყენებით, კერძოდ, აუცილებელი იყო ადამიანური ძალისხმევა ნეგატიური ზემოქმედების მოსახდენად, პროკლამაციების გასავრცელებლად, ჭორების დასაყრელად, ანეგდოტების მოსაყოლად, დღეს კი ეს ყველაფერი შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციურად, კიბერსივრცეში სასურველი ინფორმაციის განთავსებით, საინფორმაციო სისტემებზე დესტრუქციული და დივერსიული თავდასხმით, კრიტიკული ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები:

პროპაგანდა, დეზინფორმაცია, აქტიური ღონისძიებები, საინფორმაციო ომი და ოპერაციები, დაზვერვა და კონტრდაზვერვა, კიბერსივრცე.

Active Measures, Information Warfare and Information Operations, Areas of Their Use and Goals

Leri Saraidarov

General inspection of the Ministry of Defense of Georgia,
EIC investigator of the investigation Division,
PhD in International Relations

Abstract

This article deals with one of the most important threats in today's reality, information warfare and operations that have their origins a long time ago. It is true that the named phenomenon had a different expression in actions in the past, but the goal was the same. Propaganda, disinformation, which at the same time is a component of active measures, was carried out by means of print media and mass media, proclamations were spread, and human resources were used to influence and strengthen influence. Today, all this has shifted to another level, cybernetization has changed not only social relations between individuals, but also increased threats and risks in interstate relations.

The active measure is mainly carried out (was carried out) both openly and covertly, it is a component of specific intelligence and counter-intelligence measures and operations, and its purpose is to exert a beneficial influence within the framework of foreign and domestic policy in accordance with the interests of the country.

The successful use of such measures began during the Cold War, which took place after the Second World War between the former allies - the Soviet Union and the United States of America. Similar ways and methods were used by the Soviet Union against the North Atlantic Organization, which it perceived as a threat to be reckoned with.

It is necessary to distinguish "active measures" from purely operational intelligence and counterintelligence, as well as diplomatic activities. Also, we should not equate it with the term "ideological operations" of Soviet origin, which in terms of content can be perceived as a similar manipulation, since it is carried out in order to influence the mood. As for the purpose of active measures, it is expressed in the impact on public opinion and views, as well as on the actions of individuals, states and public organizations. The motive may be to realize the interests of the country, government institutions operating on the basis of apparent order and welfare, to destroy the negative and polarized background in the society, to gain goodwill. Often, the motive can also be retribution and revenge against countries with which the subject country is in open or covert confrontation.

As we mentioned, in the past, the aggressor state could influence the target state by using various resources, in particular, it was necessary to make human efforts to exert a negative influence, to spread proclamations, to spread rumors, to tell anecdotes, but today all this can be done remotely, by placing the desired information in cyberspace, destructively on information systems. and sabotage attack, disruption of critical infrastructure, etc.

Keywords:

Propaganda, disinformation, active measures, information warfare and operations, intelligence and counterintelligence, cyberspace.

შესავალი

ალბათ იმის მტკიცება, თუ როდის განხორციელდა პირველი აქტიური ღონისძიება ან მისი მსგავსი რაიმე ქმედება სპეციალური სამსახურების მიერ, გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული, თუმცა ძალიან მარტივია თუ ვივარაუდებთ, რომ მსგავსი ტიპის მანიპულაციები დასაბამს იღებენ იმ პერიოდთან, როდესაც შეიქმნა სახელმწიფოები და მათი უსაფრთხოების სამსახურები.

სწორედ, მათი საქმიანობის ერთ-ერთ გენერალურ ხაზს წარმოადგენდა და ამჟამადაც წარმოადგენს აქტიური ღონისძიებები, რომლებიც საკმარისად დიდ ძალისხმევას და რესურსს მოითხოვენ.

დღევანდელ რეალობაში სადაოს აღარ წარმოადგენს, რომ ტერმინი „აქტიური ღონისძიება“¹ მიუთითებს სწორედ რუსული სპეციალური სამსახურების და მათი წინამორბედების - საბჭოთა კავშირისდროინდელი ანალოგიური სამსახურების საქმიანობაზე.

გვსურს საუბარი განვავრდოთ აქტიური ღონისძიებების მნიშვნელობაზე, მათ მიზნებზე, სამიზნეებზე, სახეებზე, მოტივებზე, მათ განმხორციელებელ უწყებებზე, განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებზე.

აქტიური ღონისძიება შეიძლება იყოს ღია და ფარული სპეციფიკური სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი ღონისძიებების და ოპერაციის შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანს წარმოადგენს საგარეო და შიდა პოლიტიკის ფარგლებში სასარგებლო ზეგავლენის მოხდენა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

თუმცა, აქვე უნდა გავაქარწყლოთ ის არსებული მცდარი წარმოდგენა „აქტიურ ღონისძიებებზე“, რომელთა მიხედვითაც მათი მიზანმიმართული განხორციელება ხდება და ხდებოდა მხოლოდ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე და იქ მოქმედი სახელმწიფო სამსახურებისა და არსებული საზოგადოების მიმართ. ეს რეალობას არ შეესაბამება, ვინაიდან, მსგავსი ოპერაციების გატარება შესაძლებელია (შესაძლებელი და ნებადართული იყო) და დაშვებულია საკუთარი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების, დიასპორების და უმცირესობების მიმართ, რაც რეალურად აქტიურ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მათზე.

აქტიურმა ღონისძიებებმა წარმატებების პიკს მიაღწიეს ცნობილი ცივი ომის პერიოდში, რომელიც მიმდინარეობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე ყოფილ მოკავშირეებს - საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. მსგავსი დამოკიდებულებით და განწყობით საბჭოთა კავშირი მოქმედებდა ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის მიმართ, რომელსაც იმთავითვე აღიქვამდა ანგარიშგასაწევ საფრთხედ.

აქტიური ღონისძიებების ქვეშ მოიაზრებოდა ფარულად ან მოტყუებით ჩადენილი ქმედებები, რომლებიც გამოიყენებოდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმატებით განხორციელების მიზნით. გარდა იმისა, რომ ნებისმიერი ხელისუფლება წარმატებით თუ წარუმატებლად ცდილობს საკუთარი რეპუტაციისა და იმიჯის ამაღლებას ქვეყნის შიგნით მხარდაჭერისა და აღიარების მოპოვების მიზნით, იგივე მონდომებით ცდილობს ნდობისა და პატივისცემის მოპოვებას საერთაშორისო ასპარეზზე. საგარეო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ვექტორად, სხვა საქმიანობებთან ერთად, როგორცაა დიპლომატია, ვაჭრობა, სამართლებრივი დახმარება, სამხედრო თანამშრომლობა, მიმართავენ სადაზვერვო საქმიანობასთან დაახლოებული ღონისძიების სპეციალური სახეს - აქტიურ ღონისძიებებს. აუცილებელია, რომ „აქტიური ღონისძიებები“ განვასხვავოთ წმინდა სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი, ასევე დიპლომატიური საქმიანობისგან. ასევე არ უნდა აგვერიოს იგივე საბჭოთა წარმომავლობის ტერმინში „იდეოლოგიური ოპერაციები“, რომელიც შინაარსობრივად შესაძლოა აღქმული იქნას მსგავს მანიპულაციად, ვინაიდან განწყობებზე ზეგავლენის მიზნით ხორციელდება. რაც შეეხება აქტიური ღონისძიებების მიზანს, იგი გამოხატულია საზოგადოებრივ აზრზე და შეხედულებებზე, ასევე ცალკეულ პირთა, სახელმწიფოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მოქმედებებზე ზემოქმედებაში. მოტივად შესაძლოა მივიჩნიოთ მოჩვენებითი წესრიგისა და კეთილდღეობის საფუძველზე მოქმედი ქვეყნის, სახელისუფლებლო ინსტიტუტების ინტერესების რეალიზება, საზოგადოებაში არსებული ნეგატიური და პოლარიზებული ფონის მოშლა, კეთილგანწყობის მოპოვება. ხშირად, მოტივად ასევე შეიძლება მოგვევლინოს ანგარიშსწორება და შურისძიება, ისეთი ქვეყნების მიმართ, რომელთაგანაც ღია თუ ფარულ კონფრონტაციაში იმყოფება სუბიექტი ქვეყანა.

აქტიურ ღონისძიებებზე საუბრისას, აუცილებელია შევხვით მის მიმართულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ძირითადად საინტერესო უცხო ქვეყნების თანამდებობის პირთა და სპეციალურად განსაზღვრული საზოგადოების კონტინგენტის მიმართ (ვინც ანგარიშგასაწევია, ვისაც შესწევს უნარი გაავრცელოს მიღებული ინფორმაცია,² იქონიოს გავლენა, გააჩნია სათანადო რეპუტაცია,³ სარგებლობს

1 Active measures (Rus: активные мероприятия) - ძირითადად ფარული პოლიტიკური ოპერაციები, დაწყებული დეზინფორმაციული კამპანიებიდან აჯანყებების მოწყობამდე. Литвиненко А.В. Примеры специальных информационных операций, «Специальные информационные операции и пропагандистские кампании»; (Киев, 2000).

2 დეზინფორმაციასთან ერთად, რომელიც ორიენტირებული და გათვლილი იყო საზოგადოებრივი აზრის დამახინჯებაზე ან სახელმწიფო მოხელეების შეცდომაში შეყვანაზე, ყალბად შექმნილი ამბები მიზანმიმართული იყო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების ცალკეული პირების დისკრედიტაციისკენ.

3 ნეგატიური ზეგავლენა - დეზინფორმაცია, პროპაგანდა, ყალბი ცნობების გავრცელება, სახელგამტეხი და რეპუტაციის შემლახავი ინფორმაციის შეთხზვა და გავრცელება. Малявина В.В., Информационные операции: история и современность, Москва, 2015.

სანდოობით) ნეგატიურიან პოზიტიურიზეგავლენის მოხდენას.⁴

ძირითადი ნაწილი აქტიური ღონისძიებები

ზოგადად, აქტიური ღონისძიებები ძირითადად ტარდებოდა და ტარდება ფარულად, სადაზვერვო და სპეციალური სამსახურების მიერ და მათ მიზანს წარმოადგენდა და წარმოადგენს კონკრეტული სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოების შეცდომაში შეყვანა, მტრულად განწყობილი სახელმწიფოების მიმართ ძირგამომთხრელი და დამასუსტებელი საქმიანობის წარმოება,⁵ დაკნინება, რეპუტაციის შელახვა და სხვა მსგავსი მანიპულაციები.⁶

დაინტერესებული ქვეყანა, ანუ ის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია საჭიროება გაატაროს აქტიური ღონისძიებები, აღნიშნულ სპეციალურ მოქმედებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ახორციელებს სახელმწიფოში მოქმედი სპეციალური სამსახურების მეშვეობით. ისტორიულად კონკრეტული ქმედებების გახორციელება ევალებოდათ საბჭოთა სუკ-ის ქვედანაყოფებს, როგორც სადაზვერვო, ისე კონტრდაზვერვით სამსახურებს.

უფრო კონკრეტულად სუკ-ის პირველ მთავარ სამმართველოში (ე.წ. ПГУ - საგარეო მიმართულებით დაზვერვის სამმართველო) შედიოდა სამსახური პირობითი ნიშნით „А“,⁷ რომელიც აქტიური ღონისძიებების აღმნიშვნელი იყო.⁸ ამავე სამსახურის დაქვემდებარებაში იყო სპეციალური დანაყოფი სახელწოდებით „Д“,⁹ რაც დეზინფორმაციის წარმოების გამოხატველი იყო. ეს ყველაფერი აქტიურად ფუნქციონირებდა „ცივი ომის“ პერიოდში და ძირითადი ორიენტირი და სამიზნე იყო ამერიკის შეერთებული შტატები და მისი დისკრედიტაცია.¹⁰ აქვე უნდა ითქვას, რომ სუკ-ის ხსენებული დანაყოფი მჭიდრო საქმიან კავშირში იმყოფებოდა საბჭოთა სოციალისტური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილებასთან. გარდა აღნიშნულისა,¹¹ ყველა საბჭოთა ორგანიზაცია და საზღვარგარეთ არსებული წარმომადგენლობა,¹² ასევე მოჩვენებითი (ყალბი) ორგანიზაციები და მეგობრული საზოგადოებები მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში ჩართული ყოფილიყვნენ აქტიური ღონისძიებების ჩატარების კამპანიაში.¹³

4 პოზიტიურიზეგავლენა - საკუთარი ქვეყნის იმიჯის ამაღლების მიზნით ჟურნალების, გაზეთების ტირაჟირება-გავრცელება, კულტურული ღონისძიებებით (რბილი ძალის) ზემოქმედება. *Малыгина В.В., Информационные операции: история и современность, Москва, 2015,*

5 აქტიური ღონისძიებები - ფარულად ან მოტყუებით ჩადენილი ქმედებები. იგი დაკავშირებულია სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო, ნაწილობრივ დიპლომატიურ და საინფორმაციო საქმიანობასთან. მისი მეშვეობით ხდება საზოგადოებრივ აზრსა და ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა, შეცდომაში შეყვანა. ლომთაძე გიორგი. რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, ინტელექტი. 2017,

6 სსრკ სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემა შეიქმნა უკვე 1920 -იან წლებში. ამ მანქანამ თითქმის მაშინვე დაიწყო სრულ რეჟიმში მუშაობა. საკმარისია გავიხსენოთ მხოლოდ რეპრესიები, რომლებიც განხორციელდა სსრკ-ში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში.

7 Первое главное управление КГБ СССР (ПГУ) — структурное подразделение Комитета государственной безопасности Советского Союза, ответственное за внешнюю разведку. Шариков Павел, Информационные операции в современной военной стратегии.

России. Изд-во Эксмо 2016.

8 სამსახური „А“. ხშირად ერევათ ანალიტიკურ სამსახურში, რომელიც პირველი სამმართველოს პირველი განყოფილება იყო: საინფორმაციო-ანალიტიკური. ამავე სამმართველოში იყო სამსახური „Р“- სადაზვერვო-ანალიტიკური (разведывательно-аналитическая), რომელიც პერიოდულად ადგენდა პოლიტიუროსთვის განკუთვნილ მკაცრად საიდუმლო ბიულეტენს და აღწერდა ყველაზე მნიშვნელოვანი „აქტიური ღონისძიებების“ ქვეყნის მიმდინარეობას და შედეგებს. მოგახსენებთ, საბჭოთა ხელმძღვანელობა თავად იღებდა მონაწილეობას უმსხვილეს პროპაგანდისტულ ღონისძიებებში, ასევე კამპანიებში საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციისთვის.

9 სამმართველო „А“-ს წარმატებული საქმიანობის მაგალითად შეიძლება მიჩნეულ იქნას ის ფაქტი, რომ სუკ-ი ყოველწლიურად აქვეყნებდა 4-5 ყალბ ამერიკის სახელმწიფო დოკუმენტს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია „აშშ არმიის სავლე სახელმძღვანელო-ინსტრუქცია“, დათარიღებული 1970 წელს გენერალ უესტმორლენდის ხელმოწერით.

10 1954 წლის 13 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით შეიქმნა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი. ამ ფორმით, ეს ორგანო არსებობდა სსრკ -ს დაშლამდე. ავტორთა კოლექტივი, საინფორმაციო ომის არსი და მეთოდები. საინფორმაციო ომები: ისტორია, არსი და მეთოდები საინფორმაციო ომის არსი და თავისებურებები, თსუ 2022.

11 Подставные организации и общества дружбы-მოჩვენებითი-ყალბი ორგანიზაციები, როგორც წესი ჩვეულებისამებრ მოქმედებენ არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, ვითომდა არაპოლიტიკური ინტერესის მქონე მსოფლიო მშვიდობის მომხრე სუბიექტები. Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. *Connections: The Quarterly Journal.* (2016). 15 (1). pp. [5-31].

12 ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილება კოორდინაციას უწევდა ისეთი ფრონტალური ორგანიზაციების საქმიანობას, როგორებიც იყვნენ მსოფლიო მშვიდობის საბჭო და პროფკავშირების მსოფლიო ფედერაცია, ასევე ადგილობრივი მეგობრობის ჯგუფები და საზოგადოებები. ყალბი ორგანიზაციები მოქმედებდნენ, როგორც არასამთავრობო, თითქოსდა არაპოლიტიკური ორგანიზაციები ისეთი კეთილშობილური მიზნით, როგორცაა მსოფლიო მშვიდობა.

13 დასავლური წყაროს მონაცემებით სამმართველო „А“-ს ყოველწლიური ბიუჯეტი შეადგენდა 50 მლნ. აშშ დოლარს.

ასევე აღნიშვნის ღირსია საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს ТАСС¹⁴-ის საქმიანობა, რომელიც კოორდინაციაში იყო სუკ-ის შესაბამის სამსახურთან და დაკავებული იყო პროპაგანდით და კონტროლ-პროპაგანდით, ასევე დეზინფორმაციის ფართო გავრცელებით. ანალოგიური საქმიანობით გამოირჩეოდა იმ დროინდელი საინფორმაციო სააგენტო АПН,¹⁵ რომლის საფარქვეშ სხვადასხვა ქვეყნებში კორესპონდენტებისა და ჟურნალისტების სალევალიზაციო დოკუმენტებით,¹⁶ ლეგენდით მოქმედებდნენ დაზვერვის ოფიცრები.

აქტიური ღონისძიებები აერთიანებდა მედიის მანიპულაციასა და კონტროლს, წერილობით და ზეპირ დეზინფორმაციას, საზღვარგარეთ არსებული კომუნისტური პარტიების გამოყენებას, ფარული რადიოსიხშირეების წარმოებას, აჯანყებულების და ტერორისტული ჯგუფების წახალისებასა და მხარდაჭერას. შესაბამისი სამსახურები, აღნიშნული მიზნებისთვის,¹⁷ ასევე წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის არსებულ სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს გავლენების გამტარებლებად.¹⁸

ვინაიდან, წარმატებული საგარეო პოლიტიკის წარმოება არ გულისხმობდა მკაცრად, მხოლოდ ზეგავლენის მოხდენას საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის გარეთ, მისი განხორციელება ნაწილობრივ შესაძლებელი იყო ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც, უცხოურ წარმომადგენლებთან და დელეგაციებთან, მისიებთან, ასევე საკუთარი საზოგადოების კონკრეტულ სემენტთან მიმართებაშიც. ამ შემთხვევაში აქტიური ღონისძიებების გატარების ტვირთი ეკისრებოდათ და ამჟამადაც აკისრიათ კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელ დანაყოფებს.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფებისთვის, აქტიური ღონისძიება წარმოადგენდა მათ პროფესიულ ფუნქციებში შემავალ ერთ-ერთ მიმართულებას, რომლის ქვეშაც იგულისხმებოდა აგენტურული პოზიციების შექმნა მოწინააღმდეგის და მისი გარემოცვის ბანაკებში, მათთან ოპერატიული თამაშების საწარმოებლად, მათი დეზინფორმირებისათვის, კომპრომეტაციისათვის, მათი ოპერატიული ინტერესების გამოვლენის მიზნით.¹⁹

კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთაზე, შპიონაჟზე (ჯაშუშობაზე), პროვოკაციებზე, დივერსიასა და სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა მსგავს ქმედებებზე.

ზოგადად, კონტრდაზვერვითი სამსახურები იყენებენ თავდაცვითი ხასიათის მეთოდებს, როგორებიცაა გამოძიება, შემოწმებები, თვალთვალი, ასევე აქტიურ ღონისძიებებს, მაგალითად: ოპერაციებს ოპერატიული თანამშრომლის ან აგენტის ჩანერგვის, ასევე დეზინფორმირების სახით, გარდა აღნიშნულისა ოპერაციები შესაძლოა მიმართული იყოს მტრულად განწყობილი ორგანიზაციების საქმიანობის შეწყვეტისკენ ან მათი მანიპულირებისკენ, რაც შეიძლება მხარდაჭერილი იყოს ოპერატიული თამაშის მეთოდით.

აქტიური ღონისძიებების გასატარებლად კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი

ი. ანდროპოვის სუკ-ის მინისტრობის პერიოდში სამმართველო გეგმავდა, კოორდინაციას უწევდა და ახორციელებდა „აქტიურ ღონისძიებებს“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. (2016). 15 (1). pp. [46].

14 Телеграфное агентство Советского Союза-საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტო, შეიქმნა 1925 წელს. Малявина В.В., Информационные операции: история и современность, 2015, [12]

15 Агентство печати «Новости»-საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო, შეიქმნა 1961 წელს „სოვინფორმბიუროს“ საფუძველზე. (Совинформбюро - საბჭოთა საინფორმაციო ბიურო). Малявина В.В., Информационные операции: история и современность, 2015, [17]

16 საიმედოობის ხარისხის მიხედვით სალევალიზაციო დოკუმენტები შეიძლება იყოს ნამდვილი და ყალბი. ისინი გამოიყენება აგენტის ან მზვერავის (არალევალის) პროვინების, პროფესიის, საქმიანობის დასადასტურებლად, ლეგენდის ან რეალური მდგომარეობის გასამყარებლად და მხარდასაჭერად, საიმედო დოკუმენტმა უნდა გაუძლოს კონტრდაზვერვით შემოწმებას. Макаренко С.И. Информационное противоборство и радиоэлектронная борьба в сетцентрических войнах начала XXI века. — СПб. 2017. [46-52]

17 საბჭოთა რელიგიურ-პროპაგანდისტული აპარატი (Советский религиозно-пропагандистский аппарат), ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილება, რომელიც იყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების წამყვანი ორგანო, ასევე აკონტროლებდა ურთიერთობას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. Шариков Павел, Информационные операции в современной военной стратегии. России. Изд-во ЭКСМО, 2016. [56]

18 სუკ-ის ბრძოლის საშუალებების არსენალში იდეოლოგიისა და სსრკ-ში არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი სუბიექტების წინააღმდეგ განსაკუთრებული ადგილი ეკავა პრესის, კინოს, თეატრის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით საზოგადოებრივი აზრის მომზადებას და ჩამოყალიბებას. 1978 წელს დაარსდა სსრკ სუკ-ის (КГБ) სპეციალური პრიზი ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, რომელიც მიენიჭათ მწერლებსა და მსახიობებს, რომელთა ნამუშევრებიც ახორციელებდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოების ხელმძღვანელობის იდეოლოგიურ ზრახვებს ან აშუქებდნენ კომიტეტის საქმიანობას. ამ პოლიტიკის წყალობით, განხორციელდა ფილმების გადაღება, როგორებიცაა „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაეღვება“, „ვარიანტი - ომეგა“, „ფარი და ხმალი“, „სახელმწიფო საზღვარი“, „TASS უფლებამოსილია განაცხადოს ...“ Зенгер Харро фон, Стратегемы, т.1-2. — М.: Изд-во ЭКСМО, 2004. [89]

19 ტერმინი გამოიყენებოდა საბჭოთა კავშირის უშიშროების ორგანოების მიერ და გულისხმობდა ოპერაციების და ღონისძიებების სისტემას, რომლის საფუძველზეც ორმაგი აგენტის გამოყენებით მოწინააღმდეგეს მიეწოდებოდა დეზინფორმაციული ხასიათის ინფორმაცია და აგენტურული ანგარიშები საქმიანობის თაობაზე ლეგენდირებული მონაცემებით.

დანაყოფები მოწინააღმდეგის დეზინფორმირებისათვის იყენებდნენ ოპერატიული თამაშის მეთოდს, რომლის დროსაც ჩანერგილი თანამშრომელი ან აგენტი, საინტერესო მხარეს აწვდიდა დეზინფორმაციას, იმყოფებოდა მის გარემოცვაში, აკონტროლებდა მოსალოდნელ და სავარაუდო მოქმედებებს, რის შესახებაც აწვდიდა მონაცემებს დაინტერესებულ (ინიციატორი) მხარეს. აღნიშნული შესაძლოა ასევე განეხორციელებინა მოწინააღმდეგის რიგებიდან გადმობირებულ მზვერავსაც, რომელიც შესაძლოა კომპრომეტირებული ყოფილიყო სხვადასხვა საფუძველით. აქვე არ უნდა გამოვირიცხოთ ნებაყოფლობით მოთანამშრომლე მზვერავი, რომელიც გამოვლენილ იქნა კონტრდაზვერვითი საქმიანობისას, თუმცა ასეთ შემთხვევაში შესაძლოა მავნებლობის ინტერესი მაღალი იყოს მოწინააღმდეგის მხრიდან და დეზინფორმირების რისკიც პირდაპირპროპორციული, ანუ ჩანერგვის მცდელობა მოწინააღმდეგის მხრიდან.

გარდა ზემოხსენებული პერსონებისა ოპერატიულ თამაშში დასაშვებია უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურების მზვერავების-აგენტების და ემისრების გამოყენება,²⁰ რომელთა საქმიანობის ჩავარდნის შესახებ არ არის ცნობილი მოწინააღმდეგე მხარისთვის, ამ შემთხვევაში ასეთი პირები თამაშობენ ორმაგი აგენტის როლს.

ოპერატიულ თამაშზე საუბრისას აუცილებელია შევეხოთ მის ერთ-ერთ აქტიურად გამოყენებად მიმართულებას - რადიოთამაშს (რადიოსპექტაკლი),²¹ რომელიც მიზნად ისახავდა საინტერესო პირის, ჩვენს შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარის სადაზვერვო სამსახურების დეზინფორმირებას და მანიპულირებას იმიტირებული რადიოსადგურის მეშვეობით,²² რადიოარხების გამოყენებით დამახინჯებული და აბსურდული ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული ოპერაციის განსახორციელებლად ძირითად გამოიყენებოდა მოწინააღმდეგის მხრიდან გადმობირებული რადიომეკავშირე ან/და მტრის ბანაკში ჩანერგილი აგენტი. სადაზვერვო სამსახურის რადიომეკავშირეს ეძლეოდა საშუალება იმიტირებული რადიოსადგურებისა და არხების გადაჭერის (რომელიც ხელში ჰქონდა ჩაგდებული დეზინფორმაციის გამავრცელებელს, დაინტერესებულ მხარეს),²³ სადაც ვრცელდებოდა დეზინფორმაციული ხასიათის ინფორმაცია, რომელზე დაყრდნობითაც მოქმედებდა შეცდომაში შეყვანილი თავდამსხმელი სახელმწიფო.²⁴ გადმობირებული რადიომეკავშირის ეთერში გასვლა, ოპერაციის ჩავარდნის რისკის გამოსარიცხად, მკაცრად კონტროლდებოდა რადიოკონტრდაზვერვითი სამსახურის მიერ.²⁵

დეზინფორმაციის სანდოობის ასამაღლებლად და მასზე დაყრდნობით რეაგირების მიზნით, გარდა განგებ დამახინჯებული და აბსურდული ინფორმაციით უზრუნველყოფისა, უდავოდ აუცილებელი იყო დეზინფორმაციაში გავრცელებული ცნობების იმიტირება და შენიღბვა, მოდელირება, რეალობასთან მიახლოება. თუ ცნობა ვრცელდებოდა საჯარისო ნაწილების კონკრეტული მიმართულებით გადაადგილების თაობაზე, თვალთმაქცურად ხორციელდებოდა საჯარისო ნაწილებისა და საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაცია, რათა რადიოარხით მიწოდებული ცნობების სანდოობა მომატებულიყო სადაზვერვო ღონისძიებებით გადამოწმების საფუძველზე.²⁶

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს საიდუმლო აქციების - ფარული ოპერაციების პრაქტიკა, რომელიც აქტიური ღონისძიებების მსგავსად მიზნად ისახავს ზეგავლენის მოხდენას საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკაზე, თავდაცვაზე და ეკონომიკაზე. მსგავსი ოპერაციები გამოიყენება იმ მიზნების მისაღწევად, სადაც უძლურია დიპლომატიური და სხვა პოლიტიკური მეთოდები. ოპერაციები მოიცავს პროპაგანდას, უცხოური პოლიტიკური ან სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერას, ასევე ოპერაციის განმახორციელებელი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად უცხოური ხელისუფლების დახმარებას და სხვა. როგორც წესი, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებად გვევლინებიან დაინტერესებული სახელმწიფოს საგარეო დაზვერვის სამსახურები.

კონტრდაზვერვითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც უკავშირდება აქტიური ღონისძიებების გატარებას საკუთარ ტერიტორიაზე, გარდა უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიმართ (იგულისხმება სადაზვერვო, დიპლომატიური მისიების, კონკრეტული ორგანიზაციების და ცალკეული

20 ემისარი - პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=12848>

21 რადიოთამაშში - აქტიური ღონისძიების ოპერატიული თამაშის ერთ-ერთი სახე, პირველად გამოყენებულ იქნა პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანული სპეცსამსახურების მიერ ინგლისელი დივერსანტების წინააღმდეგ. Гриняев Сергей, «Поле битвы — киберпространство», — Минск, 2004. [25]

22 ინფორმაცია მიეწოდებოდა იმიტირებული სადგურის მეშვეობით - საბრძოლო ძალის რიცხოვნობის, დანაკარგების, შევსების თაობაზე, მათი გადაადგილების, დისლოკაციის, ლოკაციის შეცვლის, მოსალოდნელი თავდასხმების და გეგმების შესახებ, შეიარაღების მოცულობის და მდგომარეობის შესახებ. Arquilla J. Borer D. A. ed. Information Strategy and Warfare A guide to theory and practice. New York NY: Routledge (2007) [45]

23 1945 წლის 5 მაისს დასრულდა ერთ-ერთი ცნობილი რადიოთამაშში „ბერეზინო“, რომელიც შესრულებულ იქნა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მე-3 რეიხის სადაზვერვო დანაყოფების წინააღმდეგ. Boghardt T. Soviet Bloc Intelligence and Its AIDS Disinformation Campaign. Studies in Intelligence. 53 (4) pp. (2009) [1-22]

24 მსგავსი სახის ღონისძიებები ძირითადად, წარმატებულად გამოიყენება საომარი მდგომარეობის დროს.

25 კონტროლი მიზნად ისახავდა გადმობირებული რადიომეკავშირის მხრიდან შტაბისათვის რაიმე სახის მისახვედრი ნიშანის მიცემის რისკის გამორიცხვას. Бояркин В. В., Бояркина Л. А. Методы и цели ведения информационной войны в России. Изд-во Вече 2018. [33]

26 საბჭოთა სუკი წლების განმავლობაში ახორციელებდა „აქტიურ ღონისძიებებს“ საბჭოთა კავშირის და დასავლეთის ტერიტორიაზე, რათა დაეფარა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიით გამოწვეული კატასტროფის მასშტაბები და საფრთხეები. Малявина В.В., Информационные операции: история и современность, 2015, [98]

პირების მიმართ), დაშვებულია მიზანმიმართული იყოს შიდა აუდიტორიის მიმართ.

ვინ მოიაზრება შიდა აუდიტორიაში? ანუ დაინტერესებული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ის პირები და საზოგადოების ნაწილი, ვინც შესაძლოა მარტივად მოექცეს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ზეგავლენის ქვეშ, დაექვემდებაროს გადაბირებას, მონაწილეობა მიიღოს ანტისახელმწიფოებრივ და ძირგამომთხრელ საქმიანობაში, მარტივად მოიხიბლოს დასავლური კულტურითა და შემოთავაზებებით, ცხოვრების წესითა და მოჩვენებითი ფუფუნებით.

ერთ-ერთ ასეთ ოპერაციად შეიძლება დასახელდეს 1970-იან, 1980-იან წლებში ემიგრაციაზე მოფიქრალი საბჭოთა ებრაელების მიმართ განხორციელებული ღონისძიებები. მათ შორის საინტერესოდ მიიჩნევა 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის გამო უკრაინელი ებრაელების გაზრდილი მოთხოვნა ემიგრაციაზე, რის საპასუხოდაც იმჟამინდელმა სუკ-მა გააძლიერა იდეოლოგიური ღონისძიებები სამუშაო ადგილებზე, აკადემიურ წრეებში.²⁷ სუკ-ში იბარებდნენ ებრაელებს პროფილაქტიკური საუბრების განსახორციელებლად, სადაც ზოგ შემთხვევაში აშინებდნენ, ზოგ შემთხვევაში კი აცნობდნენ ყალბ სტატისტიკურ მონაცემებს ავარიის მასშტაბის სიმცირის თაობაზე, ასევე მათ ადანაშაულებდნენ პატრიოტიზმის არქონაში, რაც იმ დროისათვის „სამშობლოს დაღატაკის“ ტოლფასი იყო. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც აკადემიურ პერსონალს დაწინაურების პერსპექტივით იყოლიებდნენ მსგავს კონტინგენტთან მუშაობისთვის, რათა შენელებული ყოფილიყო ემიგრაცია ქვეყნიდან, რაც თავისთავად საბჭოთა კავშირისთვის დამაკნინებელი იყო და მიუთითებდა არასახარბიელო სოციალურ პირობებსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა ხელისუფლება საკუთარი რეპუტაციის შესანარჩუნებლად არ ერიდებოდა სტატისტიკის მონაცემების დამახინჯებას, დეზინფორმაციის გავრცელებას, პროპაგანდას და იდეოლოგიურ ზემოქმედებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

დღევანდელი რეალობა საბჭოთა კავშირის ძირითადი სამართალმემკვიდრისთვის - რუსეთისთვის განსხვავებულია, გამოწვევებიც და საფრთხეებიც გაცილებით მზარდი, ასევე გაზრდილია მოქმედი პირების რიცხოვნობა და მოსალოდნელ კონფლიქტში მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობა, შეცვლილია ასევე სავარაუდო ფრონტის ხაზი, მარტივად რომ ვთქვათ წაშლილია. საომარ სიბრტყეში დაემატა ახალი განზომილება, კოსმოსურის გვერდით აღმოჩნდა მე-5 - კიბერდომენი. შესაბამისად, ის მეთოდები და მიდგომები, რასაც აქტიურად იყენებდნენ საბჭოთა სუკ-ის ქვედანაყოფები დაექვემდებარა მოდიფიცირებას, განვითარებას, სრულყოფას და თანამედროვე სისტემებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ „აქტიური ღონისძიებები“ და მათი განხორციელების მეთოდები საბჭოთა კავშირის დროინდელ ღია ნორმატიულ დოკუმენტებში თითქმის არც არის ნახსენები, ძირითადად მათი განხორციელების სპეციფიკა დარეგულირებული იყო უწყებრივი დონის საიდუმლო გრიფის მქონე აქტებით, უწყების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ბრძანებებით.

აქტიურ ღონისძიებებზე საუბრის პარალელურად მოდიტ განვიხილოთ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მთლიანი სპექტრი თეთრი, რუხი და შავი ოპერაციების პრიზმაში. ნორმალური დიპლომატიური, სავაჭრო, საინფორმაციო ღონისძიებები და დახმარების გაწევა შესაძლოა ჩაითვალოს ღია ანუ „თეთრ საქმიანობად“. „რუხი საქმიანობა“ - ეს არის ღონისძიებათა სინთეზი, რომელიც მოიცავს და გულისხმობს პოლიტიკური ფრონტების, უცხოური მხარდამჭერი პოლიტიკური პარტიების, „არალეგალური“ რადიოსადგურების ან/და ცნობილი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით დეზინფორმაციის გავრცელებას. „შავი საქმიანობა“ განსხვავებით წინამორბედი ორი საქმიანობისგან, მოიცავს რეალურად ფარულ, გასაიდუმლოებულ ოპერაციებს: აღნიშნული ხორციელდება გავლენის აგენტების მეშვეობით, ჭორების გავრცელებით, პოლიტიკოსების და ჟურნალისტების გაბითურებით და ყალბი დოკუმენტების გავრცელებით. აქტიური ღონისძიებები სწორედ რუხი და შავი საქმიანობის კატეგორიაში ხვდება, თუმცა მათ შორის ზღვარი ხშირად წაშლილია.

ყოველივე ამის შემდეგ ვფიქრობთ, რელევანტური იქნება საუბარი განვარდნით დეზინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან ხერხსა და მეთოდზე - პროპაგანდაზე. შევნიშნავთ, რომ პროპაგანდის როლი სოლიდურია ხსენებული საქმიანობის წარმატებით განხორციელებაში.

პროპაგანდა²⁸ (ტერმინი „გავრცელების“ აღმნიშვნელია), რომელიც ჩვენს შემთხვევაში წარმოადგენს დეზინფორმაციის გავრცელების მეთოდს და პროცესს, ემსახურება ყალბი, შეთხზული, დამახინჯებული ინფორმაციის გავრცელებას, ტირაჟირებას. მის სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო, რომლის ინტერესების პროპაგანდირებაც ხორციელდება, ხოლო ობიექტად გვევლინება საზოგადოების ის კონტინგენტი ან სახელმწიფო სახელისუფლებლო ინსტიტუციები, რომელთა აზრის ფორმირებაზეც არის ორიენტირებული პროცესი.

პროპაგანდისგან განსხვავებით, რომლის კონტექსტი და საკვანძო შეტყობინებები ღიაა და

27 იდეოლოგიურ ღონისძიებებს აწარმოებდა იმჟამინდელი სუკ-ის მე-5 სამმართველო პირველ სამმართველოსთან კოორდინაციაში, მიუხედავად იმისა, რომ იდეოლოგიური ღონისძიებები ატარებდა კონტრსადაზვერვო ღონისძიებების სახეს, ხოლო პირველი მთავარი სამმართველო იყო საგარეო სადაზვერვო მიმართულების. Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. (2016). [5-31].

28 პროპაგანდა — ფაქტების, არგუმენტებისა და სხვა ცნობათა სისტემატიური გავრცელება- ტირაჟირება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი საზრისის ჩამოყალიბებას. გარდა დეზინფორმაციის პროპაგანდისა, ეს პროცესი და მეთოდი ხშირად გამოიყენება ნამდვილი და დაუმახინჯებელი ამბების გასავრცელებლად. Armistead L. ed. Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: Potomac Books, Inc. (2004). [88]

ხელმისაწვდომია მიზნობრივი აუდიტორიისთვის, დეზინფორმაციის ოპერაცია ძირითადად შენიღბული და გასაიდუმლოებული უნდა იყოს, აუდიტორია კი ვერ უნდა ხვდებოდეს ინიციატორის განზრახვას და მიზანს.

საბჭოთა უშიშროების სამსახური აქტიური ღონისძიების ამ მიმართულების განსახორციელებლად საზღვარგარეთ იყენებდა გავლენის აგენტების სამ კატეგორიას.²⁹

პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ე.წ. „სანდო პირები“ - უცხო ქვეყნის მაღალი რანგის თანამდებობის პირები (დაინტერესებული მხარის მიერ მხარდაჭერილი პირები მაღალი თანამდებობების დაკავების მიზნით). მეორე კატეგორიას მიაკუთვნებდნენ კონტროლირებად გავლენის აგენტებს ანუ იმ პირებს, რომლებიც სუკ-მა გადმოიბირა ფინანსური დაინტერესების გამო და იღებდნენ გასამრჯელოს. მე-3 კატეგორიას განეკუთვნებოდნენ ის პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ ქვეყნებში, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან და პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე აგენტების აქტიური რეკრუტირება (გადმოიბირება) არ ხორციელდებოდა. მათი საქმიანობა არ იყო ანაზღაურებადი, თუმცა თანამშრომლობა სუკ-თან წახალისებული იყო სხვადასხვა საჩუქრებით და პრივილეგიებით. ესენი იყვნენ მაღალჩინოსნები, მეცნიერები და ჟურნალისტები. გავლენის აგენტებს, გარდა დამახინჯებული და ყალბი ინფორმაციის გავრცელებისა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ, ევალებოდათ საბჭოთა კავშირის მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გაქარწყლება და საპირისპირო აზრის და შეხედულების დამკვიდრება, საბჭოთა კავშირისთვის ხელსაყრელი პოზიციების და გავლენების მხარდაჭერა.

როგორც ვხედავთ, საბჭოთა გამოცდილება პროპაგანდასთან მიმართებაში, საკმარისად სოლიდურია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, თავდაცვის სამინისტრო და საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობდნენ (საქმიანობაზე პასუხისმგებელი იყო სუკ-ის სამსახური „A“) ფაქტებისა და ცნობების ფალსიფიკაციის და ჭორების გავრცელების საკითხში ანუ „შავი პროპაგანდის“ განხორციელებაში. საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების ოფიციალური პოზიციის გასაქდრებლად „ეთერ პროპაგანდაზე“ პასუხისმგებლობას იღებდნენ ბეჭდვის ორგანოები. „რუხი პროპაგანდით“ დაკავებული იყო იმჟამინდელი თავდაცვის სამინისტრო, რამაც აქტიურად იყენებდა საერთაშორისო ყალბ ორგანიზაციებს არალეგალური რადიოგადაცემების ეთერში გასასვლელად უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.³⁰

აღნიშვნის ღირსია, რომ რუსული დეზინფორმაციული საქმიანობის კონტროლის მსგავსი ცენტრალიზებული სისტემა, დღესაც წარმატებულად გამოიყენება კრემლის მიერ. იგი კოორდინირებულია კრემლის მაღალჩინოსანთა ვერტიკალის უმაღლეს დონეზე. უწინდელისგან განსხვავებით დეზინფორმაციული კამპანიის და პროპაგანდისტული მექანიზმების არეალი დღესდღეობით გაცილებით მრავალფეროვანია და მოცულობითი. ადრე თუ მსგავსი მანიპულაციებისთვის გამოიყენებოდა ბეჭდვითი ორგანოები და ტელემედია, ცოცხალი ძალა გავლენის აგენტების სახით, დღეს უმეტესობა მათგანმა დატოვა რეალური საარსებო სივრცე და გადაინაცვლა კიბერსივრცეში - ვირტუალურ სამყაროში, სადაც სასურველი ამბის გამოქვეყნებას სჭირდება რამდენიმე წამი, მინიმალური დანახარჯი და რესურსი, არავითარი სტამბა და გამომცემლობა, საბეჭდი მანქანები, გავრცელების კამპანიები, ფურცელი და საღებავი, ცოცხალი ძალა, ლიტერატურის დარიგება, მხოლოდ კომპიუტერი და გლობალური ქსელი. ინფორმაციის გამოქვეყნებით, რომელიც წამებში ვრცელდება, რამდენიმე წუთში ვიღებთ შედეგს. დღეს უკვე, ზემოაღნიშნული მოძველებული მეთოდების ნაცვლად, „აქტიური ღონისძიებების“ განსახორციელებლად გამოიყენება გამოქვეყნებული ინფორმაციის - პოსტის სპეციალური მრიცხველები, „რეტვიტები“³¹ და „ტროლების ფაბრიკები“.³² თუმცა უნდა ითქვას, რომ ძველი ტექნოლოგიებიდან ეფექტიანობას ინარჩუნებენ ყალბი

29 ტერმინი „გავლენის აგენტი“ ამერიკული განმარტებით ნიშნავს: „პირი, რომელიც შეიძლება გამოიყენო უცხოელ წარმომადგენლებთან ფარული გავლენისთვის, რომელიც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ორგანიზაციებში, გავლენიან წრეებში, რათა ხელი შეუწყოს თავისი ქვეყნის მთავრობის მიზნების განხორციელებას, ან აქვს საშუალება კონკრეტულად იმოქმედოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად“. საბჭოთა და შემდეგ კი რუსეთის სპეცსამსახურების ტერმინოლოგიაში კი მას ასეთი განმარტება აქვს. ეს არის „გადაბირებული და სპეცსამსახურების მიერ ჯამუშურ საქმიანობაში განსწავლული აგენტი, რომელსაც საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა უჭირავს და თავისი სამსახურობრივი მდგომარეობით შეუძლია მიზანმიმართულად უსიტყვო გავლენა მოახდინოს იდეოლოგიაზე, პოლიტიკაზე, ცალკეული მოვლენების განვითარებაზე, მოსახლეობის ან განსაზღვრული სოციალური ჯგუფის აქტიურ მოქმედებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, პარტიაზე, ორგანიზაციებზე, ან ხელი შეუწყოს დაზვერვისთვის სასურველი აზრის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე.“ Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. (2016). [45-57].

30 ამერიკის შეერთებულ შტატებში ფსიქოლოგიური ომის დასაწყისში გამოყოფდნენ რამდენიმე ოპერაციის ტიპს : 1 - „ეთერი“ პროპაგანდა - ესაა პროპაგანდა, რომელიც ვრცელდება და რომელიც აღიარებულია პირველწყაროს მიერ ან მისი ოფიციალური წარმომადგენლობის მიერ. 2 - „ნაცრისფერი“ პროპაგანდა - ესაა პროპაგანდა, რომელიც სპეციალურად არ ახდენს თავისი პირველწყაროს იდენტიფიკაციას. 3 - „შავი“ პროპაგანდა - ესაა პროპაგანდა, რომელიც ცხადდება სხვა გამავრცელებლის სახელით და არა იმის ვინც რეალურად არის მისი ავტორი. (KaraMurza., 2005)

31 რეტვიტი - უკვე გამოქვეყნებული ინფორმაციის მეორადი გამოყენება - გამოქვეყნება, რიცხოვნობის გაზრდა.

32 არალეგალური გაერთიანება, დაქირავებული ადამიანებით დაკომპლექტებული, პოლიტიკური კამპანიის საწარმოებლად, როგორც სახელმწიფოს, ისევე კერძო პირების მიმართ, დეზინფორმაციის პროპაგანდისთვის, არაადექვატური და პროვოკაციული განცხადებებისა და ინფორმაციების გასავრცელებლად. შესაძლოა კამპანია იყოს ვისიმე მხარდამჭერი ან ვინმეს მიმართ მტრულად განწყობილი. ავტორთა კოლექტივი, საინფორმაციო ომის არსი და მეთოდები. საინფორმაციო ომები: ისტორია, არსი და მეთოდები საინფორმაციო ომის არსი და თავისებურებები, თსუ 2022. [36]

ჯგუფები, მეგობრული საზოგადოებები და გავლენის აგენტები.

საინფორმაციო ომი და საინფორმაციო ოპერაციები

დღეს უკვე ბევრს საუბრობენ ომის წარმოების ხერხების მრავალფეროვნებაზე და მოდერნიზაციაზე. თანამედროვე რეალობაში ფეხი აქტიურად მოიკიდა ომის ჰიბრიდულმა სახეობამ, რომლის ერთ-ერთ მიმართულებასაც წარმოადგენს საინფორმაციო ომი, ხშირ შემთხვევებში ოპერაციები. ვინაიდან ომზეა საუბარი, არ უნდა ჩავთვალოთ, რომ მხოლოდ სამხედრო მოქმედებებთან არის იგი დაკავშირებული, საინფორმაციო ოპერაციების ნაწილი მოიცავს, როგორც სადაზვერვო, ისე კონტრდაზვერვითი ხასიათის საქმიანობას.

მოცემული სტატიის ამ თავში საუბარი გვექნება ეროვნული უსაფრთხოების მიზნით განხორციელებულ საინფორმაციო ოპერაციებზე, რომლებიც დაკავშირებულია მოწინააღმდეგის მოტყუებასა და დასუსტებასთან, ძირგამომთხრელ და დივერსიულ საქმიანობასთან.

საინფორმაციო ომების და ოპერაციების მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკასა და ყოველდღიურობაში,³³ გახდა ფართო განხილვის საგანი. ერთი შეხედვით გვცალიბდება შთაბეჭდილება, რომ მსგავსი ომების არსი მარტივად ინტერპრეტირდება, თუმცა გართულებულია ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს მსგავს საფრთხეებთან გამკლავება. შესაბამისად, არ იქნება ურიგო თუ მოვახდენთ საინფორმაციო ომისა და საინფორმაციო ოპერაციების მოკლე ექსკურსს.

რაც შეეხება საინფორმაციო ომს, იგი წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებას საინფორმაციო სივრცეში, მოწინააღმდეგის საინფორმაციო სისტემების, პროცესების და რესურსების, კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრუქტურების დაზიანების მიზნით; ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემების დაზიანების მოტივით, სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენისა და დესტაბილიზაციის მიზნით. მსგავსი ხასიათის ზემოქმედება ასევე მიზნად ისახავს, საინტერესო სახელმწიფოს იძულებას იმოქმედოს აგრესორი სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად.

საინფორმაციო ომის ორ ძირითად სახეს გამოყოფენ, ესენია ფსიქოლოგიური ომი, რომელსაც ზოგიერთი სპეციალისტი მიაკუთვნებს ასევე საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ომს და საინფორმაციო-ტექნიკური ომი. რიგი სპეციალისტებისა ამ უკანასკნელ ფენომენს ახალ განმარტებას სძენს და მას მოიხსენიებენ, როგორც ტექნოსფეროს ომს.³⁴

სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საინფორმაციო ომი შესაძლოა წარიმართოს და მიმდინარეობდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში - ეკონომიკაში, პოლიტიკაში, სამხედრო საქმიანობაში, სოციალურ ურთიერთობებში, სასულიერო ცხოვრება-მსახურებასა და განსაკუთრებით იდეოლოგიურ ზემოქმედებაში.

საინფორმაციო ომის მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგეზე ისეთი სახის ზეგავლენის მოხდენა, რომლის შედეგადაც ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად იღებს თავდამსხმელისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს. რაც შეეხება საინფორმაციო ომის წარმოების ობიექტებს - მათ განეკუთვნებიან საინფორმაციო სისტემები და ინფორმაციის გაცვლის ქსელები (შესაბამისი გადამცემი ხაზები, ინფორმაციის დამამუშავებელი ცენტრები და ამ სისტემების გამართულობაზე პასუხისმგებელი ადამიანური რესურსები), ასევე შეიარაღების სისტემებში გამოყენებადი საინფორმაციო ტექნოლოგიები.

საინფორმაციო ომის პროგრესულმა განვითარებამ თვალნათელი გახადა მისი მასშტაბურობა და ზემოქმედების არეალის სიდიდე და ეფექტიანობა. დღეს, უკვე შესაძლოა ვისაუბროთ საინფორმაციო ომის სამ ელემენტზე, რომელსაც იგი მოიცავს: მორალური ომი, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგეში არსებული გამარჯვების მიღწევის ნების გატეხვას მოკავშირეებისგან (ან პოტენციური მოკავშირეებისგან) მისი დაშორების გზით, საერთო შეხედულებების და რწმენის შერყევისა და შიდა დანაწევრების ხარჯზე. მენტალური ომი - რომელიც ხელს უწყობს მოწინააღმდეგე მხარის აღქმადობის დეფორმაცია-დამახინჯებას დეზინფორმაციის და არსებულ სიტუაციაზე არასწორი წარმოდგენის ჩამოყალიბების საფუძველზე. გარდა ხსენებულისა, მესამე ელემენტს წარმოადგენს - ფიზიკური ომი, რომელიც გულისხმობს მოწინააღმდეგის სახელმწიფო და სამხედრო მმართველობას დაქვემდებარებულ საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო

33 საინფორმაციო ომი უნდა განვასხვავოთ საინფორმაციო ოპერაციებისგან, რომელთაგან მიმართებაში ვისაუბრებთ ნაშრომში. ომი წარმოადგენს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურებზე სამხედრო-პოლიტიკური ზემოქმედების კომპლექსს, რომელიც მოიცავს საინფორმაციო და მსგავსი ხასიათის ოპერაციებს, დღეს უკვე აღნიშნული შესაძლოა მიმდინარეობდეს ვირტუალურ სამყაროშიც.

34 ტექნოსფერო - დედამიწის ზედაპირის ახალი ხელოვნური ფენა, რომელიც მუდმივად იზრდება და წარმოიშვა ადამიანის ექსკლუზიური მოქმედებით. ეს არის სისტემა, რომელიც შედგება ყველა იმ საგნისგან, რომელსაც ადამიანები ქმნიდნენ: ძეგლებიდან, ქარხნებიდან, აეროპორტებიდან, ქუჩებიდან და ხიდეებიდან დაწყებული, წვრილმანი საგნებით, როგორებიცაა წიგნები, ტანსაცმელი, მანქანები, კომპიუტერები და მობილური ტელეფონები, დამთავრებული. ტექნოსფერო განიხილება, როგორც სივრცე, სადაც ხდება კულტურისა და ცხოვრების წარმოქმნა და გამოიხატება იმ კომუნიკაციური და სოციალური ურთიერთობებით, რომლებსაც ადამიანები ამყარებენ ყოველდღიურად, ტექნოლოგია კი მისთვის სასიცოცხლო ასპექტია. შუბითიძე ერეკლე. საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე. თბილისი. მერიდიანი. 2021 [59]

სისტემების და სხვა ფიზიკური რესურსების დაზიანება-განადგურებას.

საინფორმაციო ომი შედგება საინფორმაციო ოპერაციების ერთობლიობისაგან, რომელიც ხორციელდება საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო უპირატესობის მისაღწევად. თუმცა, აქვე უნდა განვასხვავოთ საინფორმაციო ომი კომპიუტერული დანაშაულისგან (computer crime),³⁵ რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ კანონის დარღვევას და მიზნად ისახავს უშუალოდ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ზიანის მიყენებას საინტერსო პირის კომპიუტერულ სისტემაში დაცულ ინფორმაციაზე.

საინფორმაციო ოპერაციები (Information Operation)

საინფორმაციო ოპერაციების კლასიკურ მაგალითად შეგვიძლია მოვიტანოთ ისტორიულ წარსულში (XII საუკუნე ძვ. წ.) გატარებული ღონისძიება ოდისევსის მიერ (ტროას ცხენის მეშვეობით) ტროას ხელში ჩაგდების მიზნით, რომლის საფუძველზეც დეზინფორმაციის მეთოდის გამოყენებით მოატყუეს მოწინააღმდეგე.

უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო ოპერაციები, ამა თუ იმ ფორმით, პრაქტიკულად გამოიყენებოდა ყველა ომში, რაც კი კაცობრიობას უწარმოებია. მე-20 საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს, დაარსებულ იქნა სპეციალური სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც დაკავებული იყვნენ მსგავსი სახის ოპერაციების შემუშავებით და რეალიზებით. მაგალითისთვის, დიდ ბრიტანეთში შეიქმნა „ინფორმაციის სამინისტრო“ ლორდ ბივერბრუკის (ლორდი უილიამ ბივერბრუკი-ბრიტანელი საგაზეთო მაგნატი (1879-1964 წწ.), ჩერჩილის მთავრობის წევრი) ხელმძღვანელობით, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა აქტიური სააგიტაციო და პროპაგანდისტული სამუშაოებისა და დეზინფორმაციული ოპერაციების გატარება ანტანტის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მიმართ.³⁶ მსგავს ძლიერ სტრუქტურად შეგვიძლია დავასახელოთ ჯერ კიდევ 1920 წელს ბოლშევიკების მიერ შექმნილი ცენტრალურ კომიტეტს ЦК РКП(б) დაქვემდებარებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული განყოფილება „აგიტპროპ“-ი,³⁷ რომელიც შემდგომში ფუნქციონირებდა სხვა არაერთი სახელწოდებით. თუმცა, დროთა განმავლობაში აღნიშნულმა ორგანომ დაკარგა თავისი რევოლუციური ხასიათი,³⁸ გადაეშვა დოგმატიზმში და დეგრადირდა, რაც საბოლოოდ გახდა „ცივ ომში“ დამარცხებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის საფუძველი.³⁹

მოვიშველიოთ საინფორმაციო ოპერაციების ზოგადი განმარტება:

მოწინააღმდეგის ინფორმაციის და საინფორმაციო სისტემებზე ზემოქმედების გზით ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ინფორმაციული უპირატესობის მოსაპოვებლად გატარებული ღონისძიებები, რომლის პარალელურად მიმდინარეობს მოქმედებები საკუთარი ინფორმაციის და ინფორმაციული სისტემებისა და ინფრასტრუქტურის დაცვის გამყარების მიზნით. ინფორმაციული უპირატესობა თავის მხრივ გულისხმობს უნარს, შეაგროვოს, დაამუშაოს და გაანაწილოს ინფორმაციის უწყვეტი ნაკადი არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში, პარალელურად მოწინააღმდეგეს უნდა შეეზღუდოს მსგავსი მანიპულაციების გატარების შესაძლებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული უპირატესობა ასევე გულისხმობს - სახელმწიფოს (უწყების-დაინტერესებული მხარის) უნარს უზრუნველყოს ოპერაციების გატარების ისეთი ტემპი, რომელიც აჭარბებს მოწინააღმდეგის შესაძლო მაქსიმალურ ტემპს და იძლევა საშუალებას მისი წარმოების პერიოდში დომინანტი, არაგანჭკვრეტადი, არაპროგნოზირებადი პოზიციის შენარჩუნებას.

ინფორმაციული ოპერაციების განხორციელებისას ზემოქმედების ძირითად ობიექტებად მიიჩნევა: სახელმწიფო მმართველობის ორგანოები და მისი შეიარაღებული ძალები; სამოქალაქო ინფრასტრუქტურის საინფორმაციო-მართვის სისტემები (სატელეკომუნიკაციო, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, სატრანსპორტო, ენერგეტიკული, საფინანსო და სამრეწველო სექტორები); სამხედრო ინფრასტრუქტურის საინფორმაციო-მართვის ელემენტები (კავშირგაბმულობის სისტემები, სადაზვერვო, საბრძოლო მართვის, ზურგის სამსახურები) და სხვა მსგავსი სისტემები.

35 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, კიბერდანაშაულად მიჩნეულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც მოიცავს იმავე კოდექსის 284-ე, 285-ე და 286-ე მუხლების დისპოზიციაში მოყვანილ ერთ-ერთ კომპონენტს მაინც და არა ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ჩადენილს კომპიუტერული სისტემის გამოყენებით. მაგალითად კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა (284), კომპიუტერულ სისტემაში შეღწევისათვის საჭირო პაროლის ან დაშვების კოდის უნებართვო გავრცელება (285), კომპიუტერული მონაცემის უნებართვო დაზიანება (286) და სხვ.

36 აგიტაცია-პროპაგანდისტული მუშაობა მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ან ფართო მასების პოლიტიკურად გააქტიურების მიზნით წარმოადგენს პოლიტიკური ბრძოლის გავრცელებულ ინსტრუმენტს. განასხვავებენ ა-ის ზეპირ, ბეჭდვით და აუდიოვიზუალურ ფორმებს. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2681>

37 ანტანტა - (ფრანგული entente - თანხმობა) - ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი (ცნობილია აგრეთვე „სამთა თანხმობის“ სახელწოდებით), რომელსაც 1915 წელს შეუერთდა იტალია. ლომთაძე გიორგი. რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, ინტელექტი. 2017 [14]

38 ЦК РКП(б) - Центральный комитет Российской коммунистической партии (большевик); ბოლშევიკების რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

39 აგიტ-პროპი (რუს. агитпроп) აგიტაცია-პროპაგანდა. ტერმინი გაჩნდა ბოლშევიკურ რუსეთში, გამოიყენებოდა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების შემოკლებულ სახელწოდებად. მას მოგვიანებით იდეოლოგიური განყოფილება დაარქვეს. Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. (2016). [37]

ლოგიკურია, რომ საინფორმაციო ოპერაციებში იარაღად ინფორმაცია გამოიყენება, რომელიც რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, არა ნაკლებ ეფექტურად ახდენს ზეგავლენას მოწინააღმდეგეზე, ვიდრე სხვა იარაღები და იწვევს მისი ფსიქოლოგიური განწყობების შეცვლას. ასეთი ინფორმაცია მოწინააღმდეგეში უნდა იწვევდეს ნდობას და განწყობის ტრანსფორმაციის შესაძლებლობას, შესაბამისად, მის ორგანიზებას და მიზანმიმართულად გავრცელებას საკმარისად დიდი ძალისხმევა სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს საინფორმაციო ოპერაციების წარმოებას მეტი ხელშეწყობა გააჩნია ტექნოლოგიური პროგრესის თვალსაზრისით, რამდენიმე ათეული წლის წინ დაპირისპირებული ქვეყნები მაინც ახერხებდნენ და საკმარისად წარმატებულად იყენებდნენ მსგავსი სახის ოპერაციებს საკუთარი ინტერესების გასატარებლად და მიზნის მისაღწევად. საინფორმაციო (ინფორმაციული) იარაღი ცვლის არამხოლოდ სამხედრო მოქმედებების მეთოდებს, არამედ ომის შინაარსს, შლის ზღვარს სამხედრო და მშვიდობიან ვითარებებს შორის, ხდება აღრევა სამხედრო და სამშვიდობო ტექნოლოგიების, ფართოდება „იარაღის“ ცნება. ჩნდება შესაძლებლობა მოიგო ომი მოწინააღმდეგისთვის ფიზიკური ზიანის (თუ არ ჩავთვლით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ან/და საინფორმაციო ინფრასტრუქტურულ დაზიანებას კიბერთავდასხმის შემთხვევაში) მიყენებისა და მის ტერიტორიაზე შეღწევის გარეშე.⁴⁰

საინფორმაციო ოპერაციების კლასიფიცირება დასაშვებია სახელმწიფო და სამხედრო დონეებზე. სახელმწიფო დონეზე საინფორმაციო ოპერაციების მიზანს წარმოადგენს კონკურენტი სახელმწიფოს პოზიციების დასუსტება, ძირგამომთხრელი საქმიანობა, სახელმწიფო მართვის სისტემების დასუსტება პოლიტიკურ, დიპლომატიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე ინფორმაციული ზემოქმედების გზით, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების გატარებით, ძირგამომთხრელი და მადემორალიზებული პროპაგანდისტული აქციებით. გარდა ხსენებულისა, საინფორმაციო ოპერაციები სახელმწიფო დონეზე ასევე შესაძლოა ემსახუროდეს ეროვნულ ინტერესებს, საერთაშორისო კონფლიქტების პრევენციას, პროვოკაციული და ტერორისტული ქმედებების აღკვეთას.

სამხედრო დონეზე საინფორმაციო ოპერაციები წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც იმართება ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფარგლებში, საინფორმაციო უპირატესობის მოსაპოვებლად მტერთან მიმართებაში და ამავდროულად საკუთარი მართვის სისტემების დასაცავად.

გადასაწყვეტი ამოცანის ხასიათიდან გამომდინარე საინფორმაციო ოპერაციები შეიძლება იყოს თავდაცვითი და თავდასხმითი:

თავდაცვითი საინფორმაციო ოპერაციების მიზანი — საინფორმაციო ომის წარმოების პირობებში საინფორმაციო და მართვის სისტემებით მიზნობრივი ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა, ასევე საინფორმაციო რესურსების დაცვის და მოწინააღმდეგის მხრიდან მასზე არასანქცირებული წვდომის, მისი დამახინჯების, დაკარგვის, მოპარვის ან გაჟონვის თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

საკუთარი საინფორმაციო რესურსების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავდაცვითი საინფორმაციო ოპერაციები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

- საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
- ოპერატიულ უსაფრთხოებას;
- მოწინააღმდეგის ოპერატიული შენობების გამომჟღავნების ღონისძიებებს;
- კონტროლპროპაგანდასა და კონტრდეზინფორმაციას;
- კონტრდაზვერვას;
- რადიოელექტრონულ დაცვას;
- სპეციალურ საინფორმაციო ოპერაციებს.

თავდაცვითი საინფორმაციო ოპერაციები უნდა უზრუნველყოფდეს მონაცემთა გადაცემის თანამედროვეობას (ტექნიკური და უსაფრთხოების თვალსაზრისით) და სიზუსტეს, გარანტირებულ წვდომას მასზე იმ შემთხვევაშიც თუ მოწინააღმდეგის მხრიდან ადგილი ექნება დესტრუქციულ ზემოქმედებას.

თავდასხმითი საინფორმაციო ოპერაციები — მოწინააღმდეგის საინფორმაციო-მართვით სისტემებსა და ინფრასტრუქტურაზე, ასევე ობიექტებზე კომპლექსური, (პროგრამულ-მათემატიკური) ოპერატიულად შენობული შეტევითი ღონისძიებაა, რომლებიც მიზნად ისახავს მის განადგურებას (ან მწყობრიდან გამოყვანას). ხსენებული ღონისძიებები ასევე მოიცავს ისეთ ზომებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანების ცნობიერებაზე და ხელს უშლიან გადაწყვეტილების მიღების პროცესს, ამუხრუჭებენ ან/და ანადგურებენ საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირების პროცესს და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ შემადგენელ ელემენტებს.

თავდასხმითი საინფორმაციო ოპერაციები მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

1. ოპერატიული შენობა:
 - დეზინფორმაცია;
 - იმიტაცია;
 - დემონსტრაციული მოქმედებები;
 - მოქმედებების ფარულობის უზრუნველყოფა.
2. ფსიქოლოგიური ოპერაციები.
3. რადიოელექტრონული ბრძოლა:
 - რადიოელექტრონული თავდასხმები;

40 ფიზიკურ ზიანში ავტორი გულისხმობს ადამიანური რესურსის და საბრძოლო შეიარაღების დაზიანებას და განადგურებას.

- რადიოელექტრონული დაცვა;
- რადიოელექტრონული უზრუნველყოფა.

საინფორმაციო ოპერაციების შედარებითი ანალიზი

სწორედ, საინფორმაციო ოპერაციების წარმოებით ცდილობდა საბჭოთა კავშირი მოკავშირეებთან ერთად „ცივი ომის“ მიმდინარეობისას სასურველი შედეგის მიღწევას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მის მოკავშირეებთან მიმართებაში.⁴¹

„ცივი ომის“ პერიოდში საინფორმაციო ოპერაციების წარმოებით დაკავებული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, რომელიც სადაზვერვო და კონტრდაზვერვით სამსახურებს დაქვემდებარებული სტრუქტურული დანაყოფების მეშვეობით ავრცელებდა დეზინფორმაციას, ეწეოდა პროპაგანდას და კონტრპროპაგანდას სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რათა მოჩვენებით სანდო ინფორმაციის საფუძველზე ეწარმოებინა ძირ-გამომთხრელი, დამასუსტებელი, დამაკნინებელი საქმიანობა საკუთარი მიზნების მისაღწევად.

მოგეხსნებათ, „ცივი ომის“ პერიოდში საინფორმაციო ოპერაციების საწარმოებლად საჭირო საშუალებები, არც ისე მრავლად იყო. ოპერაციები მხარდაჭერილი იყო საბჭოთა სუკის მიერ, ასევე დიპლომატიური სამსახურების, საზღვარგარეთ არსებული ბეჭდვითი და გავლენის ქვეშ მოქცეული საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით.

საინფორმაციო ოპერაციები აერთიანებდა მედიის მანიპულაციასა და კონტროლს, წერილობით და ზეპირ დეზინფორმაციას, საზღვარგარეთ მოქმედი კომუნისტური პარტიების გამოყენებას, ფარული რადიო სიხშირეების წარმოებას. შესაბამისი სამსახურები, აღნიშნული მიზნებისთვის, ასევე წარმატებით იყენებდნენ საბჭოთა კავშირში იმ დროისათვის არსებულ სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებს⁴² გავლენების გამტარებლებად.⁴³

ვინაიდან, წარმატებული საგარეო პოლიტიკის წარმოება არ გულისხმობდა მკაცრად, მხოლოდ ზეგავლენის მოხდენას საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის გარეთ, მისი განხორციელება ნაწილობრივ შესაძლებელი იყო ქვეყნის შიდა ტერიტორიაზეც, უცხოურ წარმომადგენლებთან და დელეგაციებთან, მისიებთან, ასევე საკუთარი საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტთან მიმართებაშიც.

საბჭოთა სუკ-ის პარალელურად საინფორმაციო ბრძოლაში ჩართული იყო ასევე იმჟამინდელი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული დანაყოფი, რომელიც დაკავებული იყო პროპაგანდით, კონტრპროპაგანდით და ფსიქოლოგიური ოპერაციებით.

ჩვენს საუკუნეში დაპირისპირებულ მხარეებს შორის ომის წარმოების ტაქტიკა შეიცვალა. დაპირისპირება კონკრეტულ სახელმწიფოებს შორის თვალსაჩინოა, თუმცა ხშირ შემთხვევაში სახე იცვალა ომის იარაღმა და მისი გამოყენების მეთოდებმა. სწორედ, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ და სრულყოფამ, ხელი შეუწყო დისტანციურად, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეღწევის გარეშე სასურველი მიზნის მიღწევას.

აღნიშნულ კატეგორიას განეკუთვნება დეზინფორმაცია, პროპაგანდა, კიბერ თავდასხმა, ფსიქოლოგიური ზეწოლა ოპერაციების სახით და სხვა მსგავსები. უდავოა, რომ რუსეთი განსაკუთრებით წარმატებულად ფლობს თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებს და კიბერნეტიკული შესაძლებლობების გამოყენებით ახდენს საკუთარი ინტერესების გატარებას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის ფაქტი, რაც დღემდე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს.⁴⁴

თვალნათელია, რომ წარმატებული საინფორმაციო ოპერაციების განხორციელების მთავარ ხელშემწყობს წარმოადგენს გლობალური ქსელი ინტერნეტის სახით, რომლის მეშვეობითაც იმართება სრული საკომუნიკაციო პლატფორმები, მათ შორის სატელევიზიო არხები, სოციალური მედია და კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალებები. აღნიშნული გარემოება რუსეთს ხელს უწყობს მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან ახლო კავშირში ყოფნაში, ასევე მას ეძლევა საშუალება გაცილებით მარტივად და

41 ცივი ომი - მსოფლიო ასპარეზზე, ერთი მხრივ, აშშ-ს და მის მოკავშირეებს ხოლო, მეორე მხრივ, სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაციისა და დაპირისპირების მდგომარეობა. ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი და ქვეხიშვილი სანდრო. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. თბილისი. თსუ 2016. [46-58]

42 საბჭოთარელიგიურ-პროპაგანდისტული აპარატი (Советский религиозно-пропагандистский аппарат), ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილება, იყო საბჭოთა საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების წამყვანი ორგანო, ასევე აკონტროლებდა ურთიერთობას ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. Armistead L. ed. Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: Potomac Books, Inc. [23-44]

43 სუკ-ის ბრძოლის საშუალებების არსენალში იდეოლოგიისა და სსრკ-ში არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი მტრულად განწყობილი სუბიექტების წინააღმდეგ განსაკუთრებული ადგილი ეკავა პრესის, კინოს, თეატრის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით საზოგადოებრივი აზრის მომზადებას და ჩამოყალიბებას.

44 განსაკუთრებული და გლობალური ყურადღება მიიქცია 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებმა, რომელშიც აშშ-ის დაზვერვის სამსახურებმა საინფორმაციო სივრცეში რუსული გავლენის კვალს მიაგნეს (Kelly & Bowman 2016). ავტორთა კოლექტივი, საინფორმაციო ომის არსი და მეთოდები. საინფორმაციო ომები: ისტორია, არსი და მეთოდები საინფორმაციო ომის არსი და თავისებურებები, თსუ 2022. [45-78]

ლატენტურად შეაღწიოს სასურველი ქვეყნის საზოგადოებაში და იმოქმედოს სურვილისებრ, გარდა ამისა, კიბეროპერაციებისა და ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით გავლენა მოახდინოს უცხოელ მაღალჩინოსნებსა და სახელისუფლებო გუნდებზე.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა საინფორმაციო ომის წარმოების მეთოდები და მიზნის მიღწევის საშუალებები, დეზინფორმაციის გავრცელება, პროპაგანდა, გავლენის აგენტები, ისევე ინარჩუნებენ აქტიური ზემოქმედების განხორციელების სტატუსს. შეიცვალა მათი გამოყენების არეალი, გაფართოვდა და გამრავალფეროვნდა ინფორმაციის გავრცელების საშუალებები და დაფარვის ზონები და ფართობი, გავრცელების სისწრაფე, შედეგის მიღების პერიოდი, ხელშესახები გახდა ოპერაციის ზემოქმედების გაზომვადობა, შეიქმნა საშუალება ახალი ოპერაციების სწრაფად და ორგანიზებულად პროგნოზირების და დაგეგმვის, შესაბამისად განხორციელების. თუ, ძველ ეპოქაში საინფორმაციო ოპერაციების განხორციელება ხდებოდა დეზინფორმაციის შემცველი ფურცლების გავრცელებით მშვიდობიან მოსახლეობასა და სამხედრო მოსამსახურეებში, ასევე რადიოპროპაგანდის და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩანერგილი აგენტების მიერ ჭორების გავრცელებით, მსგავსი ხასიათის მოქმედებები რეალობას მოკლებულია, ვინაიდან ყველაფერი გამართვდა და შეიცვალა.

ინფორმაციული წინააღმდეგობის გაწევის კომპლექსური ოპერაციის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1979 წლის დასასრულს ავღანეთში საბჭოთა კავშირის სამხედრო კამპანიის დასაწყისში წარმოებული მოქმედებები. ეს საქმიანობა მოიცავდა დაკავებული ტერიტორიის დაფარვას მძლავრი რადიოპროპაგანდისტული ქსელით, ჭორების გავრცელებას, ანეგდოტების და ადგილობრივი ოპოზიციის ლიდერების სხვადასხვა მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გავრცელებას, ადგილობრივი მოსახლეობის თანამშრომლობაზე დაყოლიების მიზნით მათთვის უსასყიდლოდ საწვავისა და პროდუქტების გადაცემას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ, უმთავრესად ინტერნეტის და მასმედიის გლობალიზაციამ, გამოიწვია პროპაგანდის და კონტროპროპაგანდის, როგორც სამხედრო ისე უსაფრთხოების მიმართულებით მომსახურე აპარატებისა და სტრუქტურების, მათი საქმიანობის მოდერნიზაცია. ერთ-ერთ ასეთ ნოვაციად მიიჩნევა კიბერსივრცეში ოპერაციების საწარმოებლად სპეციალური სტრუქტურების შექმნა, კერძოდ ფსიქოლოგიური ოპერაციების საწარმოებლად (PsyOps) და მოწინააღმდეგის მხრიდან საინფორმაციო ოპერაციების შესაკავებლად გამიზნული დანაყოფები.⁴⁵ 2017 წელს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში შეიქმნა საინფორმაციო ოპერაციების ჯარები.⁴⁶ გაცილებით ადრე 2012 წელს რუსეთის ფედერაციის სამხედრო ელიტაში აქტიურად განიხილებოდა ვირტუალურ საფრთხეებთან გამკლავების მიზნით შექმნილი ყოფილიყო კიბერძალები,⁴⁷ თუმცა, მისი ცალკეულ სახეობად ჩამოყალიბება დღემდე არ განხორციელებულა. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ სწორედ საინფორმაციო ოპერაციების ძალებშია მოქცეული კიბერწინააღმდეგობის და ვირტუალურ საფრთხეებთან ბრძოლის დანაყოფი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთს, ისევე როგორც მის წინამორბედს, ფარული კამპანიების განხორციელების დიდი ისტორიული გამოცდილება გააჩნია, რომლის ფარგლებშიც აქტიურად იყენებს დაზვერვის ოფიცრებსა და მედია საშუალებებს კრემლის მიმართ მტრულად განწყობილი კანდიდატების დისკრედიტირებისთვის. რუსეთი საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში იყენებს ისეთ ინსტრუმენტთა ერთობლიობას როგორცაა:

- კიბერშეტევები;
- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული მედია საშუალებები;
- შუამავლები (third-party intermediaries);
- სოციალური მედია და ინტერნეტ „ტროლები“;
- პოსტ-სიმართლე (Post-Truth).⁴⁸

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მხრიდან მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად რბილი ძალის და პროპაგანდის გამოყენება სულ უფრო შესამჩნევი ხდება.⁴⁹ რუსეთის შესაბამისი სამსახურები წარმატებით იყენებენ კრემლის რეჟიმის მხარდამჭერი ნარა-

45 PsyOps-ფსიქოლოგიური ოპერაციები - მოწინააღმდეგის ჯარებსა და მოსახლეობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც შეთანხმებულია მიზნების, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით. Armistead L. ed. Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: (2004). Potomac Books, Inc. [21]

46 Войска информационных операций — формирование Вооружённых сил Российской Федерации, находящееся в подчинении Министерства обороны. Гриняев Сергей, «Поле битвы — киберпространство», — Минск, 2004. [36-38]

47 კიბერძალები-კიბერარმია-კიბერრეზერვი-თანამედროვე ვირტუალურ სივრცეში არსებულ კიბერსაფრთხეებთან გამკლავებისა და ნეიტრალიზაციის მიზნით შექმნილი სამხედრო დანაყოფი.

48 პოსტ-სიმართლე არის რეალობის განზრახ დამახინჯება. იგი გამოიყენება იმ ფაქტების საჩვენებლად, რომლებშიც პირადი გრძნობები ან რწმენა უფრო მეტად მოქმედებს ვიდრე თავად ფაქტები. ეს ტერმინი არის ნეოლოგიზმი, ანუ ეს არის სიტყვა, რომელიც ახლახან გამოჩნდა ჩვენს სასაუბრო ენაში, დაახლოებით 1992 წელს ინგლისურად, როგორც პოსტ-სიმართლე, ემოციური ტყუილების დასახელება. იგი შედგება პრეფიქსი 'post' და სიტყვა 'truth'. სპეციალისტები უკავშირებენ ტერმინს პოსტ-ჭეშმარიტება სხვადასხვა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც ბოლო წლებში მოხდა. ლომთაძე გიორგი. რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, ინტელექტი. 2017 [55]

49 (ინგლ. soft power) — საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული ცნება, რომელიც აღწერს ძალაუფლების გამოყენების,

ტივების შექმნისა და გავრცელების მეთოდს, ამახინჯებენ ისტორიულ ფაქტებს, ღირებულებით სისტემაზე მანიპულაციით და დეზინფორმაციით ცდილობენ ლეგიტიმაცია შესძინონ საგარეო ქმედებებს და მოახდინონ საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გამართლება. ამკარაა, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის ინტერესი საკმარისად გამოკვეთილია და 2008 წლის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსისკენ მიმართულ ქმედებებთან ერთად აქტიურ კამპანიას ეწევა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების შეფერხების კუთხით.

დასკვნა

ნაშრომზე მუშაობისას რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი გამოიკვეთა, კერძოდ ის, რომ საინფორმაციო ოპერაციების მნიშვნელობა ზოგიერთ ლიტერატურაში არასწორად არის გაგებული, მისი განხილვისას მთავარი აქცენტები გაკეთებულია კიბერშეტევებსა და თავდასხმებზე, კიბერსივრცეში განხორციელებულ საინფორმაციო მანიპულაციებზე, ასევე არ არის გამოჩნული საინფორმაციო ოპერაციები საინფორმაციო ომისგან, რომელიც სხვა შინაარსის მატარებელია. საინფორმაციო ოპერაციები უფრო ზოგადი გახდა ვიდრე საინფორმაციო ომი. დანიშნულებით, იგი კონფლიქტის და კონფლიქტამდე მიმავალი მშვიდობის პერიოდში საინფორმაციო ზეგავლენის მოხდენის მიზნით გამოიყენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე რეალობაში საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების სამხედრო შესაძლებლობებისათვის მიკუთვნება ალბათ განპირობებულია არსებული რეალობით, საომარი თეატრის კიბერნეტიზაციით, შესაბამისად მასთან გასამკლავებლად არაერთ ქვეყანაში შექმნილია კიბერარმია-კიბერძალები.

სამწუხაროდ, ეროვნული დონის ერთადერთი კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელშიც საინფორმაციო ომი მიჩნეულია და განსაზღვრულია საფრთხედ, არის საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2021 – 2024 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. ალბათ, უდავოა, რომ მსგავსი დონის საფრთხე, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა ყოველდღიურად დგას განსაზღვრული უნდა იყოს ეროვნული დონის სხვა დოკუმენტებშიც. სტატიაში ხსენებული საფრთხეები საინფორმაციო ომის და ოპერაციების სახით უნდა გამოცხადდეს და მიჩნეულ იქნას ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად და შემუშავდეს მათთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია.

დასასრულს გვსურს აღვნიშნოთ, რომ რუსეთი საკუთარი სამხედრო და სპეციალური ძალების გავლენით, კიბერუსაფრთხეებთან გამკლავებისა და ფსიქოლოგიურ ოპერაციებთან რეზისტენტულობის თვალსაზრისით, ინარჩუნებს ერთ-ერთი მოწინავე და ანგარიშგასაწევი ქვეყნის ადგილს. შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას მართებს ძალისხმევის მიმართვა სწორედ ამ კუთხით წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისით, რათა მოწყვლადი ქვეყნის სტატუსი შეიცვალოს ბრძოლისუნარიანი, ანგარიშგასაწევის სახელმწიფოს სტატუსით.

გამოყენებული ლიტერატურა

- ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი და ქვეციშვილი სანდრო. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. თბილისი. თსუ. 2016.
- ლომთაძე გიორგი. რუსეთის რბილი და ხისტი ძალა საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, ინტელექტი. 2017
- შუბითიძე ერეკლე. საინფორმაციო ომის მეთოდების ტრანსფორმაცია თანამედროვე საკომუნიკაციო შესაძლებლობების განვითარების ფონზე. თბილისი. მერიდიანი. 2021
- ავტორთა კოლექტივი, საინფორმაციო ომის არსი და მეთოდები. საინფორმაციო ომები: ისტორია, არსი და მეთოდები საინფორმაციო ომის არსი და თავისებურებები, თსუ 2022.
- Abrams, S. Beyond Propaganda: Soviet Active Measures in Putin's Russia. Connections: The Quarterly Journal. (2016)
- Armistead L. ed. Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: Potomac Books, Inc. (2004).
- Arquilla J. Borer D. A. ed. Information Strategy and Warfare A guide to theory and practice. New York NY: Routledge (2007)
- Boghardt T. Soviet Bloc Intelligence and Its AIDS Disinformation Campaign. Studies in Intelligence. (2009)
- Бояркин В. В., Бояркина Л. А. Методы и цели ведения информационной войны в России. Изд-во Вече. 2018.
- Гриняев Сергей, «Поле битвы — киберпространство», — Минск, 2004.
- Литвиненко А.В. Примеры специальных информационных операций, «Специальные

გავლენის გაზრდის არამალადობრივ მეთოდს, როდესაც სამიზნე ობიექტის სურვილებისა და განწყობების განსაზღვრა ხდება მისი კეთილგანწყობის მოპოვების და არა იძულების გზით. Armistead L. ed. Information Operations: Warfare and the Hard Reality of Soft Power. Washington, DC: Potomac Books, Inc. (2004). [88-91]

информационные операции и пропагандистские кампании»; (Киев, 2000),
Макаренко С.И. Информационное противоборство и радиоэлектронная борьба в сетевых войнах начала XXI века. — СПб. 2017.
Малявина В.В., Информационные операции: история и современность, 2015,
Зенгер Харро фон, Стратегемы, т.1-2. — М.: , Изд-во Эксмо, 2004.
Фукуяма Фрэнсис, Наше постчеловеческое будущее: Последствия биотехнологической революции. — М.: Изд-во АСТ, 2008.
Шариков Павел, Информационные операции в современной военной стратегии. России. Изд-во Эксмо, 2016.

„ახალი“ ომები მე-20 საუკუნის გადმოსახედიდან

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი დავით თევზაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვეული სპეციალისტი

აბსტრაქტი

ქვემოთ წარმოდგენილი მასალა მთლიანად ეყრდნობა ორ ჩვენს ადრინდელ წერილს. აღნიშნული მასალა ეფუძნება 2009 წელს აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სტრატეგიულ შეფასებათა და მართვის პრობლემათა ინსტიტუტის პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „საქართველოს უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში“ წაკითხულ მოხსენებას სათაურით: „მომავლის ომი გლობალიზაციის ჭრილში და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა“.¹ ბუნებრივია, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, რატომ მივიჩნიეთ საჭიროდ მისი, ასე ვთქვათ, „განახლება“? საქმე იმაშია, რომ ახლა, როდესაც ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ორი უმძიმესი კონფლიქტი მიმდინარეობს, ჩვენ კარგი შესაძლებლობა გვაქვს განვსაზღვროთ, რისი განჭვრეტა შეძლეს და რა ვერ განჭვრიტეს ომის თეორეტიკოსებმა მე-20 საუკუნის მიწურულს. თუმცა, ამჯერადაც, მხოლოდ **მეოთხე თაობის ომის** დოქტრინის განხილვით შემოვიფარგლებით.²

საკვანძო სიტყვები:

მომავლის ომი, გლობალიზაცია, საგარეო პოლიტიკა, დოქტრინა.

“New” Wars from the Perspective of the 20th Century

Lieutenant General of the Reserve Davit Tevzadze

LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,

Invited Specialist in the Scientific Research Center

Abstract

The material presented below is based entirely on two of our earlier letters. The mentioned material is based on the 2009 IB Euro-Caucasian University of Social Sciences Faculty, Institute of Strategic Assessment and Management Problems report presented at the First International conference “Georgia’s Security in the Changing World” titled: “The war of the future in the context of globalization and the security problem of Georgia”. Naturally A question may arise, why we considered it necessary to “update” it, so to speak? The reason is, that now, when two bloody conflicts are going on in Europe and the Middle East, we are in a good position to determine what theorists could and could not foresee about the war at the end of the 20th century. However, this time too, we will limit ourselves only to the discussion of the fourth generation war doctrine.

Keywords:

The war of future, globalization, foreign policy, doctrine.

1 დ.თევზაძე, „მომავლის ომი გლობალიზაციის ჭრილში და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა“, ყოველწლიური ჟურნალი „სტრატეგიული კვლევები“ N2, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, 2009 (გვ. 37-57);

2 დ.თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, საზოგადოებრივი მაუწყებლის ელექტრონული ჟურნალი „სპა“ 2019 წ, აპრილი;

შესავალი

1989 წელს ამერიკელ სამხედრო სპეციალისტთა მცირე ჯგუფმა უილიამ ლინდის ინიციატივით, დაიწყო ცივი ომის შემდგომდროინდელი სამხედრო კონფლიქტების კვლევა.³ იმ თავისებურებათა ახსნის ძიებაში, რომლითაც ეს კონფლიქტები ხასიათდება, მათ ყურადღება მიაქციეს შემდეგ გარემოებას: მანამ, სანამ სახელმწიფო ომის და საომარი საქმიანობის მონოპოლიზაციას მოახდენდა, ომიანობით ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფები იყო დაკავებული; გვარები, კლანები, ტომები, ქალაქები, რელიგიური და ბიზნეს ჯგუფები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ სოციალური ერთობებისა, რომლებიც ეწეოდნენ ომს და მათთვის სულაც არ იყო ეს პოლიტიკის გაგარძელება, არამედ, ხშირად, ცხოვრების წესი, ანდა, სულაც, საკუთარი არსებობისათვის ბრძოლა.

სახელმწიფოს მიერ ამ სოციალური ჯგუფების ფაქტობრივმა განიარაღებამ მოსპო არა მარტო ამ სახის ომიანობა, არამედ სრულიად ახალ სამხედრო კულტურას ჩაუყარა საფუძველი: 1648-1860 წლებში არმიები იძენენ იმ სახეს, რაც მათ დღეს აქვთ.⁴ მეტიც, ეს ეხება არა მარტო სამხედრო იერარქიას, არამედ ყველაფერს, რაც ჩვენ ჯარის შესახებ ვიცით: წესრიგი, უნიფორმები, მისალმება, უნიფიცირებული იარაღი, რომლის წარმოებას ასევე სახელმწიფო აკონტროლებს, ბრძოლის ეთიკა, საბრძოლო წყობა და კიდევ ბევრი რამ, რაც ასე ჩვეული გვგონია, არის ამ ეპოქის შედეგი.

ძირითადი ნაწილი

იარაღის თავისებურება ბრძოლის ველზე სრულიად კონკრეტულ ტაქტიკას განაპირობებს და ის (ტაქტიკა) მე-19 საუკუნემდეა შენარჩუნებული. ეს გახლავთ საბრძოლო მოქმედებების წარმართვა კოლონებისა და ხაზის გამოყენებით. ყველაფერ ამას ლინდი და მისი ჯგუფი **პირველი თაობის ომებს** უწოდებს.⁵

ასევე ომი იძენს იმ დახასიათებას, რაც ასეთი მნიშვნელოვანი გახდა კლაუზევიცისათვის: **ომი ხდება პოლიტიკის**, და როგორც ჩანს, **მხოლოდ საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი**. ითვლება, რომ ეს დღესაც ასეა.

თუმცა, არენაზე მასიური არმიების გამოჩენა, ხრახნილულლიანი მუშვეტისა და ლულის ჩამკეტი მექანიზმის გამოგონება, ტყვიამრქვევი და სხვა ტექნოლოგიური ცვლილებები ბზარს აჩენენ ბრძოლის ველის მოთხოვნილებებსა და სამხედრო კულტურას შორის. შედეგად, ხდება ტაქტიკის რღვევა და საბრძოლო სივრცეზე ადგილს ახალი მიდგომები იკავებენ. თავის კულმინაციას ეს მიდგომები პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო სივრცეებზე აღწევენ. მას ლინდი და მისი ჯგუფი **მეორე თაობის ომს** უწოდებს. თუმცა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მეორე თაობის ომები ამთავრებენ პირველი თაობის ომების ეპოქას ისევე, როგორც ეს ახალი დროისა და ფეოდალური ეპოქის ომების შემთხვევაში მოხდა. მეორე თაობის ომმა არა მარტო შეინარჩუნა პირველი თაობის ომის ზოგიერთი ნიშანი, არამედ კიდევ გააღრმავა ის. ეს, პირველ რიგში, შეეხო დისციპლინას: საბრძოლო საშუალებების იმ ნაირგვარობამ, რაც მეორე თაობის ომის მეთაურების განკარგულებაში აღმოჩნდა და რომელთა ორკესტრირებისა და სინქრონიზაციის დონეზე მიბმული აღმოჩნდა სამხედრო წარმატება, ბრძანების მკაცრად შერულებისთვის სრულიად ახალი მიდგომა მოითხოვა. სხვათაშორის, ამ დროიდან ჩნდება გამოთქმა, რომ „**ინიციატივა დასჯადია**.“⁶ ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ნებისმიერ ინიციატივას, რომელსაც მეთაური არ ითვალისწინებს, შეუძლია დაარღვიოს სინქრონიზაცია. ლინდი ხას უსვამს იმ გარემოებას, რომ ძირითადად, **სამხედრო დოქტრინები მეორე თაობის ომების აზროვნებას ასახავს**: მათი იდეოლოგიური საყრდენი **ცეცხლის ძალა** და **გამოფიტვის სტრატეგიაა**. მეორე თაობაში იწყება ასევე **ოპერატიული ხელოვნების** ფორმალური აღიარებაც. ერთის მხრივ, ოპერატიული ხელოვნება ეყრდნობა ნაპოლეონის კამპანიების პრუსიულ კვლევას, ხოლო მეორის მხრივ, იმ შესაძლებლობათა გააზრებას, რასაც გვამღევეს **რკინიგზისა** და **ტელეგრაფის** სამხედრო გამოყენება.

საინტერესოა, რომ მეორე თაობის ომმა, რომლის კულმინაციური წერტილი პირველი მსოფლიო ომი გახლდათ, თავის წიაღში **მესამე თაობის ომი** წარმოშვა. დღეს ისინი თანაარსებობენ. თუმცა, დოქტრინა უკვე არა ცეცხლის ძალასა და გამოფიტვას ეყრდნობა, არამედ **სისწრაფეს, მოულოდნელობას, მანევრს**. სხვა სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ მესამე თაობის ომი ასევე წარმოადგენს საცეცხლზე საშუალებების გაზრდილი შესაძლებლობების შედეგს, ცვლილებები, რომლებიც ამ საშუალებების გაჩენამ მოითხოვა, ამჯერად, უპირატესად, ტაქტიკურ აზროვნებაში მომხდარი ცვლილებებით აღმოჩნდა განპირობებული. ანუ, მესამე თაობის ომის ხასიათი **ტაქტიკისადმი ახალმა კონცეპტუალურმა მიდგომამ** განსაზღვრა: პირველ მსოფლიო ომში გერმანელები შედარებით სუსტი ეკონომიკური ბაზით ჩაერთვნენ. შესაბამისად, უპირატესობის მიღწევა მათ განადგურების არა სწორხაზოვან სქემებში უნდა ეძიათ, არამედ საბრძოლო სივრცეზე დომინირებისათვის ახალი საყრდენი უნდა ენახათ. ასეთი საყრდენი **მანევრი** აღმოჩნდა, რამაც **განსაზღვრა** ამ პერიოდის ომების ძირითადი ტაქტიკური შინაარსი. თუმცა, მეორე მსოფლიო ომმა

3 William S. Lind. Understanding Fourth Generation War. MILITARY REVIEW, Army University Press, September -October 2004.

4 დ. თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, 2019. <https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/>

5 William S. Lind. Understanding Fourth Generation War. MILITARY REVIEW, Army University Press, September -October 2004

6 დ. თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, 2019. <https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/>

არც წმინდა ტექნოლოგიური მოტივი დატოვა თამაშგარეთ. შედეგად მივიღეთ **ბლიცკრიგი**, როგორც **ჯავშანსატანკო მანევრული ომის** ძირითადი და, რაც მთავარია, წარმატებული სტრატეგია. ბლიცკრიგში ხდება **გეოგრაფიულ გარემოზე** ორიენტირებული ოპერატიული ხელოვნების **დროის ფაქტორზე** ორიენტირებული პროცესით შვება. ამ პერიოდიდან მოყოლებული, **დრო ხდება საბრძოლო სივრცეზე დომინირების კრიტიკული ფაქტორი**.⁷

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: თაობების ცვლას ძირითადად ორი გარემოება განპირობებს. ეს არის

ტექნოლოგიური ცვლილება და ცვლილება, რომელიც ბრძოლის წარმოების კონცეპტუალურ ხედვაში ჩნდება. თანაც, ყოველ შემდგომ ეტაპზე, მეორე ფაქტორი უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს და თავად ხდება როგორც ბრძოლის წარმართვის, ასევე ტექნოლოგიური პროგრესის მამოძრავებელი.

ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ შემდეგი თაობის ომები მთლიანად სააზროვნო კონსტრუქციების შედეგი იქნება? ეს კითხვა არც იმდენად სპეკულაციურია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს და არც იმდენად უნაყოფო, რომ დაფიქრებად არ ღირდეს. თუმცა, ახლა თაობათა დინამიკის კიდევ ერთ თავისებურებას მივაქციოთ ყურადღება: საბრძოლო შესაძლებლობათა ზრდასთან ერთად, განუზრებლად იზრდებოდა ის სივრცე, რომელზეც საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა. თუ კი თავიდან, ბრძოლის ბედი (და შედეგად, არა თუ ომის, არამედ სახელმწიფოთა ბედიც), ხშირად, რამოდენიმე ჰექტარზე წყდებოდა, მესამე თაობის ომების საბრძოლო სივრცე უკვე სახელმწიფოთა გადაფარვას ახდენდა მათი საზღვაო და საჰაერო სივრცეთა ჩათვლით.

თუ კი ესეც ტენდენციაა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შედეგი მეოთხე თაობის ომებშიც შენარჩუნდება. დასკვნა: მეოთხე თაობის ომები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნებიან აქტანტები, **გლობალური ომები** იქნება, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

შეგვიძლია თუ არა გავთვალთ აღნიშნულის შედეგები? სხვა სიტყვებით, შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ კონკრეტულად რაზე იმოქმედებს ეს ვითარება და რა მასშტაბით?

თანმიმდევრობით რომ გავყვეთ იმ მოქმედებათა ჩამონათვალს, რასაც ნებისმიერი სამხედრო მოქმედება გულისხმობს, საკმაოდ საინტერესო სურათს დავინახავთ:

1. **ამოცანის დასმა**: თუ კი მეოთხე თაობის საბრძოლო სივრცე არა ფრონტი, არამედ მთლიანობაში აღებული საზოგადოებაა, რაც ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის მცირე ჯგუფებით მოქმედებისათვის, მაშინ ამ ჯგუფების მეთაურები სულ უფრო იღებენ **მოქმედების თავისუფლებას სტრატეგიული ჩანაფიქრის ჩარჩოებში**. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა.

2. **უზრუნველყოფა**: ამავე გარემოების გამო, აღნიშნული ჯგუფები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ მომარაგებაზე, ანუ მათ თავად შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი თავი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ეს ჯგუფები შორ მანძილებზე მოქმედებენ. სხვა სიტყვებით, ხდება **უზრუნველყოფის სისტემის გადაზრება მისი დეცენტრალიზაციის კუთხით**.

3. **ომის პრინციპები**: თუმცა ამ თემაზე საუბარი ოდნავ რთულია, მაგრამ ერთი რამ ცხადია, როგორც ადამიანურ რესურსთა, ასევე საცეცხლე საშუალებების კონცენტრაცია არ უნდა იყოს მომგებიანი სტრატეგია, ვინაიდან ასეთი თავმოყრა უკეთეს სამიზნეს წარმოადგენს. როგორცა ჩანს, სიტყვა „**კონცენტრაცია**“-ში ახალი შინაარსი უნდა ჩაიდოს, როგორც ეს ერთხელ უკვე მოხდა. როგორცა ჩანს, ომის ყველა პრინციპი, გარკვეულწილად, შინაარსობრივად ახალ ელფერს შეიძენს, ხოლო ზოგიერთი უპირატეს პრინციპად იქცევა. მაგალითად, თუ კი მეზრდოლთა მცირე ჯგუფი საბრძოლო სივრცის დომინანტად ქცევის ტენდენციას ამჟღავნებს, მაშინ **მანევრი** უნდა იქცეს უმთავრეს დოქტრინულ მოთხოვნად.

4. **სამიზნეების შერჩევა**: იგულისხმება ე.წ. სტრატეგიული სამიზნეები, სტრატეგიული დარტყმის ობიექტები, რომელთა ნეიტრალიზაცია ომის მოგების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს. წმინდა სამხედრო სამიზნეები, სავარაუდოდ, სამოქალაქო სამიზნეებით შეიცვლება, რაც უფრო ეფექტურად გახდის შესაძლებელს საზოგადოების წინააღმდეგობის ნება გატეხოს. ამან, შეიძლება, შეიარაღებული ძალების კოლაფსი გამოიწვიოს და გარდუვალი გახადოს მარცხი.

5. **ფრონტი**: აღწერილი ვითარება გულისხმობს, რომ ფრონტი, როგორც ეს თუნდაც გასულ საუკუნეში ესმოდათ, პირობით ცნებად იქცევა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი სტაციონარული მართვის ობიექტები რეალურ ეფექტურობას კარგავენ.

მასასადამე, თუ კი მეოთხე თაობის ომი საბრძოლო სივრცის ზრდის ტენდენციას შეინარჩუნებს, მაშინ აუცილებლად მივაღწევთ შედეგამდე, როდესაც **ომის წარმოების ტრადიციული ხერხები ძალას კარგავს**, ხოლო საბრძოლო სივრცის დომინანტად **შეიარაღებულ ადამიანთა მცირე ჯგუფები** იქცევა.

ახლა საკითხს სხვა მხრიდანაც შევხედოთ: რა ცვლილებებია შესაძლებელი თუ კი ასევე შენარჩუნდება ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი? სხვა სიტყვებით, რა ტექნოლოგიები შეიძლება გაჩნდეს უკვე უახლოეს მომავალში და რა ეფექტის გამოწვევა შეუძლია მათ?

დღევანდელი გადასახედიდანაც კარგად ჩანს, რომ შემდეგი ჩამონათვალი არც მთლად ფანტასტიკურად გამოიყურება:

- მართული და მიმართული ენერჯია (ელექტრო-მაგნიტური იმპულსი);
- უპილოტო საფრენი და სხვა ტიპის კიბერნეტიკული თუ რობოტული მოწყობილობები;
- დიდ მანძილზე სწრაფად გადაადგილების საშუალებები;
- შორი მანძილიდან კონტროლის საშუალებები;

7 დ. თევზაძე, „მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი“, 2019. <https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/>

ინფორმაციული ინვერსია: კომპიუტერული ვირუსები შესაძლოა გამოყენებულ იქნას არა მარტო როგორც გონებაზე ზემოქმედების საშუალება, არამედ, როგორც სიცოცხლის ხელყოფის საშუალება და სხვ.

თითოეული მათგანის რეალიზაცია გარკვეულ დაღს დაასვამს საბრძოლო სივრცეზე მოქმედების თავისებურებას. მაგალითად, **პირველი**, საშუალებას იძლევა მსხვილი სამხედრო შენაერთები შეეცვალოთ იმავე ეფექტურობის მქონე (განადგურების შესაძლებლობათა ფლობის აზრით) გაცილებით მცირე შენაერთებით. სწრაფად და შორს გადაადგილების შესაძლებლობა შლის იმ ზღვარს, რომელიც ტრადიციულად ფრონტსა და ზურგს შორის არსებობდა, ხოლო შორი მანძილიდან კონტროლის საშუალებათა უკიდურესად განვითარებამ შესაძლოა შეეცვალოს თავად თავდაცვის აქამდე არსებული დოქტრინები და ა.შ. ყველაფერმა ამაღ, შესაძლოა, იმოქმედოს არ მარტო საბრძოლო სივრცის მოწყობაზე, არამედ საკუთრივ შეიარაღებული ძალების ორგანიზაციაზე. სხვა საკითხია, დროის რა შუალედი გვაშორებს ამ ტექნოლოგიური ნოვაციებისაგან. რა დროც არ უნდა იყოს საჭირო, მთავარი ისაა, რომ ეს ტექნოლოგიები განხორციელებადი ან განხორციელების სტადიაშია და მათი მასობრივი მოხმარება გარკვეულ რისკებთან უკვე არის დაკავშირებული. ყველა სხვა რისკთან ერთად, სულ ცოტა, ორია მეტად მნიშვნელოვანი:

1. პოლიტიკური ლიდერების კომპენტენცია **მართონ ომი**: ისინი ერთნაირად კარგად უნდა ერკვეოდნენ როგორც სამხედრო ხელოვნებაში, ისე იმ ტექნოლოგიურ სიახლეებში, რაც სამხედროების ხელში ამ პერიოდისთვის აღმოჩნდება. **ეს მეტად რთული კომბინაციაა**. მეორე მსოფლიო ომში ატომური ბომბის გამოყენებაზე ტრუმენის მიერ გაცემული თანხმობა, ნაწილობრივ, ატომური იარაღის სრულ შესაძლებლობათა გაუაზრებლობითაც იყო განპირობებული.

2. **იზრდება ბირთვული იარაღის გამოყენების შანსი**: თუ დაპირისპირებაში მყოფი მხარეებიდან ერთის ტექნოლოგიური უპირატესობა სახეზეა, ხოლო მეორისათვის ხელმისაწვდომია ბირთვული იარაღი, მაშინ კოლაფსის თავიდან ასაცილებლად, ის აუცილებლად წავა ამ იარაღის გამოყენებაზე.

მიუხედავად გლობალისტური ოპტიმიზმისა, ყველაფერი ეს არათუ ხელს უშლის „დიდი ომის“ დაწყებას, არამედ პირიქით, შესაძლებელს ხდის მას. მეტიც, ტექნოლოგიური ნოვაციების სწავი განვითარება და მათი მცირე ჯგუფის ხელში თავმოყრა (როგორცაა, მაგალითად, განვითარებული ქვეყნები), რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, არანაირად არ უზრუნველყოფს ამ ჯგუფის უსაფრთხო ყოფას. ბოლო ხუთასი წლის მანძილზე, ომის ხელოვნების განვითარება, ძირითადად, ევროპული ცივილიზაციის შედეგი იყო. ვინც ამ მიღწევებს ითვალისწინებდა, აუცილებლად წარმატებულ შეიარაღებულ ძალებს ფლობდა. მაგრამ დღეს, დასავლეთმა დაკარგა ასეთი მონოპოლია და ამის ძირითადი მიზეზი, სწორედ, მისი ტექნოლოგიური უპირატესობანია: ასეთი უპირატესობა ყოველთვის უბიძგებს დაპირისპირებულ მხარეს გამოსავალი, ანუ ბრძოლაში უპირატესობა, სხვა, უფრო მოქნილ ტაქტიკაში, ანდა სრულიად ახალ, არასტანდარტულ სტრატეგიულ გადაწყვეტაში ეძიოს. გავიხსენოთ, რის ხარჯზე დაამარცხეს ლამის ჯოხებით შეიარაღებულმა ვიეტნამელებმა აშშ-ის ჯარები, ანდა რას ემყარებოდა ჩეჩენ და ერაყელ პარტიზანთა ხანგრძლივი წინააღმდეგობა ორი ისეთი გიგანტის წინააღმდეგ, როგორც, ერთის მხრივ, რუსეთი, ხოლო მეორეს მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებია.

ამ კუთხით, კარგი იქნება, თუ მაგალითისთვის გავიხსენებთ **ტერორიზმს** და ვნახავთ, თუ რა ნიშნები ახასიათებს მას, როგორც გარკვეული სპეციფიკის მქონე საბრძოლო მოქმედებას.

1. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეოთხე თაობის ომში გაიზრდება მცირე საბრძოლო ჯგუფების როლი სტრატეგიული ჩანაფიქრის ჩარჩოებში. დღეს არსებულ სიტუაციას თუ დავაკვირდებით, ასევე თუ დავაკვირდებით ტერორისტული ქსელის სტრუქტურას, ვნახავთ, რომ ეს **განხორციელების პროცესში მყოფი რეალობაა**: ტერორისტული ჯგუფები მოქმედებენ დამოუკიდებლად და ადგილზე სიტუაციის მიხედვით, „ზემოდან“ ე.წ. კონტროლის პრაქტიკული ნიველირების ფონზე.

2. საბრძოლო სივრცე ტერორისტული ჯგუფისათვის მაქსიმალურად შეუზღუდავი არეა და ფარავს სამიზნედ არჩეულ საზოგადოებას მთლიანად. სხვა სიტყვებით, ტერორისტი არ არის „მიზნული“ ე.წ. ფრონტის ხაზზე, არამედ მისი სამოქმედო არე ამ წარმოსახვითი ხაზის „უკანაა“. ის ორიენტირებულია არა **მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის დამარცხებაზე**, არამედ თავად **საზოგადოების რღვევაზე**. ამდენად, ტერორისტული აქტივობა უკვე აქედანაა მიმართული სამიზნის დამოუკიდებელ, შესაძლებლობის მიხედვით, მეტ-ნაკლებად თავისუფალ არჩევანზე. ახლა თუ გავიხსენებთ თაობიდან თაობაში როგორ ხდებოდა საბრძოლო სივრცის განზომილების ზრდა, დავრწმუნდებით, რომ ტერორიზმის შემთხვევაში, მისი საზოგადოების რღვევაზე მიმართული ქმედება **ომის განვითარების ზოგად ტენდენციაში ჯდება**. მეტიც, თუ ტერორიზმი ომია, ის ომი სწორედ ახალ საბრძოლო სივრცეში ზუსტად შერჩეული პოლიტიკური სამიზნის გამოა ომი. სიახლე, რომელიც ტერორიზმს შემოაქვს, არის ის, რომ იგი მთლიანად უგულვებელყოფს მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებს, როგორც დარტყმის ძირითად ობიექტს და სამიზნედ სამოქალაქო საზოგადოება აქვს არჩეული. ამით განსხვავდება ის, სხვათაშორის, პარტიზანული მოძრაობისგანაც.

3. ტერორისტული აქტი შესაძლებელია მხოლოდ **მაღალი მანევრირების** ხარჯზე.

ამგავრად, ტერორიზმი, როგორც სამხედრო აქტივობა, შემდეგი თაობის აქტივობა გახლავთ, თავის საბრძოლო შესაძლებლობების ზრდის უზარმაზარი პოტენციალით, ვინაიდან, ამ ეტაპზე, მას არანაირი ტექნოლოგიური უპირატესობისათვის არ მიუძღვრათ. ეს თემა ტერორისტული ომის დოქტრინისათვის (თუ ასეთი რამ არსებობს), ჯერ-ჯერობით, აუთვისებელი ყამირია. ასეთი რამ, უბრალოდ, არ გამხდარა საჭირო. რასაც ტერორისტული ომის გამოცდილება ამ დროისათვის აჩვენებს, გახლავთ ის, რომ **შემდეგი**

თაობის ომის წარმოება ზეტექნოლოგიების გარეშეა შესაძლებელი, თუ კი არსენალში გაქვს ისეთი უნივერსალური იარაღი, როგორცია თავისი ნებით სიკვდილზე წამსვლელი ადამიანი.

დასკვნა

ომების თაობათა შესახებ, კონკრეტულად კი, მეოთხე თაობის ომების სავარუდო თავისებურებათა შესახებ მოსაზრებების სააზროვნო სივრცეში შემოტანიდან, თითქმის ორმოცი წელი გავიდა. შეიცვალა საუკუნეც და გაჩნდნენ სხვა ავტორებიც, როგორებიც არიან: M. Van Creveld, M. Kaldor, Gen. D. G. Perkins, M. Тренин და ა.შ. მათ სცადეს მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის და 21-ე საუკუნის პირველი დეკადის ომების სისტემატური აღწერა. თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ უილიამ ლინდის დანახული ვითარება არა მარტო გაზიარებულია სხვადასხვა ავტორის მიერ, არამედ, ერთგვარ კლიშედაც იქცა სხვადასხვა მოსაზრებათა ფორმულირებისას.

რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ჩვენი მოსაზრებით, გახლავთ ის, რომ ძირითად ხაზებში სამხედრო მოქმედებათა განვითარება რეალურად „დაემთხვა“ თეორიას: ეს იმთავითვე ჩანს, თუ კი ომის **ფიზიკურ და მორალურ** განზომილებებს განვიხილავთ.⁸

კიდევ ერთი მიზეზი, შესაძლოა, იყოს ისიც, რომ, როგორც მერი კალდორი⁹ აღნიშნავს, ე.წ. „ახალი ომის“ მიზნები არ წარმოადგენს პოლიტიკურ მიზნებს ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით და შესაბამისად, ბრძოლა, ანდა თუნდაც ტერიტორიის კონტროლი აღარ წარმოადგენს მიზნის მიღწევის ძირითად ინსტრუმენტს: „**ახალი ომი**“ **მოსახლეობასთან ომი უფროა, ვიდრე მოწინააღმდეგე არმიასთან.**¹⁰

გამოყენებული ლიტერატურა

თევზაძე დ., მომავლის ომი გლობალიზაციის ჭრილში და საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა.

ჟურნალი სტრატეგიული კვლევები N2, აიბი ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი, თბილისი, 2009, გამომცემლობა „საუნივერსიტეტო წიგნი“. გვ. 37-57;

თევზაძე დ., მეოთხე თაობის ომი და ტერორიზმი. საზოგადოებრივი მაუწყებლის ელექტრონული ჟურნალი სპა, 2019 აპრილი, <https://1tv.ge/video/meotkhe-taobis-omi-da-terorizmi/>;

თევზაძე დ., 21-ე საუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა. ა(ა)იპ სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2023;

William S. Lind., Understanding Fourth Generation War. MILITARY REVIEW, Army University Press, September -October 2004;

Martin van Creveld. The Transformation of War. The Free Press, NY, 1991;

Mary Kaldor. New and Old Wars Organised Violence in a Global Era. Polity, Cambridge, 2012;

Gen. David G. Perkins, Multi-Domain Battle, MILITARY REVIEW, July-August 2017;

Михаил Тренин. Войны XXI века. Москва, АСТ 2005.

8 დ.თევზაძე, 21-ე საუკუნის ომების თავისებურება და საბრძოლო სივრცის სპეციფიკა. ა(ა)იპ სამხედრო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2023

9 იხ. [6], [3]

10 Mary Kaldor. New and Old Wars Organised Violence in a Global Era. Polity, Cambridge · 2012

სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონსა და მსოფლიოში

თადარიგის ბრიგადის გენერალი ამირან სალუქვაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვეული სპეციალისტი

აბსტრაქტი

სამხედრო, იგივე თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვა, მისი ფორმირება ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების პარამეტრებით აფასებენ რამდენად მილიტარიზებულია ქვეყანა, რეგიონი, მსოფლიო. სამხედრო ხარჯების ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება. 2022 წელს ყველა ქვეყნის ჯამურმა სამხედრო ხარჯებმა რეკორდული - 2,24 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო ხარჯების სტრუქტურა, მისი ცვლილებების დინამიკის შესწავლა, ხარჯების სტაბილურ დონეზე შენარჩუნება, ან კლება თუ მატება, სპეციალისტებს ბევრი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს.

ხარჯების სტრუქტურის შესწავლისას ყურადღება ექცევა თუ რა კომპონენტების განვითარებაზე კეთდება აქცენტი, ხდება თუ არა ჭარბი მარაგების დაგროვება და ა.შ.

სამხედრო ხარჯები - ესაა სახელმწიფოს ფინანსური დანახარჯები თავდაცვის ძალების საომარი მოქმედებებისათვის მოსამზადებლად, ასევე მათ ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად, როგორც მშვიდობიან, ისე საომარი მოქმედებების დროს.

ზოგადად, ხარჯების ზრდის ტენდენციაზე ზეგავლენას ახდენენ შემდეგი ფაქტორები:

ინფლაცია, ფასების ზრდა შეიარაღებაზე;

დამაბული გეოპოლიტიკური ვითარება;

ბოლო ომების და კონფლიქტების ხასიათი;

ფსონი თანამედროვე იარაღსა და მაღალ ტექნოლოგიებზე.

სახელმწიფოს სამხედრო ხარჯები საშუალებას უნდა იძლეოდეს:

უზრუნველყოს თავდაცვის ძალების აღჭურვა თანამედროვე შეიარაღებით, ტექნიკით, აღჭურვილობით, საბრძოლო მასალების სათანადო მარაგებით;

შეიქმნას თავდაცვის ძალების სამხედრო-მატერიალური ბაზა;

განავითაროს ადგილობრივი სამხედრო მრეწველობა;

განავითაროს თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები;

შეიქმნას სამხედრო მოსამსახურეების სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის ბაზა.

სამხედრო ხარჯების ზრდა, პირდაპირ არის დამოკიდებული ერთის მხრივ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებსა და რისკებზე, ხოლო მეორეს მხრივ სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე.

ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო ხარჯების ანალიზი, ცვლილებების, ზრდის ან შემცირების დინამიკა, ბიუჯეტის პრიორიტეტები საშუალებას იძლევა შეფასდეს შემდეგი: ამ კონკრეტული ქვეყნის წინაშე იზრდება თუ მცირდება საფრთხეები. რა თქმა უნდა, ეს იქნება ამ ხელისუფლებების ხედვის დანახვა და არა გარედან დანახული შეფასებები.

სამხედრო ხარჯების პრიორიტეტების ანალიზიც ასევე იძლევა სხვადასხვა დასკვნების გაკეთების საშუალებას. სამხედრო ხარჯებში ჩანს კონკრეტულ ქვეყანაში ჯარის, სამხედროების სოციალურ პრობლემებზე კეთდება აქცენტი, თუ საბრძოლო კომპონენტზე, სახმელეთო კომპონენტზე, ავიაციაზე, თავდაცვით შეიარაღებაზე თუ პირიქით, შეტევითზე. ანალიზი ასევე გვიჩვენებს, რომ არსებული მარაგების დანაკლისის შევსება ხდება, თუ ჭარბი მარაგების შექმნა, სატაბელო შეიარაღების შევსება ხდება თუ რომელიმე კომპონენტის გაძლიერება, თუნდაც მეზობელ ქვეყნებთან შედარებით.

სამხედრო ხარჯების მხრივ პირველობას ამერიკის შეერთებული შტატები ინარჩუნებს. 2003 წელს აშშ-ის თავდაცვის ბიუჯეტი 368 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2022 წელს კი 801 მილიარდს. 2023 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი 858 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.

საკვანძო სიტყვები:

სამხედრო ხარჯები, თავდაცვის ბიუჯეტი, გეოპოლიტიკა, შეიარაღება, რესურსები, შეიარაღებული ძალები.

Dynamics of Military Expenditure Growth in Both the Region and the World

Brigadier General of the Reserve Amiran Salukvadze

LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,

Invited Specialist in the Scientific Research Center

Abstract

The planning of the military, i.e. the defense budget, its formation is an important part of the military policy of any state. The militarized country, the region and the world are assessed by the parameters of the military expenditures of the states. The planning of the military, i.e. the defense budget, its formation is an important part of the military policy of any state. The militarized country, the region and the world are evaluated by the parameters of the military expenditures of the states. The trend of military expenditure growth is maintained. In 2022, the total military expenditures of all countries reached a record - 2.24 trillion US dollars.

The structure of military expenses of any state, studying the dynamics of its changes, keeping expenses at a stable level, their decrease and increase, allow specialists to draw many conclusions. While studying the structure of costs, the most important attention is paid to the components, which emphasis is placed, whether excess stocks are accumulated or not, etc.

Military expenses are the financial expenses of the state, spent for the preparation of the defense forces for military operations, as well as for providing them in every way, both during the peace period and during the military operations. In general the trend of cost growth is influenced by the the following factors:

- Inflation, increase in prices for armaments;
- Tense geopolitical situation;
- The certain nature of recent wars and conflicts;
- Betting on modern weapons and high technologies.

Military expenditures of the state should allow:

- to ensure the equipping of the defense forces with modern weapons, equipment, and proper supplies of ammunition;
- to create a military-material base of the defense forces;
- to develop the local military industry;
- to develop modern military technologies;
- to create a social-economic security base for military personnel.

The increase in military expenses directly depends on geopolitical situation, including threats and risks facing the state on the one hand, and on the economic development of the state on the other hand. The analysis of the military expenditures of any country, including the dynamics of changes, growth or reduction, budget priorities allows to assess the following aspects: the threats facing this particular country are increasing or decreasing. Of course, this would be a misrepresentation of the vision of these authorities, and not the evaluations seen from the outside.

The analysis of priorities of military expenditure also allows us to make different conclusions. The priorities of a particular country are clearly visible in military expenditure. Here it is clearly seen whether the emphasis is on the social problems of the army, the military, or on the combat component, ground component, aviation, defensive armament or, on the contrary, on the offensive. The analysis also shows whether the shortfall in existing stocks is being filled, whether excess stocks are being created, whether the stockpiles are being replenished, or whether any component is strengthening compared to neighboring countries.

In terms of military expenditure, the United States of America maintains its leading position. In 2003, the US defense budget was 368 billion dollars, and in 2022 became 801 billion dollars. The planned budget for 2023 is 858 billion US dollars.

Keywords:

military spending, defense budget, geopolitics, armaments, resources, armed forces.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო გახდა ფეთქებადი და არაპროგნოზირებადი. მიმდინარეობს ისეთი გლობალური ცვლილებები, როგორცაც პირველი და მეორე მსოფლიო ომების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლო საუკუნის განმავლობაში, რამდენჯერმე ჰქონდათ ადგილი. იცვლება სამხედრო დაპირისპირების ხასიათიც.

მაგალითად, ე.წ. ცივი ომის, თუ რკინის ფარდის პერიოდში მომხდარ ლოკალურ ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს არ ახლდა მსოფლიოს წამყვან, განსაკუთრებით ბირთვულ სახელმწიფოებს შორის არსებული ისეთი მძაფრი დაპირისპირება და რიტორიკა, როგორცაც ახლა ვადავებთ თვალს. უკრაინაში რუსეთის შეჭრას კი დასავლეთის მხრიდან ისეთი ეკონომიკური სანქციები მოჰყვა, როგორც ისტორიას არ ახსოვს.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემა ფაქტობრივად ჩამოიშალა. მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა ეყრდნობოდა შეიარაღების კონტროლის ფუნდამენტურ შეთანხმებებს და ხელშეკრულებებს: ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება (1963 წ.), ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გავრცელების აკრძალვის შესახებ (1968 წ.), ხელშეკრულება ანტისარაკეტო სისტემების გავრცელების შეზღუდვის შესახებ (1972 წ.), ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (1979 წ.), ხელშეკრულება საშუალო და ახლო მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ (1987 წ.), ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ (1990 წ.), ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ -1 (1991 წ.), ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ -2 (ხელი მოეწერა, ოღონდ ძალაში არ შესულა, თუმცა სხვა დამატებითი შეთანხმებები გაფორმდა - 1993 წ.), ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი პოტენციალის შემცირების შესახებ (2002 წ.), ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ -3 (2010 წ.).

ზემოთ აღნიშნული შეთანხმებებიდან ძალაში შემორჩა მხოლოდ ხელშეკრულებები ბირთვული იარაღის გამოცდის და გავრცელების შესახებ. თუმცა, რუსეთის ბოლო განცხადების გათვალისწინებით, ბირთვული იარაღის გამოცდის პრაქტიკა შესაძლოა განახლდეს. რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, რუსეთმა შეაჩერა ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების შესახებ -3.

რუსეთსა და დასავლეთს შორის დიალოგი არ არსებობს. დიპლომატიური ურთიერთობები ნულოვან ნიშნულზეა. ამ ვითარებაში შეიარაღებაზე კონტროლის კიდეც ერთი ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება რუსეთის მხრიდან კიდეც უფრო ამძიმებს გეოპოლიტიკურ ფონს.

ძირითადი ნაწილი

ვითარება მსოფლიოში,


სამხედრო ხარჯების ზრდის ფაქტორები და ტენდენციები

ბოლო წლების ომების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხედრო დაპირისპირება კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოებისგან მოითხოვს რესურსების სრულ, ტოტალურ მობილიზებას, ომის წარმოებისთვის ეკონომიკის მზადყოფნას, დიდძალ სამხედრო-ტექნიკურ და სამობილიზაციო რესურსებს. ახალ ომებში, საბოლოო ჯამში, წარმატება აღმოჩნდება იმ მხარეს, რომელსაც მეტი რესურსი, გამოწვევებთან მიმართებაში მეტი მდგრადობა აღმოაჩნდება.

მაგალითისთვის შეიძლება აზერბაიჯან-სომხეთის 2020 წლის 44 დღიანი დაპირისპირება მოვიყვანოთ. ომის შედეგებზე გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ სამხედრო ხელოვნებამ, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩარევამ ან სხვა ფაქტორებმა, არამედ გადამწყვეტი როლი იქონია სხვაობამ რესურსებს შორის. აქ იგულისხმება როგორც ადამიანური რესურსები, ისე შეიარაღებისა და ტექნიკის რაოდენობა, ხარისხობრივი სხვაობა და საბრძოლო მასალების მარაგები.

უკრაინაში რუსეთის არაპროვოცირებული ომი იგივე ტენდენციას გვიჩვენებს. ორივე მხრიდან იხარჯება უზარმაზარი რესურსები. უკრაინის მედეგობას და წარმატებას მეტწილად განსაზღვრავს საერთაშორისო თანამეგობრობის გაერთიანება რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ და უკრაინისათვის კოლოსალური მასშტაბის დახმარების გაწევა. ორი წლის განმავლობაში უკრაინას სულ მცირე 200 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დახმარება გაეწია.¹ დიდი ალბათობით რუსეთის ხელისუფლება არ მოელოდა უკრაინისათვის ასეთი მასშტაბის მხარდაჭერის აღმოჩენას.

1 <https://www.statista.com/chart/28489/ukrainian-military-humanitarian-and-financial-aid-donors/>



სურ.1

თანამედროვე და მომავლის ომებში წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის გამართული სტრუქტურა და ფუნქციონირება, სამხედრო და სამოქალაქო სფეროებში მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება და რესურსების ტოტალური მობილიზება.

რესურსების ტოტალურ მობილიზებაში უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური, მატერიალური, ტექნიკური, სამრეწველო და სხვა სახის რეზერვების მიმართვა ომის ინტერესებისათვის.

ლოგიკურია ის გარემოება, რომ ასეთ დამაბულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, ომების და კონფლიქტების ფონზე, მსოფლიოში სამხედრო ხარჯები იზრდება. ბოლო წლების განმავლობაში თავდაცვაზე გამოყოფილმა ხარჯებმა ყოველწლიურად 2 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. შეიარაღებაზე კონტროლის აქამდე არსებული ხელშეკრულებების გაუქმების ან შეჩერების პირობებში და დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული დამაბულობების, ასევე უკრაინის ომის ფონზე, დიდი ალბათობით, სამხედრო ხარჯების ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იქნება.

რეგიონის ქვეყნების სამხედრო ხარჯები

სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაშიც შეიმჩნევა. ყველაზე მკვეთრი ზრდა ირანს აქვს. თუ 2021 წლის ბიუჯეტი 12 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2022 წელს უკვე 24 მილიარდი დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია ის, რომ 2022 წელს 3-ჯერ გაიზარდა ირანული შეიარაღების ექსპორტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.² ბოლო 10 წლის განმავლობაში ირანი აქტიურად ავითარებს სამხედრო მრეწველობას. ერთ-ერთი პრიორიტეტი უპილოტო საფრენი აპარატების განვითარებაა. ღია წყაროებზე დაყრდნობით, სამხედრო მანევრებში ირანული წარმოების შეიარაღების და ტექნიკის წილმა 90%-ს გადააჭარბა, რაც ირანის შეიარაღებული ძალების ადგილობრივი წარმოების შეიარაღებასა და ტექნიკაზე გადასვლის ტენდენციაზე მიუთითებს.

უახლოეს წლებში სამხედრო ხარჯების გაზრდის შესახებ განცხადება გააკეთა თურქეთმაც. თუ 2003 წელს თურქეთის თავდაცვის ბიუჯეტი 14 მილიარდ დოლარზე ოდნავ მეტი იყო, უკვე 2024 წლისთვის თურქეთი გეგმავს ქვეყნის თავდაცვაზე 40 მილიარდზე მეტი დახარჯოს.³ სხვა მიმართულებებთან ერთად, ყურადსაღებია დაფინანსების რეკორდული ზრდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე. ყურადღება მიექცევა ასევე სამოქალაქო თავდაცვას.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის მილიტარიზაცია უკრაინაში არაპროვოცირებული საომარი აგრესიის გაჩაღების ფონზე. ფაქტია, რომ რუსეთის ეკონომიკა მაქსიმალურად გადაერთო ომის უზრუნველყოფაზე. რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მაქსიმალურადაა დატვირთული. ეს ეხება როგორც შეიარაღების და ტექნიკის გამოშვებას, მოდერნიზებას და რემონტს, ასევე საბრძოლო მასალების და რაკეტების წარმოებას. გარდა სახელმწიფო სტრუქტურებისა, ომის უზრუნველყოფაში აქტიურადაა ჩართული ბიზნესი და მოსახლეობა. ღია წყაროებით უამრავი ინფორმაცია ვრცელდება ჯარისთვის გაკეთებული შემოწირულობების შესახებ. შესაბამისად, დღეს რთულია ითქვას თუ რა თანხას შეადგენს რუსეთის თავდაცვის ბიუჯეტი.

ოფიციალური ინფორმაციით, რუსეთმა 2021-22 წლებში თავდაცვაზე 65-66 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა. 2023 წელს კი რუსეთის სამხედრო ხარჯებმა 86 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა,

2 <https://take-profit.org/statistics/military-expenditure/iran/>

3 https://meta-defense.fr/en/2023/10/18/turkish_defense_budget_2024/

რაც მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ მესამედზე მეტია.⁴

მეზობელი ქვეყნების სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა

აზერბაიჯანის და სომხეთის სამხედრო ხარჯების მუდმივი ზრდა, მეტწილად, განპირობებული იყო მთიანი ყარაბაღის კონფლიქტით. როგორც ზრდის ტემპით, ასევე მშპ-სთან შეფარდებით და აბსოლუტურ ციფრებში საქართველო ორივე ქვეყანას საგრძნობლად ჩამორჩება.

სრულყოფილი ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია სამხედრო ხარჯები შეფასდეს როგორც აბსოლუტურ ციფრებში, ისე მისი მშპ-სთან და ბიუჯეტის მოცულობასთან თანაფარდობით, რადგან ქვეყნების სახელმწიფო ბიუჯეტები და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

ბიუჯეტთან და მშპ-სთან მიმართებაში პროცენტული გამოხატვა გვიჩვენებს თუ რამდენად გასამხედროებულია სახელმწიფოს ხარჯები და რამდენად აწევს ტვირთად თავდაცვის ხარჯები ქვეყნის ეკონომიკას. აბსოლუტური ციფრების ანალიზი კი გვიჩვენებს თავდაცვის უწყებათა ხარჯების რეალურ პრიორიტეტებს: რამდენი იხარჯება სოციალურ უზრუნველყოფაზე, ინფრასტრუქტურაზე, საბრძოლო მომზადებასა და სამხედრო შესყიდვებზე.

თავის მხრივ, სამხედრო შესყიდვებზე დაკვირვება, მონაცემების ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს რომელი ქვეყნებიდან და რა ტიპის შესყიდვებს ახორციელებს სახელმწიფო, რამდენად და რა ტიპის შესყიდვებზეა დამოკიდებული და რომელი ქვეყნიდან, რა პრიორიტეტებია შესყიდვებში, რამდენად ჭარბად ხდება ტექნიკასთან ერთად საბრძოლო მასალების დაგროვება და სხვა.

სამხედრო ხარჯების დინამიკის დეტალური ანალიზი სპეციალისტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ რამდენად იცვლება ქვეყნის სამხედრო პოტენციალი, ემზადება თუ არა ქვეყანა საომარი მოქმედებებისთვის, აქცენტს აკეთებს თავდაცვითი თუ შეტევითი პოტენციალის გასამდიერებლად, ჯარების რომელ სახეობას და გვარეობას აძლიერებს, რამდენად ავითარებს მაღალ ტექნოლოგიებს და სხვა.

აზერბაიჯანი და სომხეთი კონფლიქტის გაყინვის პერიოდიდან, ანუ 1994 წლიდან ინარჩუნებდნენ მილიტარიზებულ სამხედრო ბიუჯეტებს, მუდმივად ნარჩუნდებოდა სამხედრო ხარჯების ზრდის დინამიკა. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ადრეული წლების ანალიზზე მეტად, უფრო საინტერესოა როგორი ბიუჯეტით შეხვდნენ მხარეები ე.წ. 44 დღიან ომს, ასევე რა ტენდენციაა ომის შემდეგ.

2020 წლის, ანუ ომის წინ დაგეგმილი ბიუჯეტები ასე გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი - 1,9 მლრდ აშშ დოლარი, სომხეთი - 625 მლ აშშ დოლარი. როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანის ბიუჯეტი 3-ჯერ აღემატებოდა სომხეთისას. ეს უპირატესობა ნარჩუნდებოდა წლების განმავლობაში.

2020 წლის ომის შემდეგ აზერბაიჯანმა ბიუჯეტი 20%-ით გაზარდა და 2,2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.⁵ სხვა წყაროებით 2,6 მილიარდიც ფიქსირდება. აზერბაიჯანი შემდგომ წლებშიც გეგმავს სამხედრო ხარჯების ზრდას. კერძოდ, 2025 წლისთვის თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე აზერბაიჯანი 2,8 მილიარდ აშშ დოლარს გამოყოფს.⁶

ორი ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტების შედარებისას, ხშირად გამოთქვამდნენ მოსაზრებას, თითქოს სომხეთი ნაკლები დაფინანსების კომპენსირებას რუსეთიდან შეიარაღების დაბალი ფასებით შემოტანით ახდენდა. თუმცა, თუ შევისწავლით ორი ქვეყნის სამხედრო შესყიდვებს, რა მონაცემების მოპოვებაც ღია წყაროებით არის შესაძლებელი, შეძენილი შეიარაღების და ტექნიკის რიცხოვნობის მხრივ, საგრძნობ სხვაობას დავინახავთ.

ამ წლების განმავლობაში აზერბაიჯანი აწარმოებდა თანამედროვე შეიარაღების და ტექნიკის შეძენას არა მხოლოდ რუსეთიდან და ბელარუსიდან, არამედ ისრაელიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, პაკისტანიდან, უკრაინიდან, კანადიდან, შვეიცარიიდან, ავსტრიიდან. მაშინ, როცა სომხეთი მიზმი იყო მხოლოდ რუსეთის შეიარაღებაზე. 2020 წლის ომამდე 2-3 წლის განმავლობაში სომხეთი რუსულ შეიარაღებას რუსეთიდან ისევე რუსეთის მიერ გაცემული სესხით ყიდულობდა. თუმცა შეძენილი ტექნიკის გარკვეული ნაწილი 2020 წლის ომში ვერ გამოიყენა, ან ზოგიერთი ტიპის შეიარაღებამ სათანადო ეფექტურობა ვერ გამოავლინა. მაგალითად, ვერ შელეს სუ-30 ტიპის თვითმფრინავების გამოყენება. როგორც ღია წყაროებში წერენ, სომხეთმა ვერ შეძლო აღნიშნული ოთხი თვითმფრინავისთვის შეიარაღების მიღების დასრულება. ეს კითხვებს ბადებს რუსეთ-სომხეთის საიმედო პარტნიორობასთან დაკავშირებით.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ SIPRI-ს ანგარიშის თანახმად, 2020 წელს აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტი წინა წელთან შედარებით 17%-ით გაიზარდა, ხოლო სომხეთის 2,6%-ით შემცირდა.

2020 წელს აზერბაიჯანის სამხედრო ხარჯებმა სახელმწიფო ბიუჯეტის 12,7% შეადგინა, სომხეთისამ

4 Военные расходы России 2023 | Take-profit.org

5 <https://jam-news.net/ru/%D0%B2%D0%BE%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B5-%D1%80%D0%B0%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B4%D1%8B-%D0%B0%D1%80%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B8-%D0%B8-%D0%B0-%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0/>

6 <https://russian.eurasianet.org/%D0%B0%D0%B7%D0%B5%D1%80%D0%B1%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD-%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B4%D0%BE%D0%BB%D0%B6%D0%B0%D0%B5%D1%82-%D1%83%D0%B2%D0%B5%D0%BB%D0%B8%D1%87%D0%B8%D0%B2%D0%B0%D1%82%D1%8C-%D0%B2%D0%BE%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B5-%D1%80%D0%B0%D1%81%D1%85%D0%BE%D0%B4%D1%8B>

კი 16,7%. როგორც ჩანს, სომხეთის სამხედრო ხარჯები მეტად აწვებოდა ქვეყნის ბიუჯეტს, თუმცა ბიუჯეტის სიდიდის გამო, აბსოლუტურ ციფრებში აზერბაიჯანის დანახარჯები 3-ჯერ მეტი იყო.

ესაა ღია ციფრები. თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანი გაცილებით მეტს ხარჯავს თავდაცვის მიზნებისთვის. ეს კი აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს შეიძინოს მეტი შეიარაღება და ტექნიკა, შექმნას მეტი მარაგები, ჩაატაროს მეტი წვრთნები, მეტად განავითაროს სამხედრო მრეწველობა და დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები.

მეზობელი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები: რეზერვი, სამხედრო მრეწველობა, ტექნოლოგიები, მატერიალური მარაგები

მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების თავდაცვის ხარჯების მონიტორინგი, მათი შეიარაღებული ძალების შესაძლებლობებზე ასახვის ჭრილში.

აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა იწყება 2006 წლიდან. 2006-2007 წლებში თავდაცვის ხარჯები 2005 წელთან შედარებით 2-2,5-ჯერ მეტია, 2008-10 წლებში დაახლოებით 5-ჯერ, ხოლო 2011 წლიდან 2015 წლების პერიოდის ხარჯები, 2005 წელთან შედარებით 10-ჯერ იზრდება. 2016 წლიდან სამხედრო ხარჯები ისევ უზრუნდება 2008-10 წლების დონეს, თუმცა ეს მოცულობაც 3,5-4-ჯერ მეტია, ვიდრე სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტი.⁷

ამ წლებს უკავშირდება აზერბაიჯანში სამხედრო მრეწველობის განვითარება. 2005 წელს აზერბაიჯანში შეიქმნა თავდაცვის მრეწველობის სამინისტრო.⁸ აზერბაიჯანის სამხედრო მრეწველობამ ჯერ ცეცხლსასროლი იარაღის წარმოება აითვისა. 10 წლისთავზე აზერბაიჯანი უკვე 900 სახეობის, ხოლო კიდევ 5 წელში, ანუ 44 დღიანი ომის წინ, 2 ათასი სახეობის სამხედრო დანიშნულების ნაწარმს უშვებდა, მათ შორის სნაიპერულ შაშხანებს, ავიაბომბებს, უპილოტო საფრენი აპარატებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, საარტილერიო ჭურვებს და სხვა. აზერბაიჯანის სამხედრო მრეწველობა აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის თურქეთთან, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რუსეთთან, ისრაელთან და სხვა.

90-ანი წლების ბოლოდან აქტიურად ვითარდება სომხეთის სამხედრო მრეწველობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთში ათობით სამხედრო დანიშნულების და სხვადასხვა პროფილის საწარმო დარჩა. ამ საწარმოებთან ერთად სამხედრო სამრეწველო კომპლექსში გაერთიანდნენ სამცხნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, ფიზიკის, რადიო-ფიზიკის, ელექტრონიკის, ქიმიის და სხვა დარგობრივი ინსტიტუტები. სომხეთის სამრეწველო კომპლექსი ორიენტირებულია ვიწრო მიმართულებების ტექნოლოგიების განვითარებაზე, კერძოდ, უპილოტო საფრენი აპარატები, ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებები, თბოვიზორები და სხვა. თუმცა, აზერბაიჯანთან შედარებით სომხეთის ფინანსური რესურსები შეზღუდულია, რაც ადგილობრივი სამხედრო მრეწველობის განვითარებაზეც აისახება. თუმცა, სომხეთის პოტენციალი ამ კუთხით, ყურადსაღებია.

სომხეთის ჯარის შეიარაღებაზე არსებული უპილოტო საფრენი აპარატების უმეტესობა ადგილობრივი წარმოებისაა. მათ შორის, სომხეთი აწარმოებს დამრტყმელ უპილოტო საფრენი აპარატებს. სომხეთი ახორციელებს ცეცხლსასროლი და საარტილერიო სისტემების რემონტს, აწარმოებს საავიაციო უმართავ რაკეტებს, საავიაციო ბომბებს, ყუმბარმტყორცნებს, ახდენს ძველი საბჭოური, მათ შორის საჰაერო თავდაცვის სისტემების კაპიტალურ შეკეთებასა და მოდერნიზაციას და სხვა.⁹

დასკვნა

1. ბოლო ომების ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფო, მისი თავდაცვის ძალები მზად უნდა იყოს ხანგრძლივი ომისთვის, რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება მოსახლეობის, ეკონომიკის, თავდაცვის სისტემის გამძლეობა, მედეგობა, თვითმობილიზების უნარი.

2. მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის განვითარების გრძელვადიანი დაგეგმვა, შეიარაღების და ტექნიკის, საბრძოლო მასალების, მატერიალური და ადამიანური რესურსების დაგროვება, თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობისთვის და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობისთვის საჭირო მარაგების შექმნა.

3. სამოქალაქო თავდაცვის სისტემის განვითარება, მოსახლეობისთვის სტაციონარული და მობილური თავშესაფრების მომზადება,

4. სახელმწიფოს ლოგისტიკური უზრუნველყოფის ალტერნატიული წყაროების და მარშრუტების მომზადება.

7 <https://evnreport.com/politics/military-expenditures-and-the-economy-behind-the-war-of-weapons>

8 <https://caliber.az/post/106998/>

9 <https://dzen.ru/media/id/5dab435843fdc000b16380ad/voennaia-promyshlennost-armenii-vozmojnosti-i-ambicii-5f833ad242a69673f7a7d797>

გამოყენებული ლიტერატურა

მსოფლიოს ომის პრობლემების კვლევების სტოკჰოლმის საერთაშორისო ინსტიტუტი (SIPRI).
ინტერნეტ სააგენტო www.caliber.az
ინტერნეტ სააგენტო www.evnreport.com
Военные расходы России 2023 | Take-profit.org
<https://take-profit.org>
<https://meta-defense.fr/en>

ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი რეალობა და გავლენა ფართო შავი ზღვის რეგიონზე

პოლკოვნიკი მურთაზ გუჯეჯიანი
თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის J-2
დაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

აბსტრაქტი

ერთის მხრივ, ენერგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში, მეორეს მხრივ, რთულ სისტემებს ამოძრავებს და კონფლიქტებს აქეზებს. მთავარი საერთაშორისო ევროსტაბის და იაიეი სააგენტოების ცნობით, ენერგიაზე მოთხოვნა სტაბილურად იზრდება. ბუნებრივი რესურსების სიმცირე და გეოგრაფიული მდებარეობა ენერგიაზე მთავრობების დამოკიდებულების დონეს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და გეოგრაფიულად ზრდის.

ფართო შავი ზღვის რეგიონში არაპროვოცირებულმა ომმა ძალიან გაართულა ისედაც რთული სტრატეგიული გარემო. კიევმა მოსკოვთან დაპირისპირება ძალიან სერიოზულად მიიღო და ფართო შავი ზღვის რეგიონი ყურადღების ცენტრად აქცია. ამ ნაშრომით წარმოდგენილია: ა. ევროატლანტიკური სივრცის აღმოსავლეთ ფლანგზე ენერგორესურსების ექსპორტის “მილიტარიზირება” და ბ. კვლევის მთავარი კითხვა არის - რუსეთ-ევროკავშირის ენერგეტიკული კავშირების ცალმხრივ და რუსულ ენერგომომარაგებაზე ევროკავშირისა და მისი პარტნიორების მგნობიარე დამოკიდებულებაზე საუბარი რამდენად აქტუალურია დღეს?

ამ ნაშრომის რედაქტირებისას გამოყენებულია სხვადასხვა ღია ცნობები, წიგნები, აკადემიური ჟურნალების სტატიები, ოფიციალური (არადახურული) დოკუმენტები, ვორკშოპები, პოლიტიკოსების გამოსვლები და ელექტრონული საინფორმაციო სააგენტოების პუბლიკაციები, რომლებიც ძალიან მხარდაჭერა ენერგეტიკის საკითხებზე ზოგადი შეხედულების მისაღებად, როგორც რუსეთის ფედერაციაში, ასევე დასავლეთის ქვეყნებში.

სტატია “ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ახალი რეალობა და გავლენა ფართო შავი ზღვის რეგიონზე” მოიცავს შესავალს, სამ თავს, სქემებს, ცხრილს, რეკომენდაციებსა და დასკვნას. შესავალი გადმოგვცემს საკითხის აქტუალობას, მიზნებსა და მოტივებს, რამაც გვიბიძგა საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის 2023 წლის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისთვის ეს თემა აგვეჩინა. პირველი თავი ეძღვნება ევროკავშირის ყურადღების ნაკლებობით შექმნილი ენერგიის მიწოდების ჯაჭვების მყიფე უსაფრთხოების გარემოს, ხოლო შემდეგ მოკლედ შეფასებულია თანამედროვე ისტორიის პერიოდში, უსაფრთხოების კონცეფციის ისტორიული ევოლუციის გამოყენებით ევროკავშირის ენერგიის უსაფრთხოების ისტორია და ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამჟამინდელი წყობა.

აქვე ნაშრომის მარტივი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ენერგეტიკული უსაფრთხოება და მასზე დამოკიდებულება არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ უსაფრთხოებასთან და, შესაბამისად, ეროვნული მთავრობების და კავშირების ყოველდღიური საზრუნავია. ეჭვგარეშეა, რომ კრემლი ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგზე თავის საგარეო პოლიტიკას და ძალაუფლებას ენერგორესურსების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებითა და საერთაშორისო წესების შეურაცხყოფით ამტკიცებს. წაკითხულიდან, დანახულიდან და დაკვირვებების შედეგად მიღებული კვლევა მიზნად არ ისახავს პრობლემის გადაჭრას, არამედ მსურველებს პრობლემის უკეთ გაგებაში დაეხმარება.

საკვანძო სიტყვები:

გაზის იმპორტი, შავი ზღვის რეგიონი, რუსეთ-უკრაინის ომი, ევროკავშირი.

The New EU Energy Security Reality and it's Impact on the Wider Black Sea Region

Colonel Murtaz Gujejian

Deputy Chief of J-2 Department of Military
Intelligence of Defense Forces

Abstract

This brief in-depth research “The new EU energy security reality and its impact on the wider Black Sea region” on a security Studies was organized by David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Germany. Its goal is to support the security of the Wider Black Sea Region energy supply chains. The purpose of this project is to answer to the main question: Will EU energy security impact the south-eastern flank of the Euro-Atlantic space.

Russia's war in Ukraine has created new problems that are not addressed by outdated security programs and old-fashioned traditional defence approaches. That the war in Ukraine is not the cause of a future conflict against the world order is not a new point of view, furthermore, the war in Ukraine is one of the results of the already existing conflict. It is a real possibility that the Kremlin will continue its aggressive foreign policy towards its neighbours and neighbours of neighbours in order to consolidate global power and “legitimacy”.

The eternal war in the region exposed the EU's economic weaknesses in energy exports and supply chains. Military professionals believe that whoever controls the east of the Euro-Atlantic space and/or dominates the Black Sea, can easily project power on the European continent, Central Europe, the Mediterranean, the North/South Caucasus and the Middle East.

Russia eternal war has shown us more dependence, weaponization, interference and more vulnerability of the EU Countries; Security is no longer based on the previously established rules. In the near future It's unlikely that relations between the EU and Russia will be based on beneficial energy relations. The European Union is moving beyond the binary dependency that binds international actors, creating a new reality in which the inclusiveness of energy security extends to several different areas, diversification will be critical for the EU. Supply chains are complicated and messy, it's implausible to make positive changes overnight.

Taking into account Russia sharp growth in military spending, its ability to integrate state resources and masses and it's “great propensity for risk” makes Russia both a “capable and unpredictable actor”. Russia's blackmail to use nuclear weapons indicates that Kremlin is losing the war due to lack of ammunition and low technological capabilities and in the short term wants to take this war into a protracted or frozen conflict phase.

According to the analysis of the processes of the recent past, the stability of the region cannot be successful and effective only with the support of NATO member states on EU's eastern flank. NATO, EU and their partners should have an emergency and long-term assistance strategy for the parties. From the lesson learnt in the last 30+ years on international cooperation issues it is vital that in the next 10-30 years the Euro-Atlantic and regional countries (except Russia) in the region, must counter challenges with collective deterrence of cooperation. Actively promoting stability is possible through the existence of the theory of Russian deterrence. Stability should be achieved by promoting collective deterrence and integration of Russia; a strategy of emergency and long-term assistance not only for alliance members, but also for partners, plus collective deterrence equals fixing and integration of Russia.

Speeches and workshops used in editing this paper, Organized by the Research and Policy Analysis Department (RPA) project of Strategic Competition Seminar Series-FY23 SCSS of George C. Marshall European Center for Security Studies (GCMC) at Workshop I held in Garmisch-Partenkirchen, Germany, 20-24 February 2023 entitled “Alternative Ukrainian Future Trajectories: Implications for Russia and the West” and Workshop II held in Berlin, Germany on 16 May 2023“ (A summary of FY23 SCSS#8 hybrid seminar entitled “What if? Russian Variables, Inflection Points and Game Changers?” at SCSS Workshop II) have been very supportive in the preparation of the paper.

Keywords:

Black Sea region, Economic, Energy, Russia, Ukraine, Military.

შესავალი

ენერგეტიკული პოლიტიკა ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლო პოლიტიკური საკითხია, რომელიც უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული. სტატიაში მთავარ სუბიექტებს, ორი მიზეზის გამო, წარმოადგენენ რუსეთი და ევროკავშირი; კერძოდ, პირველი - ისინი საერთაშორისო ველზე ორ მთავარ განსხვავებულ აქტორს წარმოადგენენ და მეორე - უკრაინაში შეჭრამდე ევროკავშირი რუსეთიდან ნახშირწყლების იმპორტზე ძალიან იყო დამოკიდებული. ამ ნაშრომის მიზანია იმის დემონსტრირება, თუ რამდენად მოძველებულია თანამედროვე ურთიერთობებში ცალმხრივი ენერგეტიკული დამოკიდებულება მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის. აღსანიშნავია, რომ რუსეთ-უკრაინის ომი და ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე გაჭიანურებული კონფლიქტები სერიოზულად ახშობენ რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს და მათ უსაფრთხოების სისტემა მზარდი დაძაბულობის ზონად აქციეს. ევროპის გარემოს სააგენტოს (EEA) განმარტებით გაზის მიწოდების უსაფრთხოებას წარმოადგენს „ენერჯის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ დროს სხვადასხვა ფორმით, საკმარისი რაოდენობითა და გონივრულ და მისაღებ ფასებში“.¹

ძირითადი ნაწილი ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების ისტორია

უკრაინაში შეჭრიდან უკვე რამოდენიმე თვის შემდეგ რეგიონულ და ეროვნულ დონეზე თვალს ვადევნებთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაჭირვებულ სიტუაციას (დაცარიელებული გაზის საცავეები), რომელიც მნიშვნელოვნად აისახა გლობალურ ენერგეტიკულ სექტორსა (ბუნებრივ აირზე ფასების კატასტროფული ზრდა) და მიწოდების არხების (ჩრდილოეთ ნაკადი) უსაფრთხოებაზე. რეგიონში გაუმართლებელმა ომმა ენერჯის ექსპორტზე და მიწოდების ჯაჭვებზე ევროკავშირის ეკონომიკის სუსტი ადგილები გამოავლინა. რეგიონის ექსპერტები თვლიან, რომ ვინც აკონტროლებს ევროატლანტიკური სივრცის აღმოსავლეთს ან/და დომინირებს შავ ზღვაზე, შეუძლია ევროპის კონტინენტზე, ცენტრალურ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვაში, ჩრდილოეთ/სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მოახდინოს ძალის იოლად პროექცირება.²

რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოს გათვალისწინებით, კერძოდ: a. რუსეთის ფედერაცია უკრაინაში ომამდე ევროპის უმსხვილესი გაზის მიმწოდებელი იყო; b. 90-იანი წლებიდან მოყოლებული ევროკავშირის გაზის ერთიანი ბაზარი აქვს; c. ევროპის ეკონომიკური და მნიშვნელოვანი სოციალური სერვისების საქმიანობის უზრუნველყოფა ენერგეტიკის სხვა რესურსების განზრახ უგულვებელყოფით დიდწილად ბუნებრივ აირს ეყრდნობა, კვლევაში ძირითადად ევროპის გაზის მიწოდების უსაფრთხოებაზე ვისაუბრებთ.

ენერჯიაზე ევროპული მოთხოვნა სტაბილურად მზარდია. ევროპელი მომხმარებელი სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ეკონომიკური საქმიანობის (მრეწველობა, საჭმლის მომზადება, ტრანსპორტირება, და მრავალი სხვა) უზრუნველსაყოფად ძირითადად ენერგეტიკის რესურსებსა და მათი მიწოდების ჯაჭვებს ეყრდნობა; ბუნებრივი ენერჯის ბუდობების სიმცირე და გეოგრაფიული მდებარეობა ენერგეტიკაზე ეროვნული მთავრობების დამოკიდებულების ხარისხს პოლიტიკურად, ეკონომიკურად და გეოგრაფიულად ზრდის. ევროკავშირი იმპორტზე ძალიან არის დამოკიდებული; ენერჯის ნახევარზე მეტს იმპორტი სჭირდება, თუმცა სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება წევრ სახელმწიფოებს შორის. ზოგიერთი ქვეყანა, როგორცაა იტალია ან მალტა, დამოკიდებულია ენერჯიაზე 100%-ით, მაშინ როდესაც დანია არის ენერჯის წმინდა ექსპორტიორი.³

ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ენერგეტიკული უსაფრთხოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომელიც მჭიდრო კავშირშია ეროვნულ უსაფრთხოებასთან; ახლო ისტორიის პერიოდში უკრაინასა და რუსეთს შორის მზარდმა დაძაბულობამ და უკრაინის ომმა ცალსახად დაგვანახა მისი მჭიდრო კავშირი ენერჯის მიწოდების (გაზის მილსადენები და საწყობები, ენერჯის რესურსების ბაზრები, LNG-თხევადი გაზის ტერმინალები, ტრანსპორტირება, სატრანზიტო შესაძლებლობებისა და მიწოდების ჯაჭვების ნორმალური ფუნქციონირება) უსაფრთხოებასთან.


უკრაინაში შეჭრამდე ევროპაში რუსეთის გაზის ექსპორტი 42%-ს შეადგენდა. ევროსტატის (Eurostat, Statistic Explained, April 2023) სტატისტიკის მიხედვით, რუსეთ-უკრაინის ომამდე 2021 წელს ევროკავშირმა სხვა ქვეყნებიდან 83% ბუნებრივი აირი შემოიტანა, აქედან პროცენტულად ყველაზე მეტი - ბუნებრივი აირის 23% რუსეთიდან შემოვიდა. რუსეთის შემდეგ ბუნებრივი აირის მსხვილი იმპორტიორი ნორვეგია (22.7%) იყო. ევროპაში რუსული გაზის (as ultimate origin) იმპორტი ასევე უკრაინისა (10,2%) და ბელორუსის (8,9%) გავლით განხორცილდა. ევროსტატის მონაცემებით, 2021 წელს ევროკავშირის 15 წევრ ქვეყანაში ბუნებრივ აირზე დამოკიდებულება 90%-ზე მეტი იყო. 2022 წლის 24 თებერვლამდე

1 Eurostat (nrg_ti_gas) <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/SEPDF/cache/10590.pdf>;

2 25 May 2018. What is happening in and around the Black Sea and how does it affect NATO? Published by Pavel Anastasov. <https://www.nato.int/docu/review/articles/2018/05/25/the-black-sea-region-a-critical-intersection/index.html>;

3 December 2011. Susanne Langsdorf, EU Energy Policy: From the ECSC to the Energy Roadmap 2050. Heinrich Boll Stiftung, Green European Foundation – GEF;

ბრიუსელის დამოკიდებულება რუსეთიდან გაზის იმპორტზე უფრო მაღალი იყო ვიდრე –ნორვეგიიდან. ბოლო წლებში რუსეთის ფედერაცია ევროპის უმსხვილეს გაზის მიმწოდებელს წარმოადგენდა, ქვევით იხილეთ სურათი 1.⁴



eurostat

სურათი 1:
ევროკავშირის ბუნებრივი აირის იმპორტის პროცენტული მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით.

ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, ენერჯის მოხმარების დონის მოკლე მიმოხილვიდან უჩვეულოდ ჩანს, რომ 2022 წლის 24 თებერვლამდე რუსულ გაზზე ევროკავშირის დამოკიდებულების დონე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო. მხარეებს შორის დამყარებული მოძველებული ცალმხრივი ენერგეტიკული დამოკიდებულება დიდი ალბათობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რუსეთის ფედერაციასა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანამედროვე ურთიერთობებსა და ეროვნულ დღის წესრიგზე.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ევროკავშირის აღმოსავლეთ ფლანგზე ენერგეტიკული რესურსების მიწოდებას ხშირად აფერხებდა, ადგენდა გავლენის სფეროებსა და შავ ზღვაში ქმნიდა დახურულ სივრცეებს, რეგიონს დიდ მნიშვნელობას არა მხოლოდ - რეგიონულ, არამედ ევროპის კონტინენტზე ენერგეტიკული უსაფრთხოების დღის წესრიგშიც ანიჭებდა. რიგი საკვანძო საკითხები, როგორცაა რეგიონში ბუნებრივი რესურსებით ვაჭრობა, მათი უსაფრთხო ტრასპორტირება და სატრანზიტო შესაძლებლობები არსებით მნიშვნელობას იძენს; თუმცა უსაფრთხოების ცვლადი გარემო რეგიონის უსაფრთხოების მომავალთან დაკავშირებით ლეგიტიმურ შეკითხვას აჩენს - რამდენად გახდის ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოება ფართო შავი ზღვის რეგიონს უფრო დაცულს?

ახლო წარსულში, რუსეთის მხრიდან გეოპოლიტიკური ფაქტორებით ხშირი იყო ბუნებრივი აირის მიწოდების შეფერხებები; ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მიმართ რუსეთი “წარმატებით” იყენებდა არამხოლოდ რეგულარულ, ირეგულარულ და ჰიბრიდულ გამოწვევებს, ასევე ბუნებრივი აირის მიწოდებით-შანტაჟს. ქვევით, ცხრილში მიმოხილულია რუსეთიდან ბუნებრივი აირის მიწოდების გამოწვევების რამოდენიმე ძირითადი შემთხვევა.

Uncertain Event	Reasons/Caused	Impact on Countries	Consequences	Outcome
2008-09 The gas crisis, Gazprom threatened to reduce the supply of natural gas to Ukraine	failure to reach an agreement on gas prices and supplies	Hungary, Moldova Romania, Poland, Bulgaria, Greece, Macedonia, Turkey, Slovakia, gas supply was dropped	On 31 December 2008 gas supplies interrupted. On 1 January 2009 were halted completely	EU member states to hold consultation on the gas crisis
2013-14 clamorous gas dispute, June 2014 gas supplies to Ukraine cut off	delayed debt payments; Annexation of Crimea	Ukraine, European countries. gas supply was dropped	30 October 2014 a deal was reached	Trilateral talks EU, Ukraine and Russia
2022 Russia-EU rattling gas dispute	Ukraine war related gas issues	Ukraine, European countries. gas supply was dropped	On 26 February 2022 Ukraine transit gas exports would be prohibited	EU sanctions on Russia, established shortly after the invasion
September 2022, the leaks Nordstream pipelines from Russia to Europe	Leaks in two gas pipelines were caused by sabotage	The West believed that sabotage would not have a significant impact on Europe's energy stability	the leaks were lasted for at least a week, until the gas from pipes runs out	The EU's security of gas supply is fragile

ცხრილი 1. რუსეთიდან ენერჯის მიწოდების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რამოდენიმე ძირითადი შემთხვევის მიმოხილვა.

4 Eurostat (nrg_ti_gasm) <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/SEPDF/cache/10590.pdf>;

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები ძირითადად ენერგეტიკულ საკითხებს თავისებურად ეროვნულ დონეზე და შიდა ენერგეტიკული ბალანსის არჩევით წყვეტენ, ხშირადაა, როცა ერთ ქვეყანაზე ან რეგიონზე ზემოქმედება მთელს კავშირზე იგრძნობა. ეს დამოკიდებულება არამხოლოდ ევროკავშირის რეგიონში, ასევე სხვა ორგანიზაციებში ქმნის ენერგეტიკის მიწოდების უსაფრთხოების საფუძველს. მაშინაც კი, როცა ევროპის გაზის საცავები, რომლებსაც შეუძლიათ დაახლოებით 100 (bcm) მილიარდი კუბური მეტრის მოცულობის მოთავსება, ევროპული მოთხოვნის მხოლოდ მეოთხედს დააკმაყოფილებენ.⁵

რეგიონში ევროკავშირის (სამეზობლო პოლიტიკა) და რუსეთის კონკრეტული ინტერესები ევროკავშირის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს; ერთი მხრივ, რუსეთი ევროკავშირის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგებზე “გავლენის სფეროებს” და ენერჯის მიწოდების ჯაჭვებზე შეფერხებებს ქმნის, მეორე მხრივ, მას რეგიონის საკუთარი რეინტეგრაციის გეგმა აქვს, რომელიც პირველ ეტაპზე პოსტსაბჭოთა სივრცის რეინტეგრაციას ისახავს მიზნად. რუსეთი რეგიონში ენერჯის სატრანზიტო დერეფნების მზარდ პოტენციალს რისკად აღიქვამს და მის კონფლიქტურ ინტერესებს დამატებით განზომილებას სძენს. ენერგორესურსების ექსპორტი რომ რუსეთის საერთო საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ძირითადი ელემენტია კარგად არის გადმოცემული ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ცენტრის დირექტორის დანიელ ჰამილტონის კვლევაში სათაურით „ვართო შავი ზღვის რეგიონი 21-ე საუკუნეში: სტრატეგია, ეკონომიკა და ენერგეტიკული პერსპექტივები“.⁶

ომამდე ერთი თვით ადრე, მოსკოვსა და დასავლეთს შორის დამაბულობის ფონზე უკრაინის გამო, რუსული გაზისა და ნავთობის ბროდუქტების გაყიდვები ყურადღების ცენტრში მოექცა. 2022 წლის 21 იანვარს როიტერმა გამოაქვეყნა საინტერესო კვლევა სახელწოდებით “რუსეთის ნავთობისა და გაზის მოულოდნელი შემოსავალი”. ნაშრომის ავრის დასადასტურებლად, აქ მოცემულია რამდენიმე რიცხვი როიტერის კვლევიდან. რუსული ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვებმა მნიშვნელოვანად გადააჭარმა 2021 წლის თავდაპირველ პროგნოზს. ფასების მკვეთრი ზრდის შედეგად, ნავთობის და გაზის გაყიდვებიდან შემოსავალმა რუსეთის მთლიანი ბიუჯეტის 36% შეადგინა. ეს ძალიან დიდი მაჩვენებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებისას.⁷

ამ თავში წარმოდგენილი ევროკავშირის ენერჯის მოხმარების ძალიან მოკლე ზოგადი მონახაზის, ახლო წარსულში ტენდენციებისა და განზრახვების კონტექსტის გათვალისწინებით, შემდგომ ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ რუსეთის ბიუჯეტის შემოსავლებსა და ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამჟამინდელ წყობას.

რუსეთის ბიუჯეტის შემოსავლის უზარმაზარი წყარო

რუსული ენერგეტიკის შემოსავლებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია, რადგან ის შეადგენს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 18 პროცენტს და მისი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მესამედზე მეტს. მიუხედავად რუსული წარმოშობის რაფინირებულ პროდუქტებზე ევროკავშირის ემბარგოსი, რუსეთის გაზისა და ნავთობის გაყიდვებიდან საგადასახადო შემოსავლების კლებისა და ფასების ლიმიტისა, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 5 თებერვალს, რუსეთის ეკონომიკის ზიანი საოცრად უმნიშვნელო რჩება. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალური ციფრების მიხედვით, ზოგიერთ კითხვებს აჩენს.


უკრაინაში ომის დაწყებამდე, 2021 წელს რუსეთის ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან მიღებული საგადასახადო შემოსავალმა რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის 45 პროცენტი შეადგინა. 2023 წლის პირველი ნახევრის შედეგების თანახმად, რუსულ ნავთობროდუქტებზე ფასების ლიმიტი, იმპორტის აკრძალვა, ეკონომიკური სანქციებისა და დაბალი საზაზრო ფასების ერთობლიობა მუშაობს მაშინაც კი, როდესაც რუსეთის ენერგეტიკული ექსპორტი მიედინება. ქვევით სურათზე გადმოცემულია დასავლეთის მცდელობები - შეზღუდოს კრემლის შესაძლებლობა დააფინანსოს ომი უკრაინასთან 2022 წელს და 2023 წლის პირველ ორ თვეს რუსეთის ნავთობისა და გაზის საგადასახადო შემოსავლების მოცულობიდან.⁸

5 February 23, 2023. Analysis: Healthy gas storage warms Europe, but not enough. <https://www.reuters.com/world/europe/healthy-gas-storage-warms-europe-not-enough-2023-02-23/>;

6 June 30, 2008. Edited by Daniel S. Hamilton, is director of the Center for Transatlantic Relations - SAIS and Gerhard Mangott. pg. 113 Energy Politics, The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives. Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations - SAIS, Johns Hopkins University)

7 Factbox: Russia's oil and gas revenue windfall Reuters January 21, 2022 <https://www.reuters.com/markets/europe/russias-oil-gas-revenue-windfall-2022-01-21/>

8 APRIL 13, 2023 Increasing pressure on Russia's oil industry <https://www.gisreportsonline.com/r/russian-oil-industry/>



Sources: Russian Finance Ministry, International Energy Agency

სურათი 2:
საგადასახადო შემოსავალი რუსეთის ნავთობისა და გაზის გაყიდვიდან (\$1 ≈ 82 რუბლი 2022 წელს)

ევროკავშირის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამჟამინდელი წყობა


გაზის მიწოდების შეფერხებებს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს: როგორც რეგიონული, ასევე გლობალური ენერჯის უსაფრთხოების პროცესები გულისხმობს ენერგომომარაგების მდგრადობასა და მრავალფეროვნებას; თუმცა რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე, ევროკავშირი-რუსეთის ენერგეტიკული ვაჭრობა, ევროკავშირის სივრცეში რუსული გაშლილი მილსადენებისგან და საცავებისგან მიღებული ორმხრივი სარგებელი ბრიუსელს უხერხულობას არ უქმნიდა. უკან, მოკლევადიან პრესპექტივაში, როგორც ჩანს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ბუნებრივი აირის უზრუნველყოფაში რუსული წილი პოტენციურად მაღალი იყო; თუმცა რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთდამოკიდებულება არ აღმოჩნდა მდგრადი. რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებამდე ევროკავშირი ჯერ კიდევ ზედმეტად დამოკიდებული იყო რუსულ გაზზე.

როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე ბუნებრივი აირის მოხმარების ზრდა ან კლება ღრმა გავლენას ახდენს საერთაშორისო ენერგეტიკულ და უსაფრთხოების სტრუქტურაზე. ევროკავშირის ქვეყნების ბუნებრივი აირის იმპორტზე მაღალ დამოკიდებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ ევროკავშირში გაზის მიწოდებას ვიწრო ჯგუფი უზრუნველყოფს.⁹

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ევროკავშირისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება მკვეთრად, კერძოდ, 42%-დან 10%-ზე ნაკლებ მაჩვენებლამდე შეამცირა, გამოჩნდა, რომ ევროკავშირში რბილი ზამთრის წყალობით, სამრეწველო მოთხოვნების მკვეთრი შემცირებითა და მომწოდებლების “გამრავალფეროვნებით” 2022-2023 წწ. ზამთარი იმაზე კომფორტულად გადაიტანა, ვიდრე რუსეთის შესაძლო გათვლებით იყო მოსალოდნელი. უფრო მეტიც, ევროკავშირის გაზის საცავებში ახლა იმაზე მეტი ბუნებრივი აირი აქვს, ვიდრე ეს უკრაინაში გაუმართლებელი ომის დაწყებამდე ჰქონდა. უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეულმა მყისიერმა შოკმა და ბუნებრივ აირზე ფასების 10-ჯერ მეტად ზრდამ ევროკავშირის ქვეყნები აიძულა ალტერნატიული საწვავის შეძენისკენ. თუ ადრე გერმანია სამომხმარებლო გაზის ნახევარს რუსეთიდან იღებდა, ახლა უარი თქვა მასზე.

თუმცა კარგი პროგნოზი არ ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში ბუნებრივი აირის მიწოდების შეფერხებები არ წარმოიქმნება. განსაკუთრებით მოწყვლადია ევროკავშირის აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები (სურათი 3.). გაზის ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ ისეა დაპროექტებული, რომ გაზის უმეტისი წილი ბელორუსიისა და უკრაინის გავლით მილსადენებით მოდის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასავლეთ ევროპიდან განხორციელდეს აღმოსავლეთით გაზის სრული მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა თავიდან აიცილა ენერგეტიკული უსაფრთხოების კრიზისი, მნიშვნელოვანი გამოწვევები მაინც რჩება: 1. მოკლე პერიოდში რუსული მოცულობის მთლიანად ჩანაცვლება. 2. კვლავ მზარდი და არაპროგნოზირებადი ფასები. 3. არარუსული მომწოდებლების გაზის გამტარი ინფრასტრუქტურისა და მიწოდების ჯაჭვების უსაფრთხოება და 4. ფართო შავი ზღვის რეგიონში მილსადენების გამოუყენებელი პოტენციალი.

⁹ February 14, 2023. Gas: a history of Energy Security in the EU. And what's next post-Russia? <https://energypost.eu/gas-a-history-of-energy-security-in-the-eu-and-whats-next-post-russia/>;



სურათი 3:

ევროპის ბაზარზე ბუნებრივი აირის ნაკადები 2022 წლის და 2021 წლის პირველი ნახევარში შედარებისთვის (Bruegel, 2022)

ახლო წარსულში გამოცდილების თანახმად, რუსეთი ენერგორესურსების ექსპორტს გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად იყენებს. რუსეთ-უკრაინის ენერგეტიკულმა და კონვენციურმა დაპირისპირებებმა დაგვანახა, რომ ევროკავშირისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგოდამოკიდებლობა-სტაბილურობა და მიწოდების არხების უსაფრთხოება. ევროკავშირის რუსეთზე დამოკიდებულების შემცირებისკენ მიმართული ენერგომომარაგების გამრავალფეროვნებამ დამატებით გაზარდა შავი ზღვის რეგიონის გეოეკონომიკური მნიშვნელობა, რასაც ჯერ კიდევ 2008 წელს დანიელ ჰამილტონი აღნიშნავდა.¹⁰

რეგიონს, როგორც ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოება-სტაბილურობისთვის, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის კუთხით მზარდი და მიმზიდველი მნიშვნელობა გააჩნია.¹¹ მართლაც, იგი ძალიან მიმზიდველია განსაკუთრებით კასპიის აუზიდან და ცენტრალური აზიიდან ნახშირწყალბადებისა და მწვანე ენერჯის ტრანზიტის მხრივ. 2022 წლის სტამბულის მარცვლეულის ახალი შეთანხმება და 2022 წლის მწვანე ენერჯის ტრანზიტის შეთანხმება შავ ზღვას მეტ მნიშვნელობას სძენს.

რეგიონი ევროატლანტიკური თანამეგობრობის ორი ძირითადი ინსტიტუტისთვის საერთო ინტერესის ზონაა. ორივე ინსტიტუტს რეგიონში ალიანსით დაინტერესებულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ არის ეფექტური სატრანზიტო დერეფნისა და ევროპული სატრანსპორტო ზონის უსაფრთხოება-სტაბილურობისთვის.

უკრაინაში შეჭრამდე 5 დღით ადრე ატლანტიკური საბჭოს ელექტრონულმა სააგენტომ საბჭოს უფროსი მრჩევლის ვრცელი კვლევა გამოაქვეყნა სათაურით “ნატომ უნდა გამოიყენოს შავ ზღვაში არსებული სტრატეგიული შესაძლებლობა“. სტატიის ავტორი კვლევაში სამართლიანად აღნიშნავს, რომ ბალტიისპირეთში ალიანსს რუსეთის შეკავებისთვის გადადგმული ნაბიჯებისგან განსხვავებით, რუსეთ-უკრაინის ომამდე მსგავსი ქმედებები შავი ზღვის რეგიონში არ განუხილავს.¹²

სამხედრო ექსპერტები თვლიან, რომ ფართო შავი ზღვის რეგიონში ევროკავშირსა და ნატოს თითქმის არაფერი აქვთ, თუ არ ჩავთვლით თურქეთის მწირ შესაძლებლობებსა და ევროპაში აშშ-ის ჯარების აღმოსავლეთის გაერთიანებულ ძალებს (The Joint Task Force East of the US Army Europe – USAREUR). სამხედრო პროფესიონალების დაკვირვებებმა ნათელიყო, რომ უკრაინა-რუსეთის ომის დაწყებიდან ქვედანაყოფების გადაჯგუფება ევროკავშირის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგებზე ცენტრალური რეგიონიდან მალევე დაიწყო, ევროპაში ახლად შექმნილი აშშ-ის ჯარების აღმოსავლეთ გაერთიანებული ძალები რუმინეთსა და ბულგარეთში ლაგდებიან. საჭიროების შესაბამისად, დამატებითი მოწინავე ძალების განკარგულებაშია წინასწარ განთავსებული შეიარაღება და

10 2008. Pg. 122 Trans-regional Issues. Economic Developments in the Wider Black Sea Region. The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives. Edited by Daniel Hamilton and Gerhard Mangott. Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations, 2008., The Johns Hopkins University/Austrian Institute for International Affairs;
 11 2022 წლის 17 დეკემბერს ბუქარესტი ისტორიულ ღონისძიებას მასპინძლობდა. შავი ზღვის რეგიონის პარტნიორმა ქვეყნებმა მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის კონტექსტში მჭიდრო თანამშრომლობაზე მზაობა დაადასტურეს. ოთხი ქვეყნის - აზერბაიჯანის, რუმინეთის, უნგრეთისა და საქართველოს ლიდერებმა მაღალი ძაბვის წყალქვეშა გადაცემი ხაზით მწვანე ენერჯის გადაცემის შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეთანხმება მწვანე ენერჯით კავკასიის რეგიონისა და ევროპის დაკავშირებას გულისხმობს.

12 February 19, 2022. NATO must seize the current strategic opportunity in the Black Sea, by Dr. Harlan Ullman, Senior Advisor at the Atlantic Council and the prime author of “Shock and Awe”; <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/nato-must-seize-the-current-strategic-opportunity-in-the-black-sea/>

აღჭურვილობა.

ამ კვლევის დასასრულელებლად შეიძლება ითქვას: რუსეთის გვერდის ავლით, ევროპას შეუძლია ითანამშრომლოს სხვა ქვეყნებთან და რეგიონებთან ენერგეტიკულ პოლიტიკაში. ენერჯის დივერსიფიკაციის გზით, ურთიერთობის კარგი მაგალითებია ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა, 2023 წლის მეორე კვარტალში ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენით ევროკავშირის ქვეყნებში ნავთობის ტრანსპორტირება 18-ჯერ გაიზარდა.¹³

დასკვნა

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების სტრუქტურა იცვლება, ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. რუსეთ-უკრაინის ომმა დაგვანახა რუსეთსა და ევროკავშირს შორის უფრო მეტი დამოკიდებულება, ჩარევა, ენერჯო რესურსების მილიტარიზაცია და უფრო დაუცველობა; დაუცველობა და მზარდი რისკი - უსაფრთხოება აღარ არის დაფუძნებული ადრე მოქმედ წესებზე. ახლო მომავალში ნაკლებად სავარაუდოა სარგებლიანი ენერგეტიკული დამოკიდებულების საფუძველზე ევროკავშირი-რუსეთის ურთიერთობის წარმართვა. ევროკავშირი სცილდება ორობით დამოკიდებულების ურთიერთობას, რომელიც აკავშირებს საერთაშორისო აქტორებს, ქმნის ახალ რეალობას, სადაც ენერგეტიკული უსაფრთხოების ინკლუზიურობა ვრცელდება რამდენიმე სხვადასხვა სფეროზე, ევროკავშირისთვის დივერსიფიკაცია გადამწყვეტი იქნება. ენერჯის მიწოდების ჯაჭვები ჩახლართული და რთულია, წარმოუდგენელია დადებითი ცვლილებების განხორციელება ერთ ღამეში.

გამოყენებული ლიტერატურა

- Eurostat (nrg_ti_gasm) <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/SEPDF/cache/10590.pdf>;
25 May 2018. What is happening in and around the Black Sea and how does it affect NATO? Published by Pavel Anastasov. <https://www.nato.int/docu/review/articles/2018/05/25/the-black-sea-region-a-critical-intersection/index.html>;
- December 2011. Susanne Langsdorf, EU Energy Policy: From the ECSC to the Energy Roadmap 2050. Heinrich Boll Stiftung, Green European Foundation – GEF;
- Eurostat (nrg_ti_gasm) <https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/SEPDF/cache/10590.pdf>;
February 23, 2023. Analysis: Healthy gas storage warms Europe, but not enough. <https://www.reuters.com/world/europe/healthy-gas-storage-warms-europe-not-enough-2023-02-23/>;
- June 30, 2008. Edited by Daniel S. Hamilton, is director of the Center for Transatlantic Relations - SAIS and Gerhard Mangott. pg. 113 Energy Politics, The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives. Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations - SAIS, Johns Hopkins University);
- Factbox: Russia's oil and gas revenue windfall Reuters January 21, 2022 <https://www.reuters.com/markets/europe/russias-oil-gas-revenue-windfall-2022-01-21/>
- APRIL 13, 2023 Increasing pressure on Russia's oil industry <https://www.gisreportsonline.com/r/russian-oil-industry/>
- February 14, 2023. Gas: a history of Energy Security in the EU. And what's next post-Russia? <https://energypost.eu/gas-a-history-of-energy-security-in-the-eu-and-whats-next-post-russia/>;
2008. Pg. 122 Trans-regional Issues. Economic Developments in the Wider Black Sea Region. The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives. Edited by Daniel Hamilton and Gerhard Mangott. Washington, D.C.: Center for Transatlantic Relations, 2008., The Johns Hopkins University/Austrian Institute for International Affairs;
- February 19, 2022. NATO must seize the current strategic opportunity in the Black Sea, by Dr. Harlan Ullman, Senior Advisor at the Atlantic Council and the prime author of "Shock and Awe"; <https://www.atlanticcouncil.org/blogs/ukrainealert/nato-must-seize-the-current-strategic-opportunity-in-the-black-sea/>
- Jun 14, 2023. By Vusala Abbasova Kazakhstan is Increasing Oil Exports Through Alternative Routes. <https://caspiannews.com/news-detail/kazakhstan-increases-oil-exports-via-azerbaijan-2023-7-13-16/>

¹³ Jun 14, 2023. By Vusala Abbasova Kazakhstan is Increasing Oil Exports Through Alternative Routes. <https://caspiannews.com/news-detail/kazakhstan-increases-oil-exports-via-azerbaijan-2023-7-13-16/>

სამოქალაქო თავდაცვა - ქვეყნის ტოტალური თავდაცვის მნიშვნელოვანი კომპონენტი

თადარიგის გენერალ-მაიორი თენგიზ შუბლაძე
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვეული სპეციალისტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

აბსტრაქტი

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი სოციალურ და თავდაცვით ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი იგეგმება და ხორციელდება მშვიდობიანობის და ომიანობის დროს მოსახლეობის დასაცავად, ეკონომიკის ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, აგრეთვე სამაშველო-საავარიო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად დაზიანების კერებში. იგი არის არასამხედრო, თავდაცვითი ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფას. სამოქალაქო თავდაცვას აქვს მთავარი ამოცანა - ქვეყნის ზურგის დაცვა. სამოქალაქო თავდაცვა, ხალხის და მატერიალური დანაკარგების შემცირების მიზნით, იყენებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, უმეტესად პასიურ მეთოდებს და საშუალებებს.

საკვანძო სიტყვები:

სამოქალაქო თავდაცვა, ხალხის რესურსი, ეკონომიკის ობიექტები, ინფრასტრუქტურა, სტაბილური ფუნქციონირება, ღირებულებები.

Civil Defense - an Important Component of Total Defense of the Country

Major General (R) Tengiz Shubladze

LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Invited Specialist in the Scientific Research Center
Georgian Technical University.
Head of Engineering Support Division
Doctor of History, Professor

Abstract

Civil defense is a constituent part of the system of state social and defense measures. It is planned and implemented to protect the population in war and peacetimes, to maintain the stable operation of economic objects, and to carry out rescue and other types of emergency work in damage areas. It is a complex of non-military, defensive measures aimed to ensure the efficiency of state management. The main task of civil defense is to protect the rear of the country. Civil defense, in order to reduce human and material losses, uses only its own, mostly passive methods and means.

Keywords:

Civil Defence, human resources, economic objects, infrastructure, stable functioning, values.

შესავალი

ტოტალური (ყოველისმომცველი) თავდაცვა არის სახელმწიფო სტრუქტურების, თვითმმართველობის ორგანოების და თავდაცვის ძალების, ასევე სულიერი, ფიზიკური, ეკონომიკური და სხვა პოტენციალის მუდმივი მზაობა დაარეგულიროს კრიზისი, თავიდან აიცილოს ან/და მოიგერიოს აგრესია, უზრუნველყოს ერის გადარჩენა. ყოველივე ეს გულისხმობს თავდაცვის უზრუნველყოფას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრული ეროვნული ძალისხმევით, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო რესურსების გამოყენებით. ტოტალური თავდაცვა შედგება ხუთი ძირითადი კომპონენტისგან: სამხედრო თავდაცვა - თავდაცვის ძალების ამოქმედება, საკმარისი წინააღმდეგობის პრინციპებზე დაყრდნობით, უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების ჩართვამდე; სამოქალაქო თავდაცვა - არასაბრძოლო თავდაცვითი ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფო მართვის ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფს; ეკონომიკური თავდაცვა - ეკონომიკის ქმედითუნარიანობის შენარჩუნება; სამოქალაქო მზაობა - კრიზისის ან ომის დროს ხანგრძლივი პერიოდით საზოგადოების ქმედითუნარიანობის (სიცოცხლისუნარიანობის) შენარჩუნება; ფსიქოლოგიური თავდაცვა - ქვეყნის დაცვისათვის საზოგადოების ფსიქოლოგიური მზაობა.¹

ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი სახის ექსტრემალური სიტუაციების (აგრესია, ბუნებრივი, ტექნოგენური და წინასწარ განსაზღვრული საგანგებო სიტუაციები) შედეგებთან ბრძოლის ძირითადი მიზანია ხალხის რესურსის, ეკონომიკის ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის საიმედო დაცვა.

განვითარებულ ქვეყნებში ეს ამოცანები აკისრია სამოქალაქო თავდაცვის სისტემას. სამოქალაქო თავდაცვა არის ქვეყნის ტოტალური თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტი. ისინი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან და ქმნიან ერთ მთლიანს, რომელიც წარმოადგენს თანამედროვე ომის იანუსის ორსახიან თავს. ერთი სახე მომართულია გარეთ, მოწინააღმდეგისკენ, ხოლო მეორე იყურება შიგნით - საკუთარი ხალხის სასიცოცხლო ფუნქციებისკენ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი იქნება უწყვეტი, მოქმედი ფრონტი გახდება მედეგი და ბრძოლასუნარიანი.

სამოქალაქო თავდაცვა არის არასამხედრო, თავდაცვითი ამოცანების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს: მართვის ფუნქციების შენარჩუნებას სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე; მოსახლეობის და მათი ქონების, ასევე სახელმწიფო ქონების დაცვას; მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მომსახურებით და ფართო მოხმარების საქონლით მომარაგებას და უზრუნველყოფას; საზოგადოებაში მოწინააღმდეგის შეტევის შემოქმედების მინიმალიზაციას და მათი თავდასხმის შედეგად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების დარეგულირებას.

სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებს განეკუთვნება საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ხალხის მასობრივი დაღუპვა, ჯანმრთელობის და არსებობის საშუალებების დაკარგვა, ყოფითი გარემოს რღვევა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

თანამედროვე მსოფლიოს სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შეფასებისას არ შეიძლება არ აღინიშნოს რომ მშვიდობის შეუქცევადობის საკმარისი საიმედო გარანტიები ჯერ არ არის შექმნილი. ამის დადასტურებას წარმოადგენს 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია, 2014 წელს უკრაინაში განვითარებული მოვლენები და 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის უკრაინაში შეჭრა. ამ უკანასკნელმა ნათლად დაგვანახა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყანაში სამოქალაქო თავდაცვის სისტემის გამართული ფუნქციონირება და რაც მთავარია მოსახლეობის ყველა კატეგორიის მზაობა ამ პირობებში მოქმედებისთვის.

ოდითგან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ გარანტირებული უსაფრთხოება მიიღწევა მოსალოდნელი საფრთხეების დროული და ზუსტი შეფასებით, მათ მიმართ ადეკვატური რეაგირების დაგეგმვით და განხორციელებით.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსის, როგორც სამხედრო მოქმედების წარმატებით განხორციელების და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მდგრადი ფუნქციონირების აუცილებელი პირობების შენარჩუნების, ქვეყნის ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი ფასეულობების გადარჩენის, პირუტყვის სულადობის შენარჩუნების და მოსალოდნელი საფრთხის რაიონებში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების თავიდან აცილების ღონისძიებებს.

ომიანობის პერიოდში სამოქალაქო თავდაცვას აქვს მთავარი ამოცანა - ქვეყნის ზურგის დაცვა. სამოქალაქო თავდაცვა, ხალხის და მატერიალური დანაკარგების შემცირების მიზნით, იყენებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, უმეტესად პასიურ მეთოდებს და საშუალებებს.

აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სამოქალაქო თავდაცვა მოწოდებულია ზურგში განლაგებული თავდაცვის ძალების დაცვაზეც, პირველ რიგში, სამობილიზაციო რესურსის და სამხედრო საწარმოო სიმძლავრეების.

1 (Ron Matthews, Nellie Zhang Yan, Small Country "Total Defence", 2007, 376-395).

ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, სამოქალაქო თავდაცვის სფეროში არსებულ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებზე, რომელთაგანაც მიერთებულია ჩვენი სახელმწიფო, საქართველოს კონსტიტუციაზე, ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტზე - „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, საქართველოს კანონებზე „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, ასევე, მოსახლეობაში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატა შემდეგ ღონისძიებებში: მოსახლეობის დაჯგუფება ღირებულებების თვალსაზრისით; ჯგუფების ღირებულებების შესწავლა (საერთო ღირებულებების გამოვლენა, განსხვავებული ღირებულებების გამოვლენა, განსხვავებული ღირებულებებს შორის რაციონალური კომპრომისების მონახვა); ღირებულებების სინქრონიზაცია ეროვნული დონის კონცეპტუალურ, საკანონმდებლო, დირექტიული და საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებთან, შემუშავებულ იქნა ის ღირებულებები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს

სახელმწიფომ სამოქალაქო თავდაცვის სფეროში ყველანაირი საქმიანობის დაგეგმვის, აღსრულების და ზედამხედველობის დროს.²

ესენია:

- 1. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.**
- 2. მოსახლეობის კეთილდღეობა.**
- 3. ეროვნული თვითმყოფადობა.**
- 4. თანასწორობა.**
- 5. პასუხისმგებლობა.**

თითოეულ მათგანი ატარებს შემდეგ შინაარს:

1. ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა

ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა არის ის უმაღლესი ღირებულება, რომლის დასაცავად სახელმწიფომ, ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირების სახით, ვალდებულია განსაზღვროს მოთხოვნილებები, შექმნას შესაძლებლობები, დაგეგმოს და განახორციელოს სათანადო საქმიანობა, მთელი მის ხელთ არსებული რესურსის გამოყენებით.

2. მოსახლეობის კეთილდღეობა

ხალხის კეთილდღეობა განისაზღვრება, ნებისმიერ გარემოში, მათთვის სრულფასოვანი მატერიალური და კულტურული საცხოვრებელი პირობების შენარჩუნებასა და შექმნაში. კრიზისული, საგანგებო და ომის პირობებში სახელმწიფო ვალდებულია რაციონალურად გადაანაწილოს თავისი შესაძლებლობები და გამოყოს სათანადო რესურსები ამ ღირებულებების მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მშვიდობიანობის დროს სახელმწიფო, ასევე, ვალდებულია მომზადებული შეხვედეს კრიზისულ, საგანგებო და საომარ ვითარებას, რათა, ამ მხრივ, მინიმალური დანაკარგებით დასძლიოს მათი მიმდინარეობა და შედეგები.

3. ეროვნული თვითმყოფადობა

ერის თვითმყოფადობა განისაზღვრება მისი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და განვითარებაში. სახელმწიფო ვალდებულია მაქსიმალურად შეინარჩუნოს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ერების ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, საგამანათლებო რესურსები, რათა მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს შესაძლებლობა, თავისი წვლილი შეიტანონ მსოფლიო ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში.

4. თანასწორობა

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. სახელმწიფო ვალდებულია ერთნაირად უზრუნველყოს ის ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად მისი ეროვნული, რელიგიური, სექსუალური, იდეოლოგიური, ტერიტორიული, სოციალური და ა.შ. კუთვნილებისა.

5. პასუხისმგებლობა

მშვიდობიან პერიოდში, კრიზისული, საგანგებო და საომარი მდგომარეობისათვის მომზადება, ხოლო ამ მდგომარეობის დადგომისას და შემდეგ - მისი შედეგების შერბილების და აღმოფხვრისათვის ძალისხმევა წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს, ისე მის ტერიტორიაზე მყოფი ყოველი მოქალაქის და მოქალაქეობის არ მქონე პირის პასუხისმგებლობას. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეების, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების და უწყებების, სხვა სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინირება მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად.

ეს ღირებულებები წარმოადგენს საფუძველს სახელმწიფოს სამოქალაქო თავდაცვის ინტერესების, მიზნების და მათი მიღწევის, საფრთხეების და მათი აცილების გზების და მთლიანად სამოქალაქო თავდაცვის სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

სამოქალაქო თავდაცვა საერთო-სახელმწიფოებრივი სოციალურ და თავდაცვით ღონისძიებათა სისტემის შემადგენელი ნაწილია. იგი იგეგმება და ხორციელდება მშვიდობიანობის და ომიანობის დროს მოსახლეობის დასაცავად, ეკონომიკის ობიექტების სტაბილური ფუნქციონირების შესანარჩუნებლად, აგრეთვე სამაშველო-საავარიო და სხვა სახის გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად დაზიანების კერებში.

ძალიან მნიშვნელოვანია სწორად ჩამოვყალიბოთ ის ამოცანები, რომლებიც დღეს დგას სამოქალაქო

2 J. Boone Bartholomees, Jr., U.S. ARMY WAR COLLEGE GUIDE TO NATIONAL SECURITY POLICY AND STRATEGY, 2012, 413-418.

თავდაცვის წინაშე. სამოქალაქო თავდაცვის ამოცანების ფორმირებას საფუძვლად დაედო ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციით განსაზღვრული სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები, რომლებსაც განეკუთვნება:

- შეტყობინება;
- ევაკუაცია;
- თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი მოწყობა;
- შუქმენიღბვის ღონისძიებების განხორციელება;
- სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
- სამედიცინო მომსახურება, პირველადი სამედიცინო დახმარება და
- აგრეთვე სულიერი დახმარების აღმოჩენა;
- ხანძართან ბრძოლა;
- საშიში რაიონების აღმოჩენა და მათი აღნიშვნა;
- გაუსწავრება და სხვა ხასიათის დაცვითი ღონისძიებები;
- დროებითი საცხოვრებელი პირობების შექმნა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა;
- უბედურების რაიონებში წესრიგის აღდგენა და დამყარება;
- საჭირო კომუნალური სამსახურების დროული აღდგენა;
- მიცვალებულთა დაკრძალვა;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნებისათვის დახმარების აღმოჩენა;
- დამატებითი ღონისძიებების განხორციელება ზემოთჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად, დაგეგმვის და ორგანიზაციის ჩათვლით.³

აღნიშნული კონვენციის და დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით სამოქალაქო თავდაცვის ამოცანები შეიძლება დავეყოთ სამ ჯგუფად:

I ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენების შემთხვევაში მოსახლეობის დაცვის უზრუნველყოფასთან. კერძოდ:

1. მშვიდობიან პერიოდში თავდაცვითი ნაგებობების ფონდის შექმნა, ხოლო მოწინააღმდეგის თავდასხმის უშუალო საფრთხის შემთხვევაში - მათში მოსახლეობის შეფარება.

2. მშვიდობიან პერიოდში დასახლებული პუნქტებიდან წინასწარ განსაზღვრული მოსახლეობის, მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების და პირუტყვის ევაკუაციის დაგეგმვა, ხოლო მოწინააღმდეგის თავდასხმის უშუალო საფრთხის შემთხვევაში - მისი ჩატარება.

3. მშვიდობიან პერიოდში მოსახლეობის ნებისმიერი სახის იარაღის გამოყენებისაგან დაცვის ხერხების, ასევე თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციისას განსაზღვრული ღონისძიებების აუცილებელი სწავლების ორგანიზება და ჩატარება.

4. მოწინააღმდეგის თავდასხმის შესახებ შეტყობინების და ინფორმირების სისტემის შექმნა.

II ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც განეკუთვნება ომიანობის პერიოდში ეკონომიკის ობიექტების მუშაობის მდგრადობის ამაღლებას. ამ ჯგუფის ამოცანები მოიცავს ორგანიზაციულ და საინჟინრო-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლებიც ეკონომიკის ობიექტებზე წინასწარ, მშვიდობიანობის პერიოდში ხორციელდება. მათი

მიზანია, საგანგებო სიტუაციების პირობებში გამოუშვან პროდუქცია დაგეგმილი მოცულობით და ნომენკლატურით.

III ჯგუფი - ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია მოწინააღმდეგის თავდასხმის შედეგების ლიკვიდაციასთან. კერძოდ:

1. სამოქალაქო თავდაცვის ძალების წინასწარ შექმნა, მომზადება და მუდმივ მზადყოფნაში ყოლა.

2. დაზიანების კერებში სამაშველო-საავარიო სამუშაოების ორგანიზება და ჩატარება.

3. დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენა, მათი სასიცოცხლო უზრუნველყოფა.

4. სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოქმნილ ხანძრებთან ბრძოლა.

5. სამხედრო მოქმედებების შედეგად დაზარალებულ რაიონებში მართლწესრიგის აღდგენა და შენარჩუნება.

6. სამხედრო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა დაკრძალვა.

დასკვნა

ზოგადად რომ ჩამოვყალიბოთ, სამოქალაქო თავდაცვის ამოცანებს წარმოადგენს სამხედრო ზემოქმედების შედეგების მინიმუმადე დაყვანის მიზნით მოსახლეობის, მისი საცხოვრებლის და სამუშაო ადგილის, სასიცოცხლო უზრუნველყოფის და თავდაცვის სამოქალაქო მართვის მნიშვნელოვანი სტრუქტურების, ობიექტების და ნაგებობების, ასევე კულტურული ფასეულობების არასამხედრო ხერხებით დაცვა.

3 („ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია და დამატებითი ოქმები“ 2001წ. ივლისი, თავი VI, მუხლი 61).

გამოყენებული ლიტერატურა

Small Country 'Total Defence': A Case Study of Singapore September 2007 Defence Studies 7(3): pages (376-395);
DOI:10.1080/14702430701559289

Authors: Ron Matthews, Nellie Zhang Yan.

U.S. ARMY WAR COLLEGE

GUIDE TO NATIONAL SECURITY POLICY AND STRATEGY

2nd Edition. edited by J. Boone Bartholomees, Jr.

Department of National Security and Strategy 2012

APPENDIX I - GUIDELINES FOR STRATEGY FORMULATION (pages 413-418).

წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაცია, „ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენცია და დამატებითი ოქმები“ 2001წ. ივლისი, თავი VI, მუხლი 61.

ეროვნული წინააღმდეგობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ

ირაკლი ბათიაშვილი

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვეული სპეციალისტი

აბსტრაქტი

ჩვენი ამოცანაა, რომ განვიხილოთ ეროვნული ტოტალური წინააღმდეგობის (National total resistance) ზოგიერთი ძირითადი კომპონენტი; სახელდობრ, ე.წ. იატაკქვეშეთი (Underground) და პარტიზანული მოძრაობა (Guerrilla). რა თქმა უნდა, ჩვენი მსჯელობები უნდა ატარებდეს უაღრესად კვალიფიციურ ხასიათს და ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, დავეყრდნობით ტოტალური წინააღმდეგობის ერთ-ერთ უახლეს და აღიარებულ თეორიას: მხედველობაში გვაქვს შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტის ნაშრომი - „წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია“, რომლის მთელ რიგ ფრაგმენტებს წარმოვადგენთ მნიშვნელოვნად გადამუშავებული სახით. ასევე დავეყრდნობით უაღრესად საყურადღებო ნაშრომს - „პარტიზანული ომის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა“. ამგვარად, განვიხილავთ აღნიშნულ შრომებში წარმოდგენილ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ასპექტს და საკვანძო მომენტს, რითაც ცხადვყოფთ წინააღმდეგობის მოძრაობის და კერძოდ, მისი მთავარი კომპონენტების - იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის - ზოგადი კონცეპტის შინაარსს: კერძოდ, მათ ადგილს და ფუნქციას გარკვეული სისტემის შიგნით, მათ სტრუქტურას, შემადგენელ ელემენტებს და მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ხოლო ამ ზოგადი კონცეპტის ექსპლიკაცია ემსახურება ჩვენს მომავალ განხილვებს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ საკუთარი ეროვნული წინააღმდეგობის არსებითი მახასიათებლები, სწორედ, რომ სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით; სახელდობრ, ჩვენი ეროვნული ინტერესების, სპეციფიკური გეოპოლიტიკური ვითარების, ჩვენს წინაშე არსებული საფრთხეების და ქვეყნის კულტურული, ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული, ურბანული თავისებურებების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები:

იატაკქვეშეთი, პარტიზანული მოძრაობა, ოპერატიული მართვა.

On Some Important Aspects of National Resistance

Irakli Batiashvili

LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Invited Specialist in the Scientific Research Center

Abstract

In this article we consider such significant components of total national resistance as **underground** and **guerrilla**. Of course, our reasonings should have very qualified character and therefore we base ourself on the new and acknowledged theory of total resistance; namely, on the work of Swedish Defence University - „Resistance Operating Concept“. Also we base ourself on the very important work – „The Basics of Guerrilla War: a Theory and a Praxis“. So we analyze several significant aspects and key points, that are represented in those works and consequently make evident the general concept of those components of resistance movement: particularly, we elucidate their place and function inside the certain system; their structures, constituting elements and main characteristics.

The explication of this general concept serves our future considerations, that must define the essential features of our national resistance movement, taking in account namely our specific factors: our national interests, special threats to our state and cultural, psychological, geographic and urbanistic specificities of our country.

Keywords:

underground, guerrilla movement, operative management.

შესავალი

„We shall fight on the beaches, we shall fight on the landing ground, we shall fight in the fields and in the streets, we shall fight in the hills, we shall never surrender.”¹ („ჩვენ ვიბრძობებთ სანაპიროებზე, ჩვენ ვიბრძობებთ ხმელეთზე, ჩვენ ვიბრძობებთ ველებზე და ქუჩებში, ჩვენ ვიბრძობებთ მთებში, ჩვენ არასოდეს დავნებდებით.“ უინსტონ ჩერჩილი, 4 ივნისი 1940; თარგმ.-ი.ბ.).

წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია ჯერ ერთი, ხელს უწყობს მთავრობას, რომ განავითაროს წინარეკრიზისული **მოქნილობა-მდგრადობა (Resilience)** ტოტალური თავდაცვის ჭრილში. ამავე დროს, იგი აფუძნებს თავად **წინააღმდეგობის დაგეგმვის საერთო გაგებას** ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და მოკავშირეებისათვის და უზრუნველყოფს ამ გეგმის პოტენციურ რეალიზაციას ტოტალური თავდაცვის დროს. მეორეც, ეს კონცეფცია განსაზღვრავს **წინააღმდეგობის პრინციპებს, მოთხოვნებს და პოტენციურ გამოწვევებს; წინააღმდეგობის ორგანიზებას, მართვას და კონტროლს, მის სტრუქტურას, შესაძლებლობებს და აქტივობის ფორმებს**. იგი ასევე განსაზღვრავს შესაძლებლობებს იმ მხარდაჭერისათვის, რასაც საჭიროებს ტოტალური წინააღმდეგობის მოძრაობა როგორც შიდასამთავრობო, ასევე ინტერსამთავრობო (ე.ი. მოკავშირეებთან ურთიერთქმედების) დონეზე. როგორც ცნობილია, ტრადიციული კონვენციური თავდაცვითი ომის ვითარებაში ქვეყნის მთავრობა და სამხედრო ძალები მოქმედებენ მტრის წინააღმდეგ მოსახლეობის თანადგომასთან ერთად. მაგრამ ტოტალური თავდაცვის დროს, რომლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს შეადგენს წინააღმდეგობის მოძრაობა, მოსახლეობა უკვე გვევლინება არა დამატებით, არამედ მთავარ აქტორად და ასევე დიდ როლს თამაშობენ მოკავშირეები და პარტნიორები წინააღმდეგობის ძალისხმევის მხარდაჭერის საქმეში. ამიტომაც, განსხვავებით ტრადიციული თავდაცვისაგან, ტოტალური თავდაცვის საკვანძო რგოლია ის მოსამზადებელი სამუშაო, რამაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მზადყოფნა თავისი მთავარი როლის შესასრულებლად საომარი კონფლიქტის პირობებში. ეს მოსამზადებელი სამუშაო განეკუთვნება ე.წ. მოქნილობა-მდგრადობის კონცეფციას, რაც წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის ერთიანი კონცეფციის შემადგენელი ნაწილია. იგი გულისხმობს თანამშრომლობის გაძლიერებას სახელისუფლებო უწყებებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებას შორის და ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას, ვინაიდან ეს ხელს უწყობს უფრო მდგრადი, მოქნილი სოციუმის ჩამოყალიბებას და წინააღმდეგობის ქსელის ფორმირება-განმტკიცებას საჭიროების შემთხვევაში. ამგვარად, წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია ფოკუსირებულია, ერთი მხრივ, ორგანიზებული წინააღმდეგობის უნარის შემუშავება-განვითარებაზე აგრესორის შემოჭრამდე და ქვეყნის სრულ ან ნაწილობრივ ოკუპაციამდე და თანაც ამ წინააღმდეგობის უნარს უფლებამოსილება ენიჭება ნაციონალურ დონეზე; მეორე მხრივ კი, იგი ხელს უწყობს თავად წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზება-გაშლას და მართვას ქვეყნის ნაწილობრივი თუ სრული ოკუპაციის პირობებში.

ძირითადი ნაწილი

ოკუპანტის მიმართ ეროვნული წინააღმდეგობა იწყება მაშინ, როდესაც გარეშე ძალა იკავებს ქვეყნის ტერიტორიას პირდაპირ ან სხვა ძალაზე სათანადო უფლებამოსილების მინიჭებით. მაგრამ აქვე აღსანიშნია, რომ წინააღმდეგობის აქტივობათა სპექტრი შეიძლება იყოს მრავალგვაროვანი. ამასთან ერთად, შეიძლება ბუნდოვანი აღმოჩნდეს ის საზღვრები, რითაც ერთმანეთისაგან გამიჯნულია წინარეკრიზისული მოქნილობის ფორმირება და წინააღმდეგობის ქმედებები კრიზისის დროს. სახელდობრ, ეს განსხვავება ბუნდოვანია, როდესაც მოწინააღმდეგე დაკავებულია ქვეყნის მიმართ ასიმეტრიული ომის მეთოდებით. ამიტომაც ასეთ შემთხვევაში მოქმედებები, რომელთაც სახელმწიფო ახორციელებს, ერთი მხრივ, მოქნილობის ფორმირების პერიოდში და მეორე მხრივ, წინააღმდეგობის დროს, შეიძლება გადაიკვეთონ.

არსებობს სამი ვარიანტი იმ ვითარებისა, რომელიც შეიძლება დადგეს ქვეყანაში მოწინააღმდეგის აგრესიული ქმედებების შედეგად: ა) სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა; ბ) სუვერენიტეტის სრული დაკარგვა და გ) სუვერენიტეტის ხელყოფა. თითოეული მათგანი ქმნის ახალ ოპერაციულ გარემოს და თითოეულის დადგომა დამოკიდებულია ქვეყნის შეკავების უნარსა და მოქნილობა-მდგრადობის სხვადასხვა ასპექტებზე. (იხ. სურ. 1)

1 Winston Churchill, 4 June 1940.



სურათი # 1 ოპერატიული გარემო.


როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, წინარეკრიზისულ პერიოდში ერი იწყებს მოქნილობა-მდგრადობის ფორმირებას და წინააღმდეგობის დაგეგმვას, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებისათვის ცნობილი ხდება ამა თუ იმ სახელმწიფოს მხრიდან აგრესიის განხორციელების შესაძლებლობა. აქვე მივუთითებთ, რომ მოწინააღმდეგემ მოქმედება შეიძლება დაიწყოს აგრესიის უფრო დაბალი ფორმებით, რაც შემდგომ შეიძლება გადაიზარდოს ჰიბრიდული ომის ფორმაში, სადაც ასიმეტრიული ქმედებები კომბინირებენ კონვენციური ძალების შეჭრასთან; თუმცა, მან შეიძლება თავიდანვე დაიწყოს საკუთარი შეიარაღებული ძალების პირდაპირი შეჭრით ქვეყნის ტერიტორიაზე. როდესაც უკვე ნათელი ხდება მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი აგრესიის განხორციელების თაობაზე (და არა უბრალოდ ამის შესაძლებლობა) სახელმწიფო იწყებს წინააღმდეგობის ორგანიზაციის აქტივიზაციას ისეთივე დონეზე, როგორც მიმდინარეობს ჯარის მობილიზაცია. ხოლო როგორც კი აგრესორი თვალნათლივ ხელყოფს ეროვნულ სუვერენიტეტს და აწარმოებს ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას, მალევე იწყება ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობის ამოქმედება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. აი, ამ პროცესში სავარაუდოდ ადგილი აქვს ხოლმე მოქცევებს და მიქცევებს წინააღმდეგობათა აქტივობებში; სახელდობრ, წინააღმდეგობის ქმედებათა წარმატებით განვითარების შემთხვევაში დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ოკუპანტი მიმართავს რეპრესიულ ზომებს მოსახლეობის მიმართ, რაც დროებით შეასუსტებს წინააღმდეგობის აქტივობას. თუმცა, სიტუაციის შედარებითი სტაბილიზაციის შემდეგ, ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა კვლავ შეეცდება გააქტიურებას. საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარებამ ან სათანადო პირობები უნდა შექმნას მოკავშირე სახელმწიფოების კონვენციური ძალების ქვეყანაში შემოსასვლელად ან კიდევ ხელი შეუწყოს კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების სათანადო პირობების უზრუნველყოფას; კერძოდ, ლაპარაკია პოლიტიკურ დარეგულირებაზე, რომლის მეშვეობითაც აღდგება ეროვნული სუვერენიტეტი ქვეყნის მთელ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ხოლო როდესაც ოკუპირებულია ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, წინააღმდეგობის მოძრაობამ შეიძლება შექმნას სათანადო პირობები მისი დეოკუპაციისა თავად ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ.

რაც შეეხება ჩვენს საკვლევ თემას, გვინდა აღვნიშნოთ, რომ **წინააღმდეგობის მოძრაობის ოთხ პრიმარულ კომპონენტად გვევლინება: იატაკქვეშეთი (Underground), დამხმარე ძალები (Auxiliary), პარტიზანული ძალები (Guerrilla forces) და საჯარო კომპონენტი (Public component).** მაშასადამე, წინააღმდეგობის ორგანიზაციები შედგებიან ამ ოთხი უმთავრესი კომპონენტისაგან. წინააღმდეგობის მოძრაობის მიზნები და წარმატება განსაზღვრავს თითოეული მათგანის განვითარების დონეს და ასევე ურთიერთმიმართებებს მათ შორის. იატაკქვეშა და პარტიზანული ძალები წარმოადგენენ სამხედრო-პოლიტიკურ სუბიექტებს ანუ ასრულებენ როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო აქტივობებს. ჩვეულებრივ, იატაკქვეშეთი ის საწყისი ელემენტია, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს და რომელიც ეფუძნება ლიდერშიპის და სახალხო მზაობის ფაქტორებს. სახელდობრ, მზაობისა, რომ ოკუპანტი განიდევნოს ქვეყნიდან. დამხმარე კომპონენტის წევრთა ნაწილი უზრუნველყოფს ფარულ მხარდაჭერას ორივესთვის - იატაკქვეშეთისათვის და პარტიზანული მოძრაობისთვის. საჯარო კომპონენტი კი ღია პოლიტიკური სუბიექტია. თუ კი ოკუპანტი უშვებს ამ საჯარო კომპონენტის არსებობას, მაშინ მას შეუძლია წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები საოკუპაციო ძალასთან ან მის მიერ ხელდასმულ მარიონეტულ მთავრობასთან და თანაც ამ პროცესში ჩართოს მოლაპარაკებები, რომელთაც იგი აწარმოებს უკვე ჩრდილოვანი, ემიგრირებული თუ გადაადგილებული მთავრობის სახელით. ამგვარად, სახეზეა ეს ოთხი პრიმარული კომპონენტი; ისინი იმყოფებიან დინამიურ ურთიერთმიმართებებში და იცვლებიან შიდა და გარე ფაქტორების საპასუხოდ.

იატაკქვეშეთი. იგი ტრადიციულად გვევლინება ფიჭურ ორგანიზაციად, რომელიც ასრულებს ოპერაციებს ურბანულ არეებში (ოკუპანტის კონტროლის ქვეშ მყოფ არეებში). ის შედგება პოლიტიკურ-სამხედრო სტრუქტურებისგან, რომლებიც გამიზნულნი არიან პოლიტიკური და სამხედრო ქმედებების შესრულებისათვის. იატაკქვეშეთის მთავარი ფუნქციებია:

- სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქსელების ფორმირება და მართვა;
- ფარული რადიო-სადგურების ძირგამომთხრელი გადაცემები;
- მედია-ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც ფარულად აკონტროლებს გარკვეულ პრესას; ლიფლეტების ფარული ტიპოგრაფიების მუშაობა; მედია-აქტივობა სოციალურ ქსელებში; სატელიტური ტელევიზიის მუშაობა და ა.შ;
- სპეციალური მატერიალური ნაკეთობების დამზადება: ყალბი პირადობის მოწმობების ან პასპორტების, ასაფეთქებელი მოწყობილობების, იარაღის, ამუნიციების და ა.შ;
- ქსელების კონტროლი საკუთარი გადაადგილებადი პერსონალისთვის; ქსელების კონტროლი დამალული პერსონალისთვის, რომელსაც მტერი ეძებს; ლოგისტიკის მართვა-დამუშავება; დაფინანსების სისტემის შექმნა;
- საბოტაჟის აქტების განხორციელება ქალაქის ცენტრალურ უბნებში;
- ფარული სამედიცინო უზრუნველყოფის პუნქტების ფორმირება.

პარტიზანული მოძრაობა (იხ. სურათი 2). პარტიზანული ომის მეთოდი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კონვენციური ომის წარმოების წესისგან. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია რეგულარული, კარგად გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული ძალებისათვის, რომლებიც მოქმედებენ დიდი დანაყოფებით. პარტიზანები კი არარეგულარულ ჯარისკაცებად გვევლინებიან, რომლებიც შეადგენენ წინააღმდეგობის მოძრაობის სამხედრო კომპონენტს. იგი ფორმირდება ქვეყნის ე.წ. ფარული სამხედრო ძალების მცირე დანაყოფებიდან ან სამოქალაქო მოსახლეობის შიგნით შერჩეული პირებიდან ან კიდევ კომბინირებულად ორივე წყაროდან. ჩვეულებრივ, პარტიზანული ძალები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ოკუპანტის რეგულარულ და სპეციალიზირებულ ძალებს ეკიპირების, შესაძლებლობების და ზოგჯერ ასევე წვრთნების თვალსაზრისით, როდესაც საქმე ეხება სამხედრო გამოცდილების არმქონე სამოქალაქო პირებს.



სურათი # 2 პარტიზანული მოძრაობა.

პარტიზანული ომის წარმოების ტექნიკა თავის თავში მოიცავს რეიდებს, ჩასაფრებებს, თავდასხმებს, საბოტაჟის აქტებს, მტრის „შეწუხების“ სხვადასხვა ფორმებს და ყოველივე ამის მიზანს შეადგენს მტრის გადაადგილებისათვის ხელის შეშლა, მისი დემორალიზაცია, მისი სამხედრო პოტენციალის დასუსტება ფიზიკური და მატერიალური ზარალის მიყენების გზით. როდესაც იზრდება ხალხის მხარდაჭერა პარტიზანული მოძრაობის მიმართ, მაშინ ეს უკანასკნელიც შეიძლება გაძლიერდეს და შესაბამისად, განახორციელოს უფრო აგრესიული და ეფექტური ქმედებები.

ცხადია, პარტიზანები უნდა განვასხვავოთ დაქირავებული მეომრებისა და კრიმინალური ბანდებისაგან. წინააღმდეგობის ეს კომპონენტი იმყოფება კანონიერი კონტროლის ქვეშ და კერძოდ, ლეგიტიმური ემიგრირებული, გადაადგილებული, ჩრდილოვანი ან სახეზე მყოფი მთავრობის კონტროლის ქვეშ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარტიზანი არარეგულარული ჯარისკაცია და იმ ძალის მკვიდრი წევრი, რომელიც ორგანიზებულია სამხედრო პრინციპით, რათა განახორციელოს სამხედრო თუ პარამილიტარული ოპერაციები ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ხოლო დაქირავებულებისა და კრიმინალური ბანდების თანამშრომლობამ წინააღმდეგობის მოძრაობასთან შეიძლება სერიოზულად დააზიანოს მისი ლეგიტიმურობა და ავტორიტეტი. მეორე მხრივ, ისინი შეიძლება გამოიყენოს საოკუპაციო ხელისუფლებამ სწორედ წინააღმდეგობის მოძრაობის წინააღმდეგ.

პარტიზანულ დანაყოფს, როგორც სამხედრო ტიპის დანაყოფს, აქვს კონვენციური სამხედრო ძალების მსგავსი მართვის სტრუქტურა: **პარტიზანთა მეთაურს ექვემდებარება შტაბები და დანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პერსონალზე, კომუნიკაციაზე, სამედიცინო და ლოგისტიკურ მხარდაჭერაზე, ოპერაციების დაგეგმარებაზე, ოპერაციების შესრულებაზე, სადაზვერვო ინფორმაციების მოპოვებასა და ანალიზზე, აგრეთვე იატაკქვეშეთთან ურთიერთობაზე.** დანაყოფთა მეთაურები

ანგარიშვალდებულნი არიან წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერშიპის წინაშე და კონტაქტირებენ მასთან.

ომის წარმოების მეთოდები (იხ. სურათი 3). მაშასადამე, ამ კონცეფციის მიხედვით წინააღმდეგობის მოძრაობა განისაზღვრება, როგორც ერის ორგანიზებული, მთლიან-საზოგადოებრივი ძალისხმევა, რომელიც მოიცავს არამალადობრივი და ძალადობრივი აქტივობების სრულ სპექტრს და რომელიც წარმართება მთავრობის მიერ (ადგილზე მყოფი, ემიგრირებული, გადაადგილებული ან ჩრდილოვანი), რათა აღადგინოს სუვერენიტეტი საკუთარი ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებზე; კერძოდ, სრულად ან ნაწილობრივ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. აქედან გამომდინარე, წინააღმდეგობის მეთოდების განსაზღვრა ემყარება იმ გზებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მიღწეულ იქნას საბოლოო მიზანი - ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა. ეს საშუალებებია ქვეყნის მოსახლეობა, წინააღმდეგობის კომპონენტები და საგარეო დახმარება. რაც შეეხება გზებს - ეს შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, შეიარაღებული ბრძოლის მეთოდები და მეორე მხრივ, პასიური, არამალადობრივი წინააღმდეგობის მეთოდები.

ომის წარმოების მეთოდები

Association of Components with Methods		
underground	Guerilla	Auxiliary
Subversion	Ambushes	Non-violent Clandestine Resistance
Sabotage	Raids	
	sabotage	
	attack	

სურათი # 3. ომის წარმოების მეთოდები

შეიარაღებული ბრძოლის მეთოდებად ძირითადად გვევლინება: ა) ძირგამომთხრელი ქმედება (subversion) და საბოტაჟი (sabotage), რომლებსაც ახორციელებს იატაკქვეშეთი და ბ) რეიდები (raids), თავდასხმები (attacks), დივერსიები (sabotage) და ჩასაფრებები (ambushes), რომლებსაც ახორციელებენ პარტიზანები. ხოლო საზოგადოების იმ მრავალრიცხოვან წევრებს, რომლებიც პირდაპირ არ მონაწილეობენ წინააღმდეგობის მოძრაობაში მისი ერთ-ერთი კომპონენტის სახით, შეუძლიათ მიმართონ პასიური და არამალადობრივი წინააღმდეგობის მრავალფეროვან მეთოდებს.

1) იატაკქვეშეთი: ძირგამომთხრელი საქმიანობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახევენ ოკუპანტი მმართველი ძალის სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური ძლიერების ან მორალური მდგრადობის მოშლას. ეს განსაზღვრება მოიცავს ძირგამომთხრელი აქტივობების ფართო სიას: პროპაგანდა, საინფორმაციო ოპერაციები (კიბერშეტევები, დეზინფორმაციების, ფეიკების გავრცელება და ა.შ.), შერჩევითი საბოტაჟი (მასში ნაგულისხმევ შინაარსს ქვეშეთ დავაკონკრეტებთ), გამიზნული მოშორება ან ნეიტრალიზაცია მმართველი ძალის საკვანძო მნიშვნელობის მქონე პირებისა.

ძირგამომთხრელი საქმიანობა მიმართულია, რათა დასცეს მმართველი ძალის გავლენა-ძლიერება და იმავდროულად ხელი შეუწყოს წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერის ზრდას. ამის ფართოდ გავრცელებული და ისტორიულად დამკვიდრებული არაერთი მაგალითი გვაქვს, სახელდობრ, როდესაც წინააღმდეგობის მოძრაობა აღვივებს დიდ სამოქალაქო მღელვარებას ოკუპანტის მიმართ, რასაც უმეტესწილად მოჰყვება ხოლმე ამ უკანასკნელის უკურეაქცია რეპრესიული ზომების გაძლიერების სახით; ხოლო წინააღმდეგობის მოძრაობა, თავის მხრივ, დოკუმენტურად აფიქსირებს მოწინააღმდეგის თითოეულ ასეთ ბოროტმოქმედებას, რათა მოახდინოს მისი სრული დისკრედიტაცია როგორც საკუთარი ხალხის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების თვალში და უფრო მეტიც, თავად ოკუპანტი ქვეყნის საზოგადოების თვალში.

ძირგამომთხრელმა საქმიანობამ უნდა მიაღწიოს შემდეგ მიზნებს: ძირი გამოუთხაროს ოკუპანტის სამხედრო და ზოგადად უსაფრთხოების ინსტიტუტების ძალას და რეპუტაციას; შეაღწიოს საკვანძო მნიშვნელობის იმ სამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებსაც მართავს და აკონტროლებს საოკუპაციო ხელისუფლება და მოარყიოს-მოშალოს მათი მუშაობის მექანიზმები; განახორციელოს ოკუპანტის წინააღმდეგ ფსიქოლოგიური ოპერაციები, რათა დასცეს მისი პოლიტიკური ავტორიტეტი.

იატაკვეშეთი - საბოტაჟი. საბოტაჟი ზოგადად შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მოწინააღმდეგის განკარგულებაში მყოფი საკუთრების წინასწარ განზრახვით განადგურება; მოწინააღმდეგის სასიცოცხლოდ აუცილებელი ქმედებების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ასევე იმ პროდუქციის დაზიანება, დესტრუქცია ან კიდევ მისი შეგნებულად უზარისხო წარმოება, რასაც იგი იყენებს ომისა თუ ეროვნული თავდაცვისათვის. საბოტაჟი შეიძლება იყოს ლეტალური ან არალეტალური და იგი იყოფა გენერალურ და შერჩევით საბოტაჟად.

ა) შერჩევითი საბოტაჟი. იატაკვეშეთი მიმართავს ე.წ. სელექციურ საბოტაჟს, რათა მწყობრიდან გამოიყვანოს სათანადო დანადგარები თუ ზოგადად სამეურნეო-ინფრასტრუქტურული ობიექტები, რომლებიც კრიტიკულად საჭიროა ოკუპანტის მოთხოვნილებებისათვის და რომელთა დროული შეცვლა ან კიდევ შეკეთება შეუძლებელია. ამის მაგალითია ისეთი ტაქტიკური სამიზნის მწყობრიდან გამოყვანა, როგორცაა ხიდი, რაც არსებითაა მტრის ჯარების გადაადგილებისა და მომარაგების ტრანსპორტირებისათვის. სელექციური საბოტაჟის სხვა ფორმაა არაკინეტიკური დარტყმა, როგორცაა კიბერშეტევა სატრანსპორტო ცენტრზე ან კიდევ სადისპეტჩერო კონტროლისა და მონაცემთა შეგროვების სისტემაზე (supervisory control and data acquisition system – SCADA). იატაკვეშეთი ჩვეულებრივ წარმატებულია შერჩევით საბოტაჟში, ვინაიდან მას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს დივერსიული აქტით გამოწვეული მოქმედების დრო, განსხვავებით იმ რთული კოორდინაციისაგან, რასაც მოითხოვს კონვენციური ძალების ფართო შეტევა იგივე ობიექტზე: მაგალითად, იატაკვეშეთის ორგანიზაციას შეუძლია მეტ-ნაკლებად ზუსტად გათვალოს ხიდის აფეთქების დრო. მაგრამ აქ აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი ვითარება: როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტი განადგურებულია ან დაზიანებულია იმის გათვალისწინების გარეშე თუ რა ზარალი მიადგება ამით მტერს, მაშინ ამან შეიძლება დიდი პრობლემები შეუქმნას მხოლოდ საკუთარ მოსახლეობას.

წინააღმდეგობის წევრები, რომლებიც ოპერირებენ ასაფეთქებელი ნივთიერებებით, ხშირ შემთხვევაში არ გვევლინებიან შენობათა აფეთქების ექსპერტებად და ამიტომაც საჭიროებენ შედარებით უსაფრთხო, ხელმისაწვდომ ასაფეთქებელ კომპონენტებს, რისი გაკეთება და გამოყენებაც შედარებით იოლია. მიუხედავად ამისა, ყოველთვის აუცილებელია ასაფეთქებელი მოწყობილობებით ოპერირების დეტალური ინსტრუქციების ცოდნა. **შესაბამისად, წინააღმდეგობის წევრთა ტრენინგი და მომზადება ამგვარი საქმიანობისათვის იატაკვეშეთის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და ხშირად ეს მოითხოვს დახმარებას გარეშე აქტორებისაგან, კერძოდ, შესაბამისი დამატებითი სპეციალისტებით მომარაგების კუთხით.** ამგვარი უნარ-ჩვევების და სპეციალური ცოდნის გადაცემის კიდევ ერთი გზაა ომის და ოკუპაციის პირობებში წინააღმდეგობის მოძრაობის უზრუნველყოფა სათანადო ლიტერატურითა და ონლაინ-მითითებებით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა რადიოგადაცემებში ყოველდღიურად დრო ჰქონდა განკუთვნილი სპეციალურ პროგრამას - „კურსი პარტიზანებისათვის“ და ასევე იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა ე.წ. „საბჭოთა ცნობარი პარტიზანებისათვის“.

ბ) გენერალური საბოტაჟი. იატაკვეშეთი დივერსიული ოპერაციები არა მხოლოდ ხელს უშლიან მოწინააღმდეგის სამხედრო ქმედებებს, არამედ ხშირად უზიბდებენ მოსახლეობას საყოველთაო ანტი-საოკუპაციო დესტრუქციულ ქმედებებში ჩართვისაკენ. ეს კი შეიძლება მიღწეული იქნას მოსახლეობაში სათანადო ინფორმაციების გავრცელებით, რის შედეგადაც შერჩევითი საბოტაჟი ადის საყოველთაო საბოტაჟის დონეზე. ამ უკანასკნელის აქციები იყოფა აქტიურ და პასიურ აქციებად. მართალია, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ დიდი მატერიალური ეფექტი, მაგრამ თანამემამულეების მოტივირება თუნდაც ამ უმნიშვნელო საბოტაჟის ქმედებათა შესრულებისაკენ უკვე თავისთავად დიდმნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს მტკიცედ აკავშირებს მათ საერთო ეროვნულ საქმესთან.

ახლა რაც შეეხება ზოგადად აქტიურ და პასიურ საბოტაჟს: გენერალური ინსტრუქცია აქტიური საბოტაჟისათვის შეიძლება შეიცავდეს მითითებებს სხვადასხვა ასაფეთქებელი მოწყობილობების გაკეთება-გამოყენების თაობაზე, ვთქვათ, როგორცაა მოლოტოვის კოკტილები ან კიდევ საყოფაცხოვრებო ნივთებისგან აწყობილი ხელყუმბარები და ა.შ. ასევე შეიძლება შეიცავდეს მითითებებს მტრის სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებისა და მათი გადაადგილების შეფერხების მეთოდების შესახებ; სოციალური ქსელების მეშვეობით მტრის მასიური საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ბომბარდირების თაობაზე და ა.შ. პასიურ საბოტაჟში კი შეიძლება იგულისხმებოდეს ყოველი ქმედება, რაც წინასწარ განზრახვით აზრკოლებს იმ სახის პროდუქციის წარმოებას თუ იმ სხვადასხვა სახის მომსახურეობის პროცესს, რაც სჭირდება ოკუპანტს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ან სამხედრო პოტენციალის უზრუნველყოფისათვის.

2) პარტიზანული ომის მეთოდები. აქ ჩვენ ვეყრდნობით ო. რიაზანოვის ნაშრომს - „პარტიზანული ომის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა“. მიუხედავად იმ მრავალფეროვნებისა და სახეცვლილებებისა, რომელიც პარტიზანულ ბრძოლას ახასიათებს განსხვავებულ პოლიტიკურ, გეოგრაფიულ თუ სამხედრო პირობებში, ჩვენ მაინც შეგვიძლია განვსაზღვროთ მისთვის ზოგადად დამახასიათებელი არსებითი მახასიათებლები. სხვათა შორის, პარტიზანული ტაქტიკის უზოგადესი პრინციპი შესანიშნავად აქვს ჩამოყალიბებული მათ ძე დუნს: „მტერი გვიტევს - ჩვენ უკან ვიხევთ, მტერი შეჩერდა - ჩვენ მას ვაწუხებთ, მტერი დაიღალა - ჩვენ მას ვურტყამთ, მტერი უკან იხევს - ჩვენ მას მივდევთ.“ ვაანალიზებთ რა პარტიზანული მოძრაობის გაშლა-განვითარების პროცესს, უპირველეს ყოვლისა, ცხადი ხდება შემდეგი ვითარება: ჩვეულებრივ, აქტიური პარტიზანული წინააღმდეგობის დასაწყისი დაკავშირებულია რამ-

დენიძე ან თუნდაც ერთი შეიარაღებული რაზმის მოქმედებებთან. **პირველი პარტიზანები შედიან ქვეყნის ძნელად მისასვლელ რაიონებში და ქმნიან იქ საყრდენ ბაზებს. ამის შემდგომ იწყება რაიონის ათვისება** – კარგი ურთიერთობების დამყარება ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაიონის დეტალური დაზვერვა-შესწავლა, მომარაგების არხების ორგანიზება, ახალი მეზრძოლების მოზიდვა, აქტიური პროპაგანდის წარმოება პარტიზანული მოძრაობის სასარგებლოდ. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ეტაპისთვის მთავარი ამოცანების გადაწყვეტა, რასაც თან ერთვის პირველი ფრთხილი პარტიზანული ოპერაციები. **ამ ფაზას ეწოდება „თავდაცვის ფაზა“.**

მორიგ ეტაპზე თანდათანობით იზრდება პარტიზანული აქტივობის არეალი, მათი რაზმების რიცხოვნობა და ასევე მათი შეიარაღებული მოქმედებების ეფექტურობაც, რის შედეგადაც ყალიბდება ე.წ. პარტიზანული რაიონი ან ზონა, რომელიც უშუალოდ ეკვრის საწყის საყრდენ ბაზას. ამის შემდგომ კი პარტიზანული ძალების ნაწილი მიემართება სხვა რაიონის ასათვისებლად; და ეს ექსპანსია გრძელდება შემდგომ და შემდგომ და იღებს სულ უფრო მზარდ მასშტაბებს. **ამ ეტაპზე ხდება საკმარისი რაოდენობის იარაღის, ტყვია-წამლის და ასაფეთქებელი მოწყობილობების მომარაგება შიდა თუ გარე არხებიდან და ეს იძლევა შესაძლებლობას, რათა პარტიზანებმა შექმნან დამატებითი ფარული იარაღის საწყობები უკვე ათვისებული რაიონის ფარგლებს მიღმა, ასევე შეიარაღონ მოსახლეობის ნაწილი და რაც მთავარია, დაიწყონ პარტიზანული ომი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადგილი აქვს სულ უფრო გაბედულ, რეგულარულ და ფართომასშტაბიან ოპერაციებს საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ.** სწორედ ამ ეტაპზე გაშლა-განვითარებას ჰპოვებს პარტიზანული ომის წარმოების მთელი სპეციფიკა, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია იმპროვიზაცია; სახელდობრ, აქ სახეზეა მუდმივი ინდივიდუალური და კოლექტიური იმპროვიზაცია გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი შესრულების ხერხების განსახლვრისას. ჩე გევარა თავის წიგნში „პარტიზანული ომი“ წერს, რომ კლასიკური ომის დამყარებული მეთოდებისგან განსხვავებით, პარტიზანები ყოველთვის გაწაფულნი არიან თავიანთი ტაქტიკის გამომგონებლობაში, რითაც მუდმივად მოულოდნელად თავს ადგებიან მოწინააღმდეგეს. თავის მხრივ, სოკუპაციო ძალები რეგულარულად დაკავებულნი არიან პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ აქტიური და ფართომასშტაბიანი ქმედებით. **ესაა ე.წ. „წონასწორობის ფაზა“.**

აღსანიშნია, რომ პარტიზანთა შემდგომი ბაზირების ორგანიზება შეიძლება ხდებოდეს ან პარტიზანთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ან მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ან კიდევ ორივე მხრიდან არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. ბაზის სიცოცხლისუნარიანობის და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად მიზანშეწონილია ძირითადი ბაზის, 1-2 დამატებითი ბაზის და 1-2 ცრუ ბაზის შექმნა. და რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია ამ ბაზირების რაიონის სათანადო დაცვის უზრუნველყოფა.

და ბოლოს, **საბოლოო ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ „შეტევის ფაზა“.** იგი ხასიათდება მოწინააღმდეგე ძალთა ფართო მანევრული მოქმედებებით ქვეყნის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. **პარტიზანული მოძრაობა ახორციელებს სულ უფრო ფართომასშტაბიან და რეზულტატიურ ოპერაციებს, რათა მოიპოვოს ფაქტობრივი კონტროლი ოკუპირებული ტერიტორიების დიდი ნაწილზე.** მისი ქმედებები უკვე გვიწვლინება თავისებურ სტრატეგიულ შეტევად რამდენიმე ოპერაციონალური მიმართულებით, რასაც ხშირად მოაქვს მოწინააღმდეგის გარნიზონთა და სავლე დაჯგუფებათა ბლოკირება მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში. თუმცა ამ ფაზაშიც პარტიზანული მოძრაობა მტკიცედ მისდევს ომის წარმოების თავის სპეციფიკურ წესს, სტრატეგიას და მეთოდებს და შესაბამისად, არ შედის მოწინააღმდეგესთან დიდ საბრძოლო შეტაკებებში.

პარტიზანული ბრძოლის ძირითადი მეთოდებია: ჩასაფრებები, თავდასხმები, დივერსიები და რეიდები.

ა) ჩასაფრებისათვის საჭირო ძალები დამოკიდებულია გარემო პირობებზე და შესაბამისად, იგი შეიძლება ითვლიდეს 30-40 მეზრძოლს და შეიძლება გაცილებით მეტსაც, მაგალითად, 100-150-ს. **ჩასაფრების ორგანიზებისათვის პარტიზანული რაზმის მეთაურმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვროს ჩასაფრების ადგილი, შემდეგ, მოწინააღმდეგის გადაადგილების გზაზე ამა თუ იმ სახის წინააღმართა მოწყობის ადგილი, თავისი რაზმის საბრძოლო მოწყობა-განლაგება, ცეცხლის გახსნის წესი, მეზრძოლთა მოქმედებები ტექნიკის, იარაღის, ტყვეების, დოკუმენტების და ა.შ. ხელში ჩაგდების მიზნით; ასევე უნდა განსაზღვროს შეკრების პუნქტში უკან დახვევის წესი საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდგომ.**

უმეტესწილად, ჩასაფრებისათვის ხდება ისეთი ადგილმდებარეობის შერჩევა, სადაც მოწინააღმდეგე იძულებულია შეანელოს თავისი გადაადგილება და სადაც შეზღუდულია მისი თვალსაწიერის და მანევრის არეალი. ამიტომაც ყველაზე უფრო მოსახერხებელია ჩასაფრებების მოწყობა ვიწროებში, ღრეებში, ხეობებში. ჩასაფრებისას საბრძოლო წყობა, როგორც წესი, შედგება 1-2 მოიერიშე ჯგუფისაგან, უზრუნველყოფის ჯგუფისაგან და რეზერვის ჯგუფისაგან. ჩასაფრებების მოწყობა ასევე ხდება მოწინააღმდეგის ავიაციის (თვითმფრინავების და ვერტმფრენების) გადაფრენის მარშრუტებზე, რაც დღესდღეობით სულ უფრო მნიშვნელოვან ხასიათს იძენს.

ბ) თავდასხმა წარმოადგენს მოწინააღმდეგის ობიექტზე მოულოდნელ თავდასხმას მისი განადგურების ან ხელში ჩაგდების მიზნით. მიუხედავად პარტიზანული ბრძოლის ამ მეთოდის დიდი ეფექტურობისა, იგი საჭიროებს საკმაოდ ხანგრძლივ მომზადებას და თანაც დაკავშირებულია გარდაუვალ ადამიანურ დანაკარგებთან. თავდასხმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებია მოულოდნელობა და სისწრაფე. ჩვეულებრივ, **საბრძოლო მწყობრი თავდასხმისას შედეგმა მოიერიშე (დამრტყმელი) ჯგუფებისაგან, საცეც-**

ხლეჯგუფისაგან, უზრუნველყოფის ჯგუფებისაგან (ე.ი. დამფარავი და განმარტებული ფუნქციების მქონე ჯგუფებისაგან) და რეზერვის ჯგუფისაგან. პარტიზანულ თავდასხმას აუცილებლად წინ უძღვის ობიექტის სკრუპულოზური დაზვერვა, რათა განისაზღვროს მისი თავისებურება და მუშაობის რეჟიმი, დაცვის სისტემა, წინაღობათა განლაგება, უახლოესი რეზერვების ადგილმდებარეობა და ობიექტისაკენ მათი მოძრაობის მარშრუტები. უმეტესწილად ამ თავდასხმების ობიექტებად გვევლინებიან მოწინააღმდეგის სამხედრო ბლოკპოსტები და ცალკეული საყრდენი პუნქტები.

პარტიზანული საცეცხლე თავდასხმა წარმოადგენს მოწინააღმდეგის შეზღუდული ზომის მქონე ობიექტებზე დარტყმას არტილერიის, ნადმტყორცნების, ცეცხლმტყორცნების თუ სხვა საცეცხლე საშუალებების მეშვეობით. თანაც ეს ხორციელდება ობიექტზე შეღწევის გარეშე, რაც თავისთავად დიდად ამცირებს ადამიანური დანაკარგების რისკს პარტიზანებისათვის. ასეთ ობიექტებად შეიძლება გვევლინებოდნენ მოწინააღმდეგის მართვის პუნქტები, რადიოსადგურები, მის განკარგულებაში მყოფი ცალკეული შენობები რკინიგზაზე თუ სხვა საკომუნიკაციო გზებზე.

გ) დივერსია უთუოდ წარმოადგენს პარტიზანებისათვის მეტად ხელსაყრელ ბრძოლის მეთოდს, ვინაიდან მისი მეშვეობით შესაძლებელია დიდი მატერიალური ზიანი მიადგეს მტერს, თანაც მასთან საბრძოლო კონტაქტში შესვლის გარეშე. დივერსიის ობიექტებს ჩვეულებრივ წარმოადგენენ მოწინააღმდეგის მართვის პუნქტები, ადმინისტრაციის შენობები, ელექტროსადგურები, კავშირგაბმულობის კვანძები, აეროდრომები, საკომუნიკაციო გზები, ელექტროგადაცემის ხაზები და ა.შ. **დივერსიის წარმატება დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე: პარტიზანების მომზადების ხარისხზე; საჭირო და ხარისხიანი დივერსიული ტექნიკის არსებობაზე; დივერსიის ობიექტის შესახებ სარწმუნო სადაზვერვო ინფორმაციაზე; დივერსიის შესრულების წესის, საშუალებების და შესაბამისი დროის სწორ შერჩევაზე; შენიღბვის და კონსპირაციის მკაცრ დაცვაზე დივერსიის მომზადების და განხორციელების დროს.** დივერსიის ამოცანის შესასრულებლად პარტიზანული ჯგუფის მეთაურმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განახორციელოს სამიზნე ობიექტის დამატებითი დაზვერვა, რათა კიდევ უფრო დააზუსტოს მისი განლაგება, გამოავლინოს სუსტი ადგილები, ობიექტის დაცვის სისტემა და ასევე მასში შეღწევის შესაძლებლობები. ამის შემდგომ პარტიზანული ჯგუფის მეთაური იღებს დივერსიის მოწყობის გადაწყვეტილებას, განსაზღვრავს ობიექტზე შეღწევის წესრიგს და დივერსიის შესრულების ხერხს, შემსრულებელთა ამოცანებს, მართვის და კავშირის სიგნალებს, უკანდახვევის გზებს და შეკრების პუნქტებს.

დ) პარტიზანული ბრძოლის კიდევ ერთი ძალზედ ეფექტური და მნიშვნელოვანი მეთოდია **პარტიზანული რეიდები, რომლებიც წარმოადგენენ პარტიზანული ფორმირებების დიდ გადაადგილებას წინასწარ დაზვერილ რაიონში, რათა მათ იქ შეასრულონ გარკვეული საბრძოლო ამოცანები - თავდასხმები, ჩასაფრებები, დივერსიები.** რეიდების შესრულებისას მრავალჯერადად იზრდება პარტიზანული რაზმების სიცოცხლისუნარიანობაც, მათი მოქმედების არეალიც და მათი დარტყმების ობიექტთა რაოდენობაც. სწორედ ამიტომ, რეიდი, უთუოდ, ითვლება პარტიზანული ომის წარმოების აქტიურ ფორმად.

ამგვარად, ჩვენ ზოგადად გავაანალიზეთ და დავახასიათეთ წინააღმდეგობის მოძრაობის ორი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - იატაკქვეშეთი და პარტიზანული მოძრაობა. ეს ჩატარებული სამუშაო კი ემსახურება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მომავალ განხილვებს, რომელმაც უნდა განსაზღვროს საკუთარი ეროვნული წინააღმდეგობის არსებითი მახასიათებლები, სწორედ, რომ სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით: სახელდობრ, ჩვენი ეროვნული ინტერესების, სპეციფიკური გეოპოლიტიკური ვითარების, ჩვენს წინაშე არსებული საფრთხეების და ქვეყნის კულტურული, ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული, ურბანული თავისებურებების გათვალისწინებით.

დასკვნა

ჩვენ ამ სტატიაში განვიხილეთ ტოტალური ეროვნული წინააღმდეგობის ისეთი არსებითი კომპონენტები, როგორებიცაა **იატაკქვეშეთი და პარტიზანული მოძრაობა.** რა თქმა უნდა, ჩვენი მსჯელობები უნდა ატარებდეს უაღრესად კვალიფიციურ ხასიათს და ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ვეყრდნობით ტოტალური წინააღმდეგობის ერთ-ერთ უახლეს და აღიარებულ თეორიას: მხედველობაში გვაქვს შვედეთის თავდაცვის უნივერსიტეტის ნაშრომი - „წინააღმდეგობის ოპერატიული მართვის კონცეფცია“. ასევე ვეყრდნობით მკვლევარ ო. რიაზანოვის უაღრესად საყურადღებო ნაშრომს - „პარტიზანული ომის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა“. ამგვარად, განვიხილავთ აღნიშნულ შრომებში წარმოდგენილ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს ასპექტს და საკვანძო მომენტს, რითაც ცხადვყოფთ წინააღმდეგობის მოძრაობის და კერძოდ, მისი მთავარი კომპონენტების - იატაკქვეშეთის და პარტიზანული მოძრაობის - ზოგადი კონცეპტის შინაარსს: კერძოდ, მათ ადგილს და ფუნქციას გარკვეული სისტემის შიგნით, მათ სტრუქტურას, შემადგენელ ელემენტებს და მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ხოლო ამ ზოგადი კონცეპტის ექსპლიკაცია ემსახურება ჩვენს მომავალ განხილვებს, რომლებმაც უნდა განსაზღვროს საკუთარი ეროვნული წინააღმდეგობის არსებითი მახასიათებლები, სწორედ, რომ სპეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით: სახელდობრ, ჩვენი ეროვნული ინტერესების, სპეციფიკური გეოპოლიტიკური ვითარების, ჩვენს წინაშე არსებული საფრთხეების და ქვეყნის კულტურული, ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული, ურბანული თავისებურებების გათვალისწინებით.

ტერიტორიული თავდაცვის ძალების როლი ქვეყნის თავდაცვის სისტემაში (უკრაინის გამოცდილების გათვალისწინებით)

თადარიგის გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი
სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მოწვეული სპეციალისტი

აბსტრაქტი

ტერიტორიული თავდაცვა - სამხედრო და საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მოწინააღმდეგის დივერსიული აქტებისაგან ობიექტების და კომუნიკაციების დასაცავად, აგრეთვე საომარი მდგომარეობის რეჟიმის დასამყარებლად და მხარდასაჭერად.

ტერიტორიული თავდაცვის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

- მნიშვნელოვანი სამხედრო ეკონომიკის ობიექტების და კომუნიკაციების საიმედო დაცვა;
- ბრძოლა მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო ტერორისტულ ძალებთან;
- საომარი მდგომარეობის რეჟიმის დამყარება და შენარჩუნება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რაიონებში;
- სახელმწიფო ხელისუფლების და თვითმართველობის ორგანოებთან ურთიერთქმედებით, ქვეყნის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესრულება, რომლებიც ტერიტორიულ თავდაცვას ეხება;
- ტერიტორიული თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვასა და უზრუნველყოფაში მონაწილეობა;
- დასაცავი ობიექტების და კომუნიკაციების ნუსხის დაზუსტება და ღონისძიებების განხორციელება მათ დასაცავად;
- საჭირო ძალებისა და სახსრების განსაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
- კანონიერებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა თავიანთ ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, სადაც საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული;
- ომიანობის დროს, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობასთან ურთიერთქმედება საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად;
- ომის შემთხვევაში, ტერიტორიულმა თავდაცვამ, თავდაცვის ძალებთან ურთიერთქმედებით, უნდა უზრუნველყოს შემოჭრილი მტრის ყოველმხრივი დაზიანება და მისი წინსვლის შეწყვეტა საბრძოლო მოქმედებებით, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიების და ობიექტების საფუძვლიანი დაცვით.

საკვანძო სიტყვები:

ტერიტორიული თავდაცვა, თავდაცვის ძალები, სახელმწიფოს ტერიტორია.

The Role of Territorial Defense Forces in the Defense System of the Country (Taking Into Account the Experience of Ukraine)

Lieutenant General of the Reserve Johnny Pirtskhalaishvili

LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,

Invited Specialist in the Scientific Research Center

Abstract

Territorial defense is a constituent part of military and general state measures, which are carried out on the territory of the state, to protect objects and communications from the enemy's subversive acts, as well as to establish and support the martial law regime.

The main tasks of territorial defense include:

- Reliable protection of important military economy objects and communications;
- fight against the enemy's subversive-intelligence terrorist forces;
- Establishment and maintenance of the martial law regime in the entire territory of the country or in its individual districts;
- By interaction with the state government and self-government bodies, implementation of both the legislative and other normative acts of the country related to territorial defense;
- Participation in both the planning and provision of territorial defense measures;
- Specifying the list of protected objects and communications and implementing measures to protect them;
- Determination of the necessary forces and funds from the local budget;
- Ensuring protection of law and order in their territory, in the places where martial law is declared;
- During wartime, interaction with the leadership of the state government bodies established by the highest authorities of the country in accordance with the law on martial law;
- In case of war, the territorial defense, in interaction with the defense forces, should ensure all-round damage to the invading enemy and slow down its progress, deter it by combat operations, by protection of strategically important territories and objects.

Keywords:

territorial defense, defense forces, territory of the state.

შესავალი

ტერიტორიული თავდაცვის ძალების საერთოდ არსებობა, რაოდენობა, განლაგება და მათი გამოყენება დამოკიდებულია იმ პრინციპებზე და საფრთხეებზე, რომლებიც გამომდინარეობს ქვეყნის ტერიტორიის სპეციფიკიდან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქვეყნის ტერიტორიის გეოგრაფიიდან:

პირველი - ქვეყნის ტერიტორიის ფართობი, მოქნილობა, განსაზღვრავს თუ რა რაოდენობის პირადი შემადგენლობა, ტექნიკა, შეიარაღება, ლოგისტიკა, ბიუჯეტი არის საჭირო.

მეორე - ქვეყნის რელიეფი განსაზღვრავს ძალების განლაგებას, რაოდენობას და სპეციფიკურ ამოცანებს.

მესამე - ქვეყნის ტერიტორიის დასახლების სიმჭიდროვე განსაზღვრავს დასახული ამოცანებისთვის გამოყოფილი დანაყოფების რაოდენობას.

მეოთხე - ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა განსაზღვრავს სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და თავდაცვისუნარიანობის დონეს.

ტერიტორიული თავდაცვის ძალები არიან შეიარაღებული ძალების ხელშემწყობი, ქვეყნის თავდაცვის სისტემაში დამხმარე ორგანო. მათ უნდა უზრუნველყონ ამოცანების შესრულება თავიანთ ტერიტორიაზე, სანამ მიმდინარეობს სრულყოფილი მობილიზაცია.¹

დიდწილად, შეიარაღებული ძალების, ტერიტორიული თავდაცვის ძალების განლაგება და გამოყენება არის გზა გარე აგრესიის თავიდან ასაცილებლად. მტერს ეცოდინება, რომ ვერც ერთ ხიდზე ვერ გაივლის, ყველა გზაჯვარედინზე დახვდება. ამ დროის განმავლობაში დაიკავებენ პოზიციებს და განლაგდებიან არმიის ძირითადი ძალები.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა - ზურგში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა. ყველა კომუნიკაციის (გზების, ხიდების, გვირაბების, ინფრასტრუქტურის ობიექტების და სხვა) დაცვა და კონტროლი. ეს საშუალებას მისცემს ძირითად ძალებს, კონცენტრირდნენ პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

როდესაც ასიათასობით მშვიდობიანი მოქალაქე მოემზადება და ეცოდინება მანევრები საკუთარ სახლთან, მასთან ახლოს და შეუძლებათ უმოკლეს დროში გავიდნენ თავიანთ პოზიციებზე - ეს შექმნის თავდაცვის მაღალ ხარისხს.

ჩამოყალიბებული ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის დანიშნულებაა კანონით განსაზღვრული ამოცანების შესრულება, მათ ტერიტორიული თავდაცვის ზონებში, მაგრამ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის გადაწყვეტილებით, ისინი შეიძლება ჩაერთონ სხვა ამოცანების შესრულებაში.

ძირითადი ნაწილი

2014 წლის დასაწყისში უკრაინის ტერიტორიული თავდაცვის ძალები ფაქტობრივად არ არსებობდა, თუმცა დე იურე ეს იყო გათვალისწინებული 1991 წლის კანონით: „უკრაინის თავდაცვის შესახებ“. 2014 წლის გაზაფხულზე, დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ გაირკვა, რომ უკრაინაში არ არის საკმარისი რეგულარული ჯარები და დაიწყო ტერიტორიული თავდაცვის გეგმების ამოქმედება.

2014 წლის 30 მარტს მიღებული იქნა გადაწყვეტილება 27 ტერიტორიული თავდაცვის ბატალიონის შექმნის შესახებ, რომელთაც ძირითად ამოცანად განესაზღვრათ:

- სახელმწიფო საზღვრების დაცვა;
- სტრატეგიული ობიექტების დაცვა;
- ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მხარდაჭერა.

ხშირად ამ ბატალიონებს „მოხალისეთა ბატალიონს“ ეძახდნენ. რეალობაში კი იყო მხოლოდ ერთი ბატალიონი „აიდარი“. ბევრი მათგანი მონაწილეობდა აღმოსავლეთის ანტიტერორისტულ ოპერაციაში, ე.წ. „ატო“-ს ბატალიონები რომლებიც დაქვემდებარებული იყვნენ „ატო“-ს სარდლობაზე. სხვა ბატალიონი თავიანთ ტერიტორიებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე. 2018 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება ოლქებში ტერიტორიული თავდაცვის ბრიგადების შექმნის შესახებ, პირველ რიგში რუსეთთან მოსაზღვრე ოლქებში. ეს პროცესი მიმდინარეობდა 2022 წლამდე, სანამ არ იქნა მიღებული კანონი „ეროვნული წინააღმდეგობის შესახებ“.

უკრაინის ტერიტორიული თავდაცვის სისტემის ოფიციალურად შექმნა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2022 წლის 1-ლი იანვრიდან მიღებული იქნა და ძალაში შევიდა კანონი „ეროვნული წინააღმდეგობის საფუძვლების შესახებ“. კანონი ითვალისწინებდა ახალი ტიპის ჯარების შექმნას უკრაინის შეიარაღებულ ძალების შემადგენლობაში.

ცნობისათვის, უკრაინა ადმინისტრაციულ ტერიტორიული პრინციპით დაყოფილია 25 ოლქად და ერთ ავტონომიურ რესპუბლიკად. რუსეთს ესაზღვრება ჩერნიგოვის, სუმის, ხარკოვის, ლუგანსკის და დონეცკის ოლქები. ბელორუსს - ლუცკის, რივნეს, ჟიტომირის და კიევის ოლქები.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი შემოჭრის დროს, ტერიტორიული თავდაცვის ძალების სარდლობამ დაასრულა დანაყოფების ფორმირება და ძირითადად იყო

¹ Small Country 'Total Defence': A Case Study of Singapore September 2007 Defence Studies 7(3): pages (376-395); DOI:10.1080/14702430701559289

შექმნილი კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვის, სუმის, დნეპროპეტროვსკის, ლუგანსკის და დონეცკის მიმართულეებზე. თუ შევხედავთ რუკას, ეს ოლქები განლაგებული არიან უკრაინის ჩრდილო და ჩრდილო - აღმოსავლეთ ნაწილში, დანარჩენ მიმართულეებზე მხოლოდ დანაყოფები ქალაქზე იყო, მაგრამ უკვე 25 თებერვალს ტერიტორიული თავდაცვის შტაბებში, რომლებიც განლაგებული იყო იმ დროს სამხედრო კომისარიატებში, დაიწყო სისტემაში ჩარიცხვის მსურველთა მიღება. იყო გაუთავებელი რიგები მოხალისეების, სხვადასხვა ასაკის, სქესის და გამოცდილების ადამიანებისა. აიღეს იარაღი ფერმერებმა, ბიზნესმენებმა, ჟურნალისტებმა, მშენებლებმა, პროგრამისტებმა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა თავი დაანებეს სამუშაოს, სამსახურს და გაბედულად დადგნენ საკუთარი ქვეყნის დასაცავად.

ომის დაწყების დღეს, 24 თებერვალს, ჩვენ ვიმყოფებოდით ქალაქ კიევში და ვართ მომსწრე იმისა, რაც ხდებოდა იქ 36 დღე-ღამის განმავლობაში. როცა ვსაუბრობთ მოსახლეობის თავდაცვის ძალებში ჩარიცხვის მსურველთა რიგებზე, ახალგაზრდები, ძველგაზრდები, ქალები, ყველა ორგანიზებულად იდგნენ სამხედრო კომისარიატის ეზოში და ელოდებოდნენ გამოძახებას. ბევრ მათგანს ეცვა სამხედრო ფორმა. სხვადასხვა მიზეზების გამო 2023 წლის 3 მარტიდან 2023 წლის 15 მარტამდე მე მომიწია ყოფნა ჟიტომირის, ხმელნიცკის, ვინიციის ოლქების ქალაქებსა და რაიონებში, ყველგან იყო ერთსულოვნება, მზადყოფნა მოქმედებისათვის. არავითარი პანიკა და არეულობა. ყველა სოფელში, დაბაში, რაიონულ ცენტრში, ქალაქში მოეწყო შემაგალი და გამავალი გზების კონტროლი. საკონტროლო პუნქტები მოწყობილი იყო ყველა აუცილებელი საშუალებით. იყო სადღეღამისო მორიგეობა. ეს იქ სადაც არ იყო საბრძოლო მოქმედებები (გარდა სარაკეტო დარტყმებისა). იმ რაიონებში, სადაც მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები ტერიტორიული თავდაცვის ძალები მოქმედებდნენ შეიარაღებული ძალების საბრძოლო ქვედანაყოფებთან ერთად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კიევის გადარჩენა დაცემისაგან ტერიტორიული თავდაცვის ძალების დამსახურებაა.

თუ გადავხედავთ უკრაინის ფიზიკურ რუკას, დავინახავთ, რომ ტერიტორია მთლიანობაში მჭიდროდა დასახლებული, არც თუ ისე მთა-გორიანია, გარდა სამხრეთ - დასავლეთის მიმართულეებისა და ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილისა. ტერიტორიაზე არის ბევრი მდინარეები და ტბები, წყალსაცავები.

თუ გავიხსენებთ მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, უკრაინის ტერიტორიაზე გაშლილი იყო და მოქმედებდა 3 ფრონტი. პირველი, მეორე და მესამე უკრაინის ფრონტი. ეს მიგვითითებს იმაზე, რომ აქ შეიძლება აწარმოოს საბრძოლო მოქმედება დიდმა შენაერთებმა, არმიამ და ფრონტმა. დღეს საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს რამდენიმე ოპერატიულ მიმართულეებაზე.

